პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგის 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 14 ნოემბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 263 (2306)

დ ღ ი უ რ ი

— ანტი-იმპერიალისტური დემონსტრაციები ამერიკაში და საფრანგეთში.
— გერმანიის რეიხსტაგის მუშაობის განახლება.
— გაანთავისუფლეს ვინერ-ნეიშტადტის ამბების გამო დაპატიმრებული 14 ავსტრიელი კომუნისტი.
— 14 ნოემბერს იწყება რუმინეთის რევოლიუციონური პროფკავშირების პროცესი.
— ინდოეთის ნაციონალური კონგრესი დათმობაზე წავიდა
— ინგლისთან ურთიერთობის საკითხში.
— ამერიკელი განათლების მუშაკები საბჭ. კავშირის შესახებ.
— ლატვიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი.

დღეს, ნოემბრის 14-ს საღამოს 7 საათზე

შ ე ს დ გ ე ბ ა

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

საბჭოების საარჩევნო კამპანია

(ცაკთან შემდგარ თათბირის შედეგებისათვის)

საბჭოების მომავალი არჩევნების შესახებ ცაკთან ამ დღეებში შემდგარ თათბირზე საკმაოდ ვრცლად იქნა გაშუქებული ამ კამპანიის როგორც პოლიტიკური ამოცანები, ისე მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. თავისთავად ცხადია, აქ მიღებული მასალა ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებმა სათანადოდ უნდა გამოიყენონ.

რას მიექცა თათბირზე ყურადღება და საერთოდ რა მთავარი მომენტებია აღსანიშნავი საბჭოების საარჩევნო კამპანიაში?

პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: თუ საბჭოების არჩევნებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საბჭოთა სისტემის განმტკიცების და მასების აქტივობის ზრდის საშუალებას, დღეს ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა. და ეს იმიტომ, რომ კლასობრივმა ბრძოლამ ჩვენში, კერძოდ სოფლად, ამ ბოლო დროს მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ჩვენ ფართედ მოვკიდეთ ხელი სოციალისტურ მშენებლობას და მთელ ფრონტზე ენერგიულ შეტევას ვაწარმოებთ მეურნეობის კაპიტალისტურ სექტორზე, სულ უფრო ვავიწროვებთ არა მშრომელ ელემენტებს. გასაგებია, რომ უკანასკნელნი უბრძოლველად არ სთმობენ თავის პოზიციებს და ყოველნაირად ცდილობენ თავის ძველი მდგომარეობის შენარჩუნება - განმტკიცებას. და უეჭველია, რომ ეს ბრძოლა ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს ნაშთებ შორის, მშრომელ მასებსა და სასიკვდილოდ განწირულ კლასების ნამსხვრევებს შორის გამოხატულებას იპოვის ისეთ დიდ კამპანიაში, როგორიცაა საბჭოთა არჩევნები, აქედან გამომდინარეობს ამ არჩევნების უაღრესი პოლიტიკური ხასიათი.

შემდეგ: როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვაწარმოებთ გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია, გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება და მისი მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლიუცია — აი რით ხასიათდება ეხლანდელი პერიოდი, ყველაფერი ეს მოითხოვს საბჭოების შემდგომ გამოცოცხლებას, მათ გადაქცევას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ნამდვილ ორგანოებად, მათ მიერ მართვა - გამგეობის ფუნქციების უფრო რიგიანად განხორციელებასთან ერთად, რაც თავის მხრივ ჰგულისხმობს მშრომელ მასების უფრო ამოძრავებას, მათი შემოქმედებითი აქტივობის გაშლას უწინარეს ყოვლისა საბჭოების ფარგლებში.

ამგვარად, ჩვენი კლასობრივი მტრების განადგურების და სოციალისტურ მშენებლობის წარმატების ინტერესები გვიკარნახებენ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენას საბჭოების არჩევნებისადმი. არჩევნების ასეთი მნიშვნელობის შეგნება და მათ გარშემო მშრომელთა მთელი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია — ასეთია ამოცანა.

ამან უნდა განსაზღვროს ჩვენი საქმიანობა არჩევნების მოსამზადებლად და მათ ჩასატარებლად.

საარჩევნო კამპანიით უნდა დავაინტერესოთ მშრომელთა უფართოესი მასები. ამისათვის მოგვეხდება დიდი განმარტებითი მუშაობის ჩატარება არჩევნების მნიშვნელობის შესახებ და მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება, რათა მოსახლეობას გაუადვილდეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება (საარჩევნო კრებებისათვის დროისა და ადგილის შერჩევა, საარჩევნო უბნების გამრავლება, საარჩევნო სიების დროზე დარიგება და სხვ.)

ჩვენ ყოველგვარად უნდა შევეცადოთ, რათა ამომრჩეველებმა, რაც შეიძლება მეტი აქტივობა გამოიჩინონ არჩევნებში, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს გასაგები და ცოცხალი ენით საანგარიშო მოხსენებების გაკეთებას. სადაც გაშუქებული უნდა იქნეს, როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებანი, და დასახული უნდა იქნეს უახლოესი ამოცანები ადგილობრივ საჭიროების საფუძვლიანი გათვალისწინებით. სავსებით უნდა უზრუნველვყოთ საბჭოების მუშაობის საქმიანი კრიტიკა. უნდა შევქმნად ხელშემწყობი პირობები იმისათვის, რომ თვითეულ მშრომელს აღეძრას სურვილი და ჰქონდეს შესაძლებლობა გამოთქვას თავისი შენიშვნები საბჭოების როგორც განვლილი, ისე მომავალი საქმიანობის შესახებ.

რა თქმა უნდა, კულაკური და მენშევიკური ელემენტები მოინდომებენ თვითკრიტიკის ლოზუნგის თავისებურად გამოყენებას — მოსახლეობაში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გამოსაწვევად, საბჭოთა სისტემისათვის ძირის გამოსათხრელად. ასეთი პირების შავი ზრახვები შეუბრალებლად უნდა ვამხილოთ.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა კულაკების და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტების გარიყვა. ამის მიღწევა შეიძლება ღარიბ გლეხობის პოლიტიკური შეგნების და აქტივობის აწევით და მისი ორგანიზაციული შეკავშირებით. საარჩევნო კამპანიის საკითხების დასამუშავებლად უნდა იქნენ მოწვეული ღარიბთა კრებები და უნდა მოხდეს ღარიბთა ჯგუფების შემოწმება.

ამავე დროს ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ ღარიბ გლეხობასთან საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცების აუცილებლობა. მათი მთლიანი ფრონტით გამოსვლა არჩევნებში კულაკობის წინააღმდეგ — ჩვენი მუშაობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

ამ მიზნით, სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო სიების სწორად შედგენას. წარსულ არჩევნებში იყო ცალკე შემთხვევები, როცა საშუალო გლეხებს უკანონოდ ართმევდენ ხმის უფლებას. ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს. ამ მხრივ კონსტიტუცია და საარჩევნო ინსტრუქცია სასტიკად უნდა იქნას დაცული. მეორე მხრივ, ცხადია, დაუშვებელია საარჩევნო ინსტრუქციის გაფართოვებულად განმარტება და ხმის უფლების მინიჭება კულაკური და მსგავს ელემენტებისათვის, როგორც ამას წინედ აქა-იქ ჰქონდა ადგილი.

აქედან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შერჩევას. კომისიების წევრებად უნდა მოხვდნენ შეგნებული, პოლიტიკურად მტკიცე პირები, უმთავრესად ღარიბ და საერთოდ მშრომელ გლეხობის ნამდვილი წარმომადგენელნი.

არჩევნების ერთი უმთავრესი მომენტია ახალ საბჭოების კანდიდატების დასახელება. რა თქმა უნდა, საბჭოებში ვერ მოხვდებიან ისეთი პირები, რომელთაც ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლეს. საბჭოების შემადგენლობა უნდა გავაძლიეროთ მოწინავე ღარიბი გლეხებით და მოჯამაგირეებით, მშრომელ ქალებით, შევბულ წითელ არმიელებით, საშუალო გლეხობის საუკეთესო ელემენტებით, იმ მშრომელი ინტელიგენციით, რომელმაც თავი გამოიჩინა საზოგადოებრივ მუშაობის ასპარეზზე.

ყველა ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა, თავისთავად იგულისხმება, მოითხოვს ადგილობრივ პარტორგანიზაციების მხრით სწორ ხელმძღვანელობას და უდიდეს ენერგიის გამოჩენას. ეს ძირითადი პირობაა საარჩევნო კამპანიის სასურველად დამთავრებისათვის და მშრომელ მასებთან თვით პარტიის კავშირის უფრო გაღრმავება-განმტკიცებისათვის.

კულიჯის გალაშქრება ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ

საფრანგეთის პოლიტიკური წრეები უკმაყოფილო არიან გუვერის არჩევით

კონფლიქტი გერმანიის ლითონის მრეწველობაში ფართოვდება.-მუშაობის შეჩერება ახალ წარმოებებში

დემონსტრაციები იაპონიის წინააღმდეგ მანჯურიაში.--ანტი-იაპონური მოძრაობის ზრდა

ამერიკა--ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 12 ნოემბერი. ზავის ათი წლის თავის დღესასწაულზე, რომელიც მოწყობილ იქნა ამერიკული ლეგიონის მიერ, კულიჯმა წარმოსთქვა სიტყვა. ეს სიტყვა არაჩვეულებრივი იყო იმ მხრივ, რომ კულიჯმა მასში აშკარად გამოხატა შეერთებული შტატების სამხედრო და ეკონომიური პოლიტიკა. პრეზიდენტი დაუფარავი მტრული განწყობილებით ლაპარაკობდა ევროპაზე, განსაკუთრებით ინგლისსა და საფრანგეთზე. კულიჯმა განაცხადა, რომ ფინანსიურმა დახმარებამ, რომელიც შეერთებულმა შტატებმა აღმოუჩინეს ევროპას ომის შემდგომ წლებში, დაიხსნა ევროპა განადგურებისაგანო. ამასთან კულიჯმა აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც შეერ.-შტატებს არაფრით არ აუნაზღაურებია თავისი სამხედრო ხარჯები, ევროპის სახელმწიფოებმა შეიძინეს ტერიტორიები და იღებენ რეპარაციებსო. კულიჯი მოითხოვს ამერიკის ფლოტის გაძლიერებას ამერიკის ვაჭრობისა და პანამის არხის დასაცავად. სათბობი სადგურების ნაკლებობა, კულიჯის სიტყვით, აიძულებს შეერთებულ შტატებს ააგოს ინგლისზე უფრო მეტი დიდი კრეისერები.

ინგლის - საფრანგეთის საზღვაო შეთანხმება, კულიჯის სიტყვით, წარმოადგენს ცდას შეზღუდულ იქნას იმ ტიპის კრეისერებისა და წყალქვეშა ნავების აგება, რომლებიც ესაჭიროება შეერთებულ შტატებს, მაგრამ ეს შეთანხმება არ ზღუდავს იმ გემების აგებას, რომლებიც ინგლისსა და საფრანგეთს სჭირდებათ.

შეეხო რა ამერიკის სესხებს ევროპაში კულიჯმა განაცხადა, რომ ეს სესხები გაიცა ფინანსების სტაბილიზაციისათვის და ეხლა ისინი საჭირო აღარ არისო.

„ჩვენ არ გვინდა,—განაცხადა კულიჯმა,—ხელი შეუწყოთ შეიარაღებას, ჩვენ არ გვინდა ფინანსები მივაწოდოთ მომავალ ომს. უგუნურება იქნება კაპიტალის ექსპორტი მაშინ, როცა გასანაღდებელი პროცენტი ლონდონში და პარიზში უფრო დაბალია, ვიდრე ნიუ-იორკშიო“.



კულიჯი

კულიჯის აზრით, ევროპა და შეერთებული შტატები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ერთმანეთის ინტერესების გაგებას. იგი ურჩევს ევროპიელებს, „შეისწავლონ შეერთებული შტატების ნამდვილი ინტერესები“ (ადს).

კულიჯის სიტყვის კომენტარიები

ლონდონი, 12 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი კომენტარიებს უკეთებს კულიჯის სიტყვას და სწერს:

„კულიჯის სიტყვიდან სჩანს, რომ მას სრულებით არ ესმის ინგლისის პოზიცია საზღვაო განიარაღების საკითხში“.

გაზეთის აზრით, არ არის სწორი ინგლისისა და ამერიკის საკრეისერო ფლოტის შედარება, რომელიც კულიჯმა მოახდინა.

„როცა შეერთებული შტატების ეხლანდელი საამშენებლო პროგრამა სისრულეში იქნება მოყვანილი, — სწერს გაზეთი, — შეერთებულ შტატებს დიდი უპირატესობა ექნება ახალი კონსტრუქციის გემების დარგში“.

კონფლიქტი გერმანიის ლითონის მრეწველობაში

სასამართლო კაპიტალისტებს იცავს

ბერლინი, 12 ნოემბერი. დუისბურგის შრომის სასამართლომ გაარჩია მრეწველობის სარჩელი პროფკავშირების მიმართ და საქმე მათ სასარგებლოდ გადასწყვიტა. სასამართლოს გადაწყვეტილება გულისხმობს მრეწველთა თვალსაზრისის გამართლებას, ხოლო მრეწველები ლოკაუტს იურიდიულად სამართლიანად სთვლიან. სხვანაირად რომ ვსთქვათ, სასამართლომ უარჰყო პროფკავშირების თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მას შემდეგ, რაც სამედიატორო გადაწყვეტილება სავალდებულოდ გამოცხადდა, ლოკაუტი წარმოადგენს სატარიფო ხელშეკრულების დარღვევას. (ადს).

შრომის მინისტრის განცხადება

ბერლინი, 12 ნოემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„შრომის მინისტრმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ იგი ეცდება გადაათვალიეროს დუისბურგის შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება. როგორც ვიცით, რკინის მრეწველობის პატრონთა სარჩელი პროფკავშირების მიმართ სასამართლომ დამქირავებლების სასარგებლოდ გადასწყვიტა; მან აღიარა, რომ სამედიატორო გადაწყვეტილების შემდეგ სატარიფო ხელშეკრულებამ ძალა დაჰკარგა. (ადს).

პრუსიის ბიუროკრატების შუამდგომლობანი

ბერლინი, 12 ნოემბერი. უკანასკნელ დღეებში გახშირდა კონფლიქტის მოწესრიგების ცდა მძიმე მრეწველობაში შუამდგომლობის გზით, ვინაიდან ლოკაუტგამოცხადებული მასების გამემარცხენება გრძელდება და პროფკავშირების მემარცხენე უმცირესობის გავლენა იზრდება. სამთო მრეწველობისა და ტრანსპორტის ბევრ ახალ საწარმოში მუშაობა სწყდება. მრეწველებისა და პროფკავშირების წინადადებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სიმონმა შუამავლის როლი იკისრა. შუამდგომლობა იკისრა აგრეთვე მთავრობის კომისარმა დიუსელდორფში—ბერგმანმა. დიდი დემონსტრაცია გაიმართა ესენის რატუშის წინ, სადაც არკვევენ ლოკაუტგამოცხადებული მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხს. მოხდა რამდენიმე შეტაკება პოლიციასთან, რომლის დროსაც დაშავდნენ პოლიციის ოფიცერი და ექვსი პოლიციელი, რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. დიუსელდორფში გაიმართა დღესასწაული ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავზე. დღესასწაული ამავე დროს წარმოადგენდა მემაღაროებისა და ლოკაუტგამოცხადებული მელითონეების სოლიდარობის მანიფესტაცია. (ადს).

მენშევიკების თაღლითობა

რის იმედი აქვთ სოციალ-დემოკრატებს?

ბერლინი, 12 ნოემბერი. სოციალ-დემოკრატების წინადადებას იმის შესახებ, რომ შესწყდეს ჯავშნოსანის აგება, რეიხსტაგი ამ ერთ კვირაში განიხილავს.

რადგან ცენტრის პარტია მტკიცედ აღგია თავის პოზიციას, **სოციალ-დემოკრატებს იმედი აქვთ, რომ მათი წინადადება უარყოფილი იქნება. სწორედ ეს სურთ მათ.** (ადს).

ახალი მთავრობა საფრანგეთში

მთავრობის შემადგენლობა

პარიზი, 12 ნოემბერი. ახალ მთავრობაში შევიდა წინანდელი კაბინეტის 9 წევრი. რადიკალების გამოსვლის შემდეგ, ყველაზე უფრო მემარცხენე ბურჟუაზიული ჯგუფი ახალ მთავრობაში რესპუბლიკანური სოციალისტების პარტიაა, რომელსაც 5 პორტფელი აქვს. ცენტრისტული ჯგუფებიდან მთავრობაში შედის დუშერის ჯგუფის სამი მინისტრი. დანარჩენი მინისტრები, ზომიერი მემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენელნი არიან (ადს).

ფრანგული გაზეთები ახალი კაბინეტის შესახებ

პარიზი, 12 ნოემბ. მემარჯვენე პრესა მხურვალედ ეგებება პუანკარეს ახალ კაბინეტს. „ევრ“-ი, რომელიც რესპუბლიკანელი სოციალისტებისა და მემარჯვენე რადიკალების პოზიციას გამოხატავს, ფიქრობს, რომ რესპუბლიკანელი სოციალისტების მონაწილეობა მთავრობაში ხელს შეუშლის მარჯვნივ გადახრას საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. მემარცხენე-რადიკალური „ვოლონტე“-ს აზრით **კრიზისი მხოლოდ დროებით გადაიჭრა.** რეფორმისტული „პეპლ“ სწერს, რომ **მთავრობა დიდ ხანს ვერ იარსებებსო.** კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე“-ს აზრით, **მთელი კრიზისი წარმოადგენდა შეგნებულ მანევრს, რომლის მიზანიც მონოლიტური მემარჯვენე მთავრობის შექმნა იყო.** ასეთი მთავრობა ბურჟუაზიას ესაჭიროება საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის და მისი მემარჯვენე ფრთის რადიკალური პარტიისაგან ჩამოშორების დასაჩქარებლად (ადს).

გუვერის არჩევის შემდეგ

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 12 ნოემბერი. გერმანული გაზეთების ეხლანდელი ვრცელი კომენტარიები გუვერის არჩევის შესახებ ნაკლებად ოპტიმისტურია, ვიდრე პირვანდელი კომენტარიები იყო. გუვერს სახავენ ევროპისა და ერთა ლიგის შემდგომში იზოლიაციის მომხრედ, შეერთებული შტატების ეკონომიური ექსპანსიისა და პროტექციონიზმის გაძლიერების მომხრედ. გაზეთებს სასიხარულო მოვლენად მიაჩნიათ ის, რომ გუვერი წინააღმდეგია, რეპარაციის პრობლემა დაუკავშირდეს ვალების პრობლემას. ეს გარემოება, გაზეთების აზრით, აძლიერებს გერმანიის პოზიციას მომავალ მოლაპარაკებაში. განსაკუთრებული ინტერესით მოელიან, ვინ დაინიშნება კელოგის მოადგილედ. ეს შესაძლოდ გახდის გარკვეული დასკვნის გამოტანას, გუვერის საგარეო პოლიტიკის შესახებ, განსაკუთრებით გერმანიის მიმართ. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტის სიტყვით, გუვერთან ახლო მდგომი პირები შესაძლოდ სთვლიან ბორას დანიშვნას. ბორას დანიშვნა კორესპონდენტს საეჭვოდ მიაჩნია იმდენად, რამდენადაც ბორა საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეა. გუვერი წინააღმდეგი იყო საბჭ. კავშ. ცნობისა და ამბობდა, რომ ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის პრეზიდენტი წინასწარ იქნება დაკმაყოფილებულიო.

„კელნიშე ცეიტუნგ“-ს აზრით, ინგლისი გუვერის სახით საბჭოთა საკითხში დიდ მოკავშირეს იძენს (ადს).

გუვერი და საფრანგეთი

პარიზი, 12 ნოემბერი. გუვერის გამარჯვებას საფრანგეთის გავლენიანი პრესა და პარიზის ბირჟა უკმაყოფილოდ შეხვდა. საფრანგეთის ფინანსიური წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ გუვერი გადაჭრით წინააღმდეგობას გაუწევს ევროპის ვალების შემცირებას და მათ დაკავშირებას რეპარაციებთან. გაზეთების აზრით, გუვერი მიიღებს ყოველ ღონეს, რომ ხელი შეუშალოს გერმანიის ობლიგაციების განაღდებას უცხოეთის ბაზრებზე. გაზ. „კოტიდიენ“-ი ფიქრობს, რომ გუვერი მხარს დაუჭერს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში წვრილი სახელმწიფოებრივი ერთეულების ლიკვიდაციის იდეას. ამ პატარა სახელმწიფოების გამაერთიანებელ ძალად შეიძლება გერმანია გადაიქცეს (ადს).

ანტი-იაპონური დემონსტრაციები მანჯურიაში

ხარბინი, 12 ნოემბ. ანტი-იაპონური მოძრაობა ხარბინში, ისევე, როგორც მთელს მანჯურიაში, ორგანიზაციულ ხასიათს ღებულობს, მიუხედავად იმისა, რომ მას წინააღმდეგობას უწევს ჩინეთის ხელისუფლება, რომელიც იაპონური წრეების ზეგავლენით მოქმედებს. **პირველი ანტი-იაპონური დემონსტრაცია ხარბინში გაიმართა 5 ნოემბერს.** დემონსტრანტები მივიდნენ აღმოსავლეთ ჩინეთის სამი პროვინციის უფროსის ჩან-ხუან-სიანის სამმართველოსთან. ჩან-ხუან-სიანმა დემონსტრანტებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც განაცხადა, რომ ყოველი ძალღონით დაიცავს ჩინეთის უფლებებს და არ შეჩერდება არავითარი მსხვერპლის წინაშე. დილის 9 საათზე ხარბინის ჩინური სკოლების მოწაფეებმა გამართეს მანიფესტაცია ქალაქის ქუჩებში. მანიფესტაციას წინ გადაეღობა პოლიციის ძლიერი რაზმი. მანიფესტანტების პირველმა რიგებმა გაარღვიეს პოლიციის რკალი. **პოლიციამ ასტეხა სროლა და თოფის კონდახები დაუშინა მოწაფეებს.**

პრესის ცნობით, დაჭრილია ას კაცზე მეტი. **ხარბინში ანტი-იაპონური მოძრაობის გაძლიერების გამო, სამსახურიდან დაითხოვეს 40 ჩინელი მოხელე, რომელთაც ბრალს სდებენ, რომ ისინი მოსყიდულნი არიან იაპონელების მიერ** (ადს).

ინდოეთის ნაციონალური კონგრესი დათმობაზე წავიდა

ლონდონი, 12 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის (ინდოეთის პარტიების გაერთიანება) აღმასკომმა მიიღო საკომპრომისო რეზოლიუცია ინდოეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის საკითხის შესახებ. რეზოლიუციას საფუძვლად დაედო მოტილალა ნერუს თეზისები. ამ თეზისების თანახმად, ინდოეთის ნაციონალიზმის უახლოეს მიზანს შეადგენს — მიაღწიოს დომინიონის უფლებას ინდოეთისათვის. ამასთან ერთად რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ **კონგრესი კვლავ ეცდება სრული დამოუკიდებლობის მიღებას, ვინაიდან ინდოეთი ნამდვილ თავისუფლებას ვერ ეღირსება იმ დრომდე, სანამ იგი ამა თუ იმ ფორმით ინგლისთან არის დაკავშირებული.** (ადს).

რადიკალების უბადრუკი „ბუნტი“

საფრანგეთის მთავრობის კრიზისი დამთავრდა მემარჯვენე მთავრობის შედგენით, რომელსაც მეთაურობს პუანკარე და რომელშიაც შედიან დეპუტატთა პალატის თითქმის ყველა რეაქციონური ჯგუფის წარმომადგენელნი. პალატის რადიკალურმა ფრაქციამ ჯერჯერობით არ მიღო ის წინადადებები, რომლებიც მისცა მას მთავრობის მეთაურმა და უარჰყო თანამშრომლობა მსხვილი კაპიტალის პარტიებთან. ამრიგად, დაირღვა ის ნაციონალური მთლიანობა, რომელიც ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ახასიათებდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას და დაიშალა რადიკალების ბლოკი აშკარა კონსერვატორებთან. რას წარმოადგენს ეს მოვლენა—საფრანგეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების გარდატეხას, თუ მხოლოდ უმნიშვნელო ეპიზოდს?

როგორც ვიცით, რადიკალური პარტიის ანჟერის ყრილობამ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ რეზოლიუციაში შეტანილ იქნა მემარცხენე რადიკალის მარნიეს შესწორება. ამ შესწორების მიხედვით, „რადიკალურ დეპუტატებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მხოლოდ ის მთავრობას, რომელიც ეყრდნობა რესპუბლიკანურ უმრავლესობას, მათ მხარი არ უნდა დაუჭირონ კონსერვატიულ და კლერიკალურ ნაციონალისტურ ელემენტებს“. სხვანაირად რომ ვსთქვათ, პარლამენტის რადიკალურ ფრაქციას მიცემული ჰქონდა წინადადება არ დაეჭირა მხარი ნაციონალური მთლიანობის მთავრობისათვის, რომელსაც მეთაურობს პუანკარე და რომელიც ეყრდნობა სწორედ კონსერვატიულ და ნაციონალისტურ ელემენტებს და აიძულებს რადიკალებს, შეასრულონ კაპიტალისტური რეაქციის პოლიტიკური და სამეურნეო პროგრამა.

ამჟამად მოწმენი ვართ იმისა, რომ წვრილი ბურჟუაზია ერთგვარ უკმაყოფილებას იჩენს. ის გავლენას ახდენს რადიკალებზე და გაუბედავად სცდილობს გაინთავისუფლოს თავი კაპიტალისტური რეაქციის აშკარა დიქტატურისაგან, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ნაციონალური მთლიანობის პოლიტიკაში, რასაც პუანკარეს მთავრობა ანხორციელებს.

ფრანკის სტაბილიზაციამ და საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცებამ რამდენადმე დაამშვიდა წვრილი ბურჟუაზია, დაუბრუნა მას სიმხნე და აღადგინა მისი სულიერი წონასწორობა, რომელიც შერყეული იყო ვალიუტის დაცემით და სახელმწიფოს გაკოტრების საფრთხით. ეხლა, როდესაც პუანკარეს, როგორც მხსნელის, შარავანდედმა საკმაოდ დაჰკარგა თავისი ბრწყინვალება, კათოლიკური ეკლესიის პრივილეგიების აღდგენის პროექტს ართულებს წვრილი ბურჟუაზიის უეჭველი უკმაყოფილება და ნაციონალური მთლიანობის სამინისტროს პოლიტიკა.

ვალიუტის სტაბილიზაციამ უწინარეს ყოვლისა გავლენა იქონია სამრეწველო საქონლის ფასებზე. სამრეწველო კაპიტალი სცდილობს შინაურ ბაზარზე აინაზღაუროს ის დანაკლისი, რომელიც მოუვიდა საგარეო ბაზარზე პოზიციების დაკარგვით. საფრანგეთის ვაჭრობის სამინისტროს მიმდინარე წლის რვა თვის ანგარიში მოწმობს სამრეწველო საქონლის ექსპორტის შეუწყვეტელ შემცირებას და ფასების ზრდას შინაურ ბაზარზე. წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა უკვე აშკარა უკმაყოფილებას გამოსთქვამს ამ მოვლენის გამო, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების მცირეოდენი გადიდება ამჟამად სასარგებლოა მხოლოდ შუამავლებისათვის, მსხვილი ფირმებისათვის, რომელთაც ხელში უპყრიავთ სასურსათო საქონლის ბაზარი. წვრილი ბურჟუაზია, რომელიც იძლევა შინაგანი სესხების ობლიგაციების მქონეთა მთავარ კონტინგენტს, იმიტომაც არის უკმაყოფილო სტაბილიზაციით, რომ ფრანკის სტაბილიზაციამ მას დაუკარგა ამ ქაღალდების ომის წინა დროინდელი ღირებულების აღდგენის იმედი. მას დაკარგული აქვს ამ ქაღალდების ღირებულების 80 პროცენტი და ეს გარემოება ჰკვებავს მის ოპოზიციონურ განწყობილებას, რომელიც მხოლოდ დროებით მიყრუვდა ფრანკის კატასტროფიული დაცემის ხანაში.

წვრილ ბურჟუაზიას და გლეხობას მძიმე ტვირთად აწევს ნაციონალური მთლიანობის მთავრობის გადასახადები, „მსხვილ კაპიტალის და საგადასახადო ქსელის ინტერესების სრული შეთანხმება“, უბადალებული საბიუჯეტო გაჯანსაღება, 45 მილიარდიანი ბიუჯეტის უდეფიციტოდ შედგენა და ამავე დროს არმიისა და ფლოტისათვის გაღებული თანხების გადიდება ძვირად უჯდება საფრანგეთის გადასახადების გამღებს, განსაკუთრებით წვრილ გადამხდელს. ნაციონალური მთლიანობის მთავრობამ, რა თქმა უნდა, არ მიიღო ისეთი ზომები, როგორიცაა მსხვილი კაპიტალისტების შემოსავლის სწორი აღრიცხვა და გადასახადის გადიდება მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე. მაგრამ სამაგიეროდ ის მოურიდებლად აღიდებს გადასახად სავაჭრო ბრუნვაზე, რაც მძიმე ტვირთად აწვება წვრილ ვაჭრობას და მომხმარებლებს. ანჟერის ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია გადასახადების საკითხს და მისი რეზოლიუცია სხვა ზომებს შორის, მოითხოვს სამხედრო და საზღვაო ხარჯების შემცირებას. რა თქმა უნდა, ეს არის მხოლოდ დემაგოგია, მაგრამ დამახასიათებელი დემაგოგია, რომლის მიზანიც არის სიმპატია და ხმები მოუპოვოს რადიკალებს წვრილ ბურჟუაზიაში.

წვრილი ბურჟუაზია, რომელზედაც დაყრდნობას სცდილობს კაპიტალისტური რადიკალური პარტია, უკმაყოფილოა. მისი უკმაყოფილების სიმპტომებმა თავი იჩინეს გენერალურ საბჭოების ამას წინად ჩატარებულ არჩევნებზე, რომელზედაც თვალსაჩინოდ გაიზარდა რადიკალ - სოციალისტების მიერ მიღებული ხმები და მანდატები. რადიკალებს არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ამ განწყობილებას, მით უფრო, რომ მარცხნიდან მათ კიდევ ჰყავთ მეტოქე, რომელიც თანდათან უფრო იპყრობს წვრილ - ბურჟუაზიული ამომრჩევლების სიმპატიებს — ეს არის სოციალისტური პარტია. რადიკალებმა რომ საბოლოოდ დაჰყარონ იარაღი კონსერვატიული შავი რაზმის წინაშე რელიგიური კონგრეგაციების დაბრუნების საკითხში, მათ საბოლოოდ გაუტყდებათ სახელი. ნაციონალური მთლიანობის ხანაში, როდესაც წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა პარლამენტში მორჩილად დასთმეს თავიანთი პოზიციები მთელ ეკონომიურ პროგრამაში, რადიკალებს არ შეუძლიათ ხელი აიღონ თავიანთ უკანასკნელ იმედზე — ანტიკლერიკალურ პოლიტიკაზე. კლერიკალიზმთან ბრძოლა შეეფერება საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის როგორც ეკონომიურ ინტერესებს, ისე ისტორიულ ტრადიციებს, კათოლიკურ ეკლესიასთან, განსაკუთრებით ბერების ორდენებთან, დამოკიდებულების საკითხში პოზიციების დათმობა თვითმკვლელობას უდრის რადიკალებისათვის. ამ შემთხვევაში მათ არავითარი განსხვავება აღარ ექნებათ მათი მემარჯვენე მეზობლებისაგან. რადიკალური პარტია დაჰკარგავს დამოუკიდებელ ელფერს საფრანგეთის კაპიტალისტური ბურჟუაზიის ბანაკში.

წვრილი ბურჟუაზიის უკმაყოფილება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ რადიკალები სერიოზულად „აჯანყდნენ“. მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე საფინანსო კანონის მე-70 და მე-71 მუხლების გამო მიღწეული კომპრომისი მოწმობს, რომ რადიკალთა ბელადებს საკმაო რესურსები აქვთ მომარაგებული იმისათვის, რომ დაუსჯელად ატყუონ თავიანთი ამომრჩევლები. ერიო და მისი რადიკალური კოლეგები სამინისტროში დასთანხმდნენ, რომ ჯერჯერობით საფრანგეთში დაშვებულ იქნას არა ყველა, არამედ მხოლოდ ცხრა „უფრო ღირსეული“ კონგრეგაცია. საკითხი დანარჩენთა შესახებ სპეციალური კანონის საშუალებით გადაწყდება. ჯერ-ჯერობით წვრილი რადიკალური ბურჟუაზიისათვის შეუმჩნეველი იქნება სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის კანონში შეტანილი ცვლილება და შესაძლებელი გახდება სკანდალის აშორება. მაგრამ ანჟერის ყრილობამ ხელი შეუშალა ამ კომბინაციას. მინისტრ - რადიკალებმა, რომელნიც, საერთოდ, თავიანთ ყრილობათა გადაწყვეტილებებს ნაკლებად უწევენ ანგარიშს, ამ შემთხვევაში ვერ გაბედეს „დისციპლინის“ აშკარად დარღვევა.

რადიკალების ზედაფენები სრულებით არ ფიქრობენ პუანკარესა და მემარჯვენე ჯგუფებთან კავშირის გაწყვეტას. უპირველესად ყოვლისა, რადიკალებს გათვალისწინებული აქვთ ის გარემოება, რომ თვით სოციალისტებსაც რომ შეუკავშირდნენ, მაშინაც მათ პალატაში არ ეყოლებათ საჭირო უმრავლესობა. მეორეს მხრით, ძალა-უფლებაც რომ ხელში ჩაიგდონ, ეს ზედაფენები მაინც ვერ შესძლებენ აწარმოონ სხვა პოლიტიკა, გარდა იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებს დღევანდელი ნაციონალური მთლიანობის მთავრობა, ე. ი. მუშათა ხარჯზე რაციონალიზაციის პოლიტიკისა, მუშათა კლასთან ბრძოლის, ინგლისთან შეთანხმების, გერმანიაზე ზეგავლენის მოხდენის და საბჭოთა კავშირთან ომისთვის მზადების პოლიტიკისა. ამ ხაზიდან გადახვევა რადიკალებისთვის ნიშნავს სამრეწველო და საფინანსო კაპიტალის ინტერესებისა და მიზნების წინააღმდეგ წასვლა. პირველსავე ცნობებს პუანკარეს გადადგომის შესახებ უკვე მოჰყვა პარიზის ბირჟაზე სახელმწიფო ქაღალდების ფასის დაცემა. არ შეიძლება, რომ რადიკალებს არ ესმოდეთ ამ გაფრთხილების აზრი, და მათს „ოპოზიციონერობასაც“ დიდი დღე არა აქვს. ამასთან თვითონ ისინი სხვებზე ნაკლებ არ კანკალებენ „კომუნისტური საფრთხის“ წინაშე, სხვებზე ნაკლებ არ ელტვიან „ყველა ცოცხალი ძალის გაერთიანებას“ „საღმრთო საკუთრების“ დასაცავად.

საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიას არ შეუძლია დამოუკიდებელი როლი ითამაშოს, და ამ მხრივ ყოველი მისი ცდა უნუგეშოდ განწირულია. ნაციონალურ ეკონომიკაში. წვრილი ბურჟუაზიის მნიშვნელობა. თანდათან კლებულობს, და რადიკალიზმის ტრადიცია, როგორც მეშჩანური შუა ხაზის იდეოლოგია, დღითი დღე უთმობს ადგილს იმ მსხვილ აგრესიული სამრეწველო კაპიტალის იდეოლოგიას, რომელიც, ძალღონის მომატებასთან ერთად, სათანადო ადგილს მოითხოვს, საფრანგეთი მსხვილ ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაიქცა, და შუა ფენების პარტიები გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ზეგავლენით სწრაფად ითქვიფებიან.

ჯერ ძნელია იმის თქმა, შესძლებს თუ არა პუანკარე თავისი ახალი სამინისტროს პროგრამის განსახორციელებლად მიიმხროს საკმაო უმრავლესობა დეპუტატთა პალატაში. როგორც ეტყობა, პუანკარეს იმედი აქვს, რომ მას, თუმცა არა აშკარად, მაგრამ მაინც მხარს დაუჭერს რადიკალური პარტიის მემარჯვენე ფრთა. შეიძლება თითქმის დანამდვილებით ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ბოლოს და ბოლოს, ან რადიკალები მიეშველებიან პუანკარეს და, მათთან კომპრომისის შედეგად, სამინისტროს ჩამოსცილდებიან, რადიკალების თვალსაზრისით, უფრო არა სასურველი ფიგურები, ან, თუ პუანკარე მართვა-გამგეობას მოისურვებს მარტო მემარჯვენეების დახმარებით, მაშინ მის წინაშე აღსდგება მემარცხენე ბლოკი, რომელიც, პუანკარეც რომ ჩამოაგდოს, ვერ შესძლებს მართვა-გამგეობას, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ძალა-უფლება გადავიდეს რომელიმე „უპარტიოს“ ხელში, როგორიცაა, მაგ., ბრიანი, რომელიც რადიკალებთან თანამშრომლობით განაგრძობს მსხვილი კაპიტალის დავალებების განხორციელებას.

„პრავდა“ 13 ნოემბერი.

გერმანიის რეიხსტაგის მუშაობის განახლება

ბერლინი, 12 ნოემბერი. 12 ნოემბერს, საზაფხულო არდადეგების შემდეგ, რეიხსტაგმა მუშაობა განაახლა.

ინტერესი ლათინური ანბანისადმი სპარსეთში

თეირანი, 12 ნოემბერი. მას შემდეგ, რაც თურქებმა შემოიღეს ლათინური ანბანი, სპარსეთის პრესა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ასეთივე რეფორმის გატარებას საჭიროებას სპარსეთში. (ადს).

რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირთა კონგრესი

ვენა, 12 ნოემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ბუქარესტის უნიტარული (რევოლიუციონური) პროფკავშირების ორგანიზაციების პროცესი დანიშნულია 14 ნოემბრისათვის (ადს).

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

კომუნისტები გაანთავისუფლეს

ვენა, 12 ნოემბერი. ავსტრიის რესპუბლიკის ათი წლის თავზე გამოცხადებული ამნისტიის ძალით, გაანთავისუფლეს ვინერ-ნეიშტადტის ამბების გამო დაპატიმრებული 14 კომუნისტი. (ადს).

პოლონეთის დამოუკიდებლობის 10 წლის თავი

ვარშავა, 12 ნოემბერი. შაბათს მთავრობის წევრების თანდასწრებით შესდგა სეიმის საზეიმო სხდომა, პოლონეთის დამოუკიდებლობის 10 წლის თავის აღსანიშნავად. (ადს).

ოქტომბრის მე-11 წლის თავი საზღვარგარედ

პარიზი, 12 ნოემბერი. ვალანსიენში გაიმართა დღესასწაული ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავის აღსანიშნავად. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო 4.000 მუშამ.

უკანასკნელი ცნობები

კამათი რეიხსტაგში ლოკაუტის საკითხზე

ბერლინი, 13 ნოემბერი. რეიხსტაგში კამათი ლოკაუტის საკითხზე გახსნა შრომის მინისტრმა ვისელმა. მინისტრი სავსებით დაადგა ეგრედწოდებულ იურიდიულ თვალსაზრისს და ფართოდ მიიღო მხედველობაში მრეწველთა ინტერესები. მთელ მეურნეობაში მშვიდობიანობის დასამყარებლად ვისელს ერთად-ერთ გამოსავლად კომპრომისი მიაჩნია. კამათში გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი რურის ოლქიდან ფლორინი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრძოლა იურიდიულ ნიადაგზე კი არ სწარმოებს, არამედ პოლიტიკურზეო. მან აღნიშნა რურის მრეწველთა უდიდესი მოგება, პროდუქციის ზრდა, რაც ხორციელდება მუშების ხარჯზე, მათი საშინელი ექსპლოატაციით და სიცრუე უწოდა მწარმოებელთა იმ განცხადებას, თითქოს ისინი ვერ აიტანენ სამუშაო ხელფასის გადიდებას. ფლორინი ამტკიცებდა, რომ დემოკრატები ცრუობენ, როდესაც აცხადებენ, თითქოს მრეწველთა გამოსვლა მიმართულია სახელმწიფოს და სამედიატორო სასამართლოს არსებული პროცედურის წინააღმდეგ, ვინაიდან მთელი სახელმწიფო და სამედიატორო სასამართლოს მთელი აპარატი მრეწველებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობენო. შემდეგ ფლორინმა მკაცრად გააკრიტიკა რეფორმისტული და კათოლიკური (ცენტრის პარტიის მომხრე) პროფკავშირების პოზიცია, რადგან ეს კავშირები შტრეიკბრეხერებს რაზმავენ.

მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის დახმარება ლოკაუტგამოცხადებულ მუშებს

ბერლინი, 13 ნოემბერი. მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა ბოხუმში გახსნა საკვები პუნქტი 800 კაცისათვის, ფრონჰაუზენში—500 კაცისათვის, ალტენდორფში—400 კაცისათვის. მიულჰეიმში ხელისუფლებამ აკრძალა საკვები პუნქტების გახსნა, ამიტომ მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი იქ ხელზე არიგებს სურსათ-სანოვაგეს. წითელ ფრონტელთა კავშირის ავტორაზმი დახმარებას უწევს კომიტეტს ამ ოლქში შეკრებილი სანოვაგის განაწილებაში. ბერლინში კომპარტიის მიერ მოწვეულმა მუშათა მასიურმა კრებამ დაადგინა მოუწოდოს ბერლინის მთელ პროლეტარიატს—გადასდოს ერთი საათის ხელფასი ლოკაუტგამოცხადებულთა სასარგებლოდ. (ადს).

ბორდოს მეზღვაურები განაგრძობენ გაფიცვას

პარიზი, 13 ნოემბერი. მერვე კვირა გრძელდება ბორდოს ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა. საგაფიცვო კომიტეტის მიერ მოწვეულმა მუშათა მიტინგმა ერთხმად დაადგინა განაგრძოს გაფიცვა, მოსული გემები გაუტვირთავი რჩება. დიუნკირხენის ნავთსადგურის მუშებმა გაფიცულებს გაუგზავნეს 5.000 ფრანკი და ამდენივე ჩრდილოეთ საფრანგეთის გაფიცულ ფეიქრებს. ალუენის რაიონში ფეიქრების გაფიცვა გრძელდება.

რკინისგზელთა მასიური დათხოვნა ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 13 ნოემბერი. გაზეთი „ჩეშკო სლოვო“ იუწყება, რომ ამჟამად ჩეხო-სლოვაკიაში ყველა რკინის გზაზე ითხოვენ იმ რკინისგზელებს, რომლებზედაც ეჭვი შეაქვთ, რომ ისინი კომუნისტურ პარტიაში შედიან. სამსახურში სტოვებენ მხოლოდ იმ მოსამსახურეებს, რომლებიც აცხადებენ, რომ გამოდიან პარტიიდან, მაგრამ ასეთ განცხადებებსაც არ აქცევენ ყურადღებას, თუ განცხადების გამომქვეყნებელთა კანდიდატურა თავის დროზე წამოყენებული იყო კომუნისტების მიერ რკინისგზელთა კომიტეტების არჩევნებში. (ადს).

მუშათა პარტიის შესწორების განხილვა

ლონდონი, 12 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თემთა პალატამ განიხილა ის შესწორება, რომლის შეტანასაც მოითხოვდა მუშათა პარტია სეფესიტყვის საპასუხო მიმართვაში. შესწორება ჰგმობდა მთავრობას უმუშევრობის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის. კამათი გახსნა მაკდონალდმა. მაკდონალდი შეეხო საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას და განაცხადა, რომ ინგლისის მეურნეობა გასაღების ყოველ მცირეოდენ შესაძლებლობაზედაც კი არ უნდა ამბობდეს უარს მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ბაზარი მსხვერპლად შეეწირა მთავრობის პოლიტიკას.

თემთა პალატამ უარჰყო მუშათა პარტიის შესწორება 321 ხმით 151-ის წინააღმდეგ.

ზავის ჩამოგდების ათი წლის თავი

ანტიიმპერიალისტური დემონსტრაცია

ვაშინგტონი, 12 ნოემბერი. ზავის დადებიდან ათი წლის შესრულების გამო ამერიკის ლეგიონმა გამართა დღესასწაული. **ამ დღეს კომუნისტებმა ვაშინგტონში მოაწყვეს დემონსტრაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ. დემონსტრაციის 30 მონაწილე დააპატიმრეს.** (ადს).

დემონსტრაცია საფრანგეთში

პარიზი, 12 ნოემბერი. ზავის დადებიდან ათი წლის შესრულების გამო პარიზის გარეუბნებში გაიმართა მუშათა დემონსტრაციები ასეთი ლოზუნგებით: „ძირს ომი“, „მოვითხოვოთ ამნისტია“, „დაიცავით საბჭოთა კავშირი“. „ლიუმანიტეს“ სიტყვით, სენ-დენში პოლიცია ამაოდ ცდილობდა დემონსტრანტების გაფანტვას. დააპატიმრეს 22 კაცი. (ადს).

ამერიკელი განათლების მუშაკები საბჭ. კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 12 ნოემბ. საბჭოთა ქვეყანასთან კულტურული კავშირის ამერიკულმა საზოგადოებამ ბანკეტი გაუმართა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ განათლების მუშაკთა დელეგაციას, პროფესორ დიუის მეთაურობით. **დიუი და სხვა ორატორები ქება-დიდებით იხსენიებდნენ აღმზრდელობის მეთოდებს საბჭოთა კავშირში. კარლტონის კოლეჯის რექტორმა კოულინგმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის ცნობა შეერთებულ შტატების მიერ.**

სპარსეთის პრესა ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ

თეირანი, 12 ნოემბერი. „ეტელაათი“ ვრცელ წერილს უძღვნის ოქტომბრის რევოლიუციის მე11 წლის თავს. გაზეთი სწერს:

„ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული ეხება არ მარტო რუსის ხალხს, არამედ აღმოსავლეთის ყველა ერს. საბჭოთა კავშირის მუშური მთავრობის მიერ ძმურად გამოწვდილი ხელი და მისი მეგობრობა ჩვენთან საუკეთესო გრძნობებს იწვევს ჩვენში“ (ადს).

მ ა რ ი ა ნ ი დ ა ა პ ა ტ ი მ რ ე ს

ვენა, 12 ნოემბერი. უნიტარული პროფკავშირების ცენტრალური ორგანო „ვიაცე მუნჩიტოარე“ იუწყება, რომ 2 ნოემბერს დააპატიმრეს უნიტარული პროფსაბჭოს ყოფილი მდივანი (მუშათა სოციალისტური პარტიის წევრი) მარიანი. როგორც ცნობილია, მარიანი ერია კომუნისტების კლაუზენბურგის პროცესში. მაგრამ ის თავის დროზე ვერ იპოვეს. (ადს)

მთავრობის კრიზისი ლატვიაში

სოციალ - დემოკრატები სცდილობენ მთავრობის შედგენას

რიგა, 12 ნოემბერი. სოციალ - დემოკრატები განაგრძობენ მოლაპარაკებას მთავრობის შედგენის შესახებ. ყველა ჯგუფმა, რომელსაც სოციალ - დემოკრატებმა მიმართეს პრინციპიალური თანხმობა განაცხადა მემარცხენე მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე; მაგრამ ილაშქრებენ 35 სოციალ - დემოკრატის პლატფორმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით უძრავ ქონებათა დაბეგვრის და პოლიტპატიმართა ფართო ამნისტიის წინააღმდეგ. (ადს)

თეთრი ემიგრაციის ხრიკები

ბერლინი, 12 ნოემბერი. 6 ნოემბერს ბერლინში დაიწყო იმ ძვირფასი ნივთების აუქციონი, რომლებიც ლენინგრადის მუზეუმებსა და სასახლეებს ეკუთვნოდა. ემიგრაციის წრეებმა აუქციონის წინააღმდეგ გააჩაღეს გაფთრებული აგიტაცია. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებმა არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველგან, იცნეს საბჭოთა კავშირში მომხდარი ნაციონალიზაცია და ამიტომ საჩივრები აუქციონის წინააღმდეგ დაუშვებულია, მიუხედავად ამისა. ზოგიერთმა ემიგრანტებმა ბერლინის, საოლქო სასამართლოს „ლანდგერიხტ“-ის სამოქალაქო განყოფილებას მიმართეს შუამდგომლობით საბჭოთა აუქციონის აკრძალვის შესახებ. ბერლინის სასამართლომ უარჰყო ემიგრანტების შუამდგომლობა. სასამართლოს დასკვნაში ნათქვამია, რომ აუქციონით გასასყიდი ნივთები საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში გადავიდა რევოლიუციონური აქტის—კონფისკაციის — შედეგად. საბჭოთა სამართლის კანონიერების საკითხი,—ნათქვამია დასკვნაში,—არ შეიძლება განხილულ იქნეს გერმანიის სასამართლოში, რამდენადაც გერმანიამ ცნო საბჭოთა მთავრობა. განცხადება, თითქოს აუნაზღაურებელი კონფისკაცია არღვევს ჩვეულებრივ უფლებათა ნორმებს, უსაფუძვლოა, ვინაიდან გერმანიაშიაც არ შეიძლება დაუსაბუთებლად პროტესტის გამოცხადება აუნაზღაურებელი კონფისკაციის წინააღმდეგ. ემიგრანტებმა გაასაჩივრეს ბერლინის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ვოლფის სააგენტოს ცნობით, სასამართლო პალატის სამოქალაქო სენატმა, ბერლინის [illegible] საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ, დაადგინა—გადაეცეს სასამართლოს აღუსრულებელის დეპოზიტში ძვირფასი ნივთები, რომელნიც, თავად ფაბიან კოტრომანიჩის სიტყვით, თითქოს მას ეკუთვნის, აქ ლაპარაკია ბროლისა და ოქროს ნივთებისაგან შემდგარ მხატვრულ საჩაიო ჭურჭელზე და ერთი თავადისა და ქალის პორტრეტებზე. ორი დღის განმავლობაში აუქციონით გაიყიდა 300.000 მარკის ნივთები.

კრეისერ „ავრორა“-ს 25 წლის თავი



მიმდინარე თვეში 25 წ. შეუსრულდა კრეისერ „ავრორა“-ს. ეს ის კრეისერია, რომელმაც გადამჭრელი როლი ითამაშა ზამთრის სასახლის აღების დროს ოქტომბრის დღეებში. ამ დამსახურებისათვის კრეისერი „ავრორა“ საბჭოთა კავშირის ცაკმა დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

მისასალმებელი დეპეშები

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საბჭოთა ხელისუფლების მე-11 წლის თავის გამო საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა მისასალმებელი დეპეშები მიიღო, სპარსეთის შაჰისაგან, ავღანისტანის ფადიშაჰისაგან და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ქემალისაგან. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა მისასალმებელი დეპეშები მიიღო სპარსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გედდაიეტისაგან და თურქეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ისმეტ ფაშისაგან (ადს).

პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა, სპეციალური კომისიის მოხსენების თანახმად, გადასწყვიტა—მოხდეს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დამატებითი (გეგმით მიღებული 6 პროცენტის გარდა) შემცირება 10 პროცენტის რაოდენობით. ეს შემცირება უმთავრესად მიღწეულ უნდა იქნას რაციონალიზატორული მუშაობის გაძლიერებით სამრეწველო მეურნეობის ყოველ დარგში, ტრესტების გაერთიანებით, საწარმოთა გაერთიანებით კოოპერაციაში, წარმოების სპეციალიზაციით, მოწყობილობათა მაქსიმალური გამოყენებით და ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯების შემცირებით (ადს).

„კრასინელები" დნეპროპეტროვსკში

დნეპროპეტროვსკი, 13 ნოემბერი. ჩამოვიდა ყინულის მჭრელის „კრასინი"-ს ექსპედიციის მონაწილეთა ჯგუფი, რომელშიაც შედიან, ჩუხნოვსკი, ბორტმექანიკოსი შელაგინი და ჟურნალისტი მინდლინი (ადს).

ჰაეროსტატების მშვიდობიანად დაშვება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს საღამოთი, საჰაერო შეჯიბრებათა კომიტეტმა ცნობა მიიღო, რომ პილოტ გოდუნოვის ჰაეროსტატი მოსკოვიდან 30 კილომეტრის მანძილზე დაეშვა, პილოტ სარიჩევის ჰაეროსტატი „მოსავიახიმი"—სადგურ ტოკარევკასთან (სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა), პილოტი იმლოვის ჰაეროსტატი „ოდრი"—სტალინგრადის მახლობლად. (ადს).

აეროსტატის დაშვება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. მოვიდა ცნობა, რომ მოსკოვის საავიაციო სკოლის ჰაეროსტატი მშვიდობიანად დაეშვა სადგურ კუზმინკასთან (ტამბოვის გუბერნია). (ადს).

სამგზავრო ფასის გაიაფება დელეგატებისათვის

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა თავის გემებზე 50 პროცენტით შეამცირა სამგზავრო ტარიფი იმ სამეცნიერო ყრილობების წევრებისთვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაიმართება და რომელთაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. ასეთივე შეღავათი ენიჭება ყველა უცხოელ მეცნიერებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებს ამ ყრილობებში. (ადს).

ამანათების სახლში მიტანა

მოსკოვი, 13 ნოემბერი. ფოსტა-ტელეგრ. სახ. კომისარიატი სავალდებულოდ აწესებს ამანათების მიტანას სახლში. ამანათების მიტანის ქირა დაწესებულია შემდეგი რაოდენობით:—15 კაპ. 2 კილოგრამამდე, 25 კაპ.—10 კილოგრამამდე, 40 კაპ.—20 კილოგრამამდე და სხ. (ადს).

ნავთიანი ადგილების გამიჯვნა

მოსკოვი, 13 ნოემბერი. სათბობის მთავარმა სამმართველომ გეოლოგიურ კომიტეტს აცნობა მიწების სანიმუშო გამიჯვნა ნავთის ტრესტებსა და გეოლოგიურ კომიტეტს შორის. ეს გამიჯვნა საფუძვლად უნდა დაედოს საკვლევი ბურღვის ხუთწლიანი გეგმის შედგენას. ნავთის განკარგულებაში გადადის მთელი აზერბეიჯანი, აჭარისტანი და გურია. ამიერ-კავკასიის დანარჩენი რაიონები აზერბეიჯანისა და გურიის შუა გადადის გეოლოგიური კომიტეტის განკარგულებაში. ამასთან გეოლოგ. კომიტეტი გადასწყვეტს—მოხდეს თუ არა ამ ადგილებში ნავთის ძებნა. გროზნავთის განკარგულებაში იქნება ჩრდილო-კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი, კასპიის ზღვის ნაპირის ნაწილი და მთელი ყუბან-შავი ზღვის რაიონი. გეოლ. კომიტეტს გამოკვლევისათვის ეძლევა კასპიის ზღვის ნაპირი—კაიაკენტიდან აზერბეიჯანის საზღვრებამდე და შავი ზღვის ნაპირი ნოვოროსიისკიდან რიონამდე. (ადს).

კლასობრივი შურისძიება

პიატიგორსკი, 13 ნოემბერი. სტანიცა პრიბლიჟიონაიაში მოჰკლეს მასწავლებელი ეუკი და მძიმედ დასჭრეს სამკითხველოს გამგე სკლიაროვა. მკვლელობა ჩაიდინეს კულაკებმა კლასობრივი შურისძიების ნიადაგზე.

პროფკავშირთა მე-8 ყრილობის მოწვევა

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო მერვე ყრილობა მოწვეული იქნება 10 დეკემბრისათვის. (ადს).

საკავშირო თათბირი წიგნით ვაჭრობის შესახებ

მოსკოვი, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს საღამოთი გაიხსნა სამომხმარებლო კოოპერაციის პირველი საკავშირო თათბირი წიგნით ვაჭრობის შესახებ.

თათბირი გახსნა „ცენტროსოიუზის" თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კლიმოხინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წიგნით ვაჭრობას დღემდე ძალიან უმნიშვნელო ადგილი ეჭირა კოოპერაციის საერთო ვაჭრობაში. სამომხმარებლო კოოპერაციამ ეხლა ფართოდ უნდა განავითაროს ვაჭრობა წიგნით. სამომხმარებლო კოოპერაციას ამისათვის მოეპოვება ფინანსიური ბაზა და სავაჭრო ქსელი, რომელიც 80.000 დუქნისაგან შესდგება. ზევრ სოფელში კოოპერაციამ უნდა გახსნას სპეციალური წიგნის მაღაზია, ხოლო რაიონებში—წიგნის ბაზები. ამასთან „ცენტროსოიუზის" გამგეობამ გადასწყვიტა, წიგნით ვაჭრობის საქმეში დააბანდოს არა ნაკლებ 2 მილიონი მანეთისა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით თათბირს მიესალმა ამხ. ელიაზაროვი.

„წიგნის გავრცელება მასებში,—სთქვა მან, ეხლა უდიდესი მნიშვნელობის საქმეა კულტურული რევოლუციის ლოზუნგებთან დაკავშირებით. წიგნის გავრცელებას მასებში ხელს უშლის არა მარტო ჩვენი წიგნის ცუდი ხარისხი, არამედ ისიც, რომ ჩვენი საზოგადოება და, კერძოდ, კომპარტია სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს. ყოველგვარი ზომა უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ წიგნით ვაჭრობის საქმე ფართოდ განვითარდეს.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მინსკიმ და სხ. (ადს).

მოჯამაგირე ქალთა კურსები

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა-ქალთა და გლეხქალთა განყოფილებამ გადასწყვიტა 1929 წ. იანვრიდან მოაწყოს მოჯამაგირე ქალთა ტექნიკური კურსები. კურსების მიზანია—მოამზადოს ქვედა საფეხურის პროფმუშაკები იმ რაიონებისათვის, რომლებშიაც სჭარბობს დაქირავებულ ქალთა შრომა (ასეთია მაგალითად, ჩრდილო კავკასია, ამიერ-კავკასია და შუა აზია). (ადს).

საგზაო მშენებლობა აჭარისტანში



რკინა-ბეტონის ხიდი აჭარის წყალზე, შუა-ხევში.

ლენინაკანის აღდგენა

ახლად აგებული მუშათა ბინები საფეიქრო ფაბრიკასთან.

ბაქო-ბათომის ნავთსადენის გამოკვლევა

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს კომისიამ სამშენებლო კომიტეტის მთავარი ინსპექციისა და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით აგვისტოში მოახდინა ბაქო-ბათომის ნავთსადენისა და ბათომის ნავთის საწმენდი ქარხნების მშენებლობის გამოკვლევა. კომისიის დასკვნების მიხედვით. სათბობის მთავარმა სამმართველომ აზნავთს მისცა სხვადასხვა დირექტივა 1928—29 წლისათვის. წინადადება მიეცა, არ გადაამეტოს დამტკიცებულ საფინანსო გეგმას, არ გამოიწეროს გამოსადეგი საიმპორტო მოწყობილობა და მიიღოს ზომები უკვე გამოწერილი მოწყობილების გამოსაყენებლად. „აზნავტსტროიმ" 1928—29 წლის სამუშაოები თავის დროზე უნდა უზრუნველჰყოს საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის მასალით, იზრუნოს შტატის შერჩევისა და მმართველობის საქმის ჩამოყალიბებისათვის. „აზნავტსტროიმ" უნდა გააძლიეროს მექანიზაციის გამოყენება მუშაობაში, დააჩქაროს მუშაობა სატელეფონო კავშირის და გზების გაყვანისათვის. (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ნოემბრის პირველ ხუთ დღეულში დამზადებულ იქნა 213.363 ტონა ხორბლეული, ნაცვლად წინა ხუთდღეულში დამზადებული 297.203 ტონასი, რაც შეადგენს შემცირებას 28,2 პროცენტით. (ადს).

მოსკოვი, 13 ნოემბერი. ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. მაქსიმოვი და გზათა სახალხო კომისარის კოლეგიის წევრი ამხ. შიროწოვი მიემგზავრებიან ციმბირისა და შუა ვოლგის რაიონებში იმ ღონისძიებათა ჩასატარებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ პურის დამზადების სათანადო ტემპს და გააძლიერებენ ტრანსპორტის მუშაობას პურის დამზადების საქმეში. (ადს).

„კრასინი"-ს ექსპედიციის მონაწილენი ბაქოში

ბაქო, 13 ნოემბერი. „კრასინი"-ს ექსპედიციის მონაწილეებმა, რომლებიც ბაქოში იმყოფებიან, დღეს მუშათა მრავალრიცხოვან კრებებზე გააკეთეს მოხსენებები: ლეიტენანტ შმიდტის ქარხანაში, ამ.-კავკ. ფედერაციის სახელობის დოკებში, ფიოლეტოვის სახელობის კლუბში, აგრეთვე ბაქოს ექიმების, ინჟინერების და მასწავლებლების საერთო კრებაზე. ექსპედიციის მონაწილეებს ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ.

ლეიტენანტ შმიდტის ქარხანაში ქარხნის მუშების სახელით ექსპედიციის მონაწილეებს „კრასინი"-ს ეკიპაჟისა და ექსპედიციის ყველა მონაწილესთვის გადასცეს სხვადასხვა საჩუქრები და ადრესი, ელექტრონის ფოლადის ჩამომსხმელი ღუმელის მოდელი და სხვა მოდელები. (ადს).

ფარზალი ოღლის მკვლელების პროცესი

ბაქო, 13 ნოემბერი. დღეს საფაბრიკო-საქარხნო რაიონში შაუმიანის სახელობის კლუბში დაიწყო თურქული გაზეთის „ენიელ"-ის მუშკორის კომუნისტ გამიდულა ფარზალი-ოღლის მოკვლის საქმის გარჩევა. სასამართლოს სესია ამ საქმეს საჩვენებელი პროცესის სახით არჩევს. (ადს).

პროფ. ეუზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში თავისი მოგზაურობის შესახებ

ბაქო, 13 ნოემბერი. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობიდან ბაქოში დაბრუნდა აზერბეიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ეუზე, რომელმაც მოიარა სირია, ეგვიპტე და პალესტინა. ამ ქვეყნებში მან სულ 10 თვეს დაჰყო. პროფ. ეუზემ ამ.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი. სამეცნიერო მოგზაურობის მიზანს შეადგენდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ნაციონალურ - განმათავისუფლებელი და კულტურული მოძრაობის გაცნობა. როგორც პროფ. ეუზემ აღნიშნა, მას განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ პალესტინისა და ეგვიპტის პროგრესიული ახალგაზრდობა და მეცნიერები. საბჭოთა მეცნიერების პატივსაცემად ბევრგან ბანკეტები გამართეს. პროფ. ეუზეს სთხოვდნენ, კლუბებსა და სამეცნიერო საზოგადოებებში წაეკითხა ლექციები არა მარტო სამეცნიერო საკითხებზე, არამედ საბჭოთა კავშირის მდგომარეობაზე. ახლო აღმოსავლეთში მეტად დაინტერესებულნი არიან საბჭოთა კავშირით; დაინტერესებულია განსაკუთრებით არაბთა ახალგაზრდობა. „იერუსალიმში, სთქვა პროფესორმა, სახლების კედლებზე ხშირად შეხვდებით ლოზუნგებს, რომლებიც შეიცავენ მისალმებას საბჭოთა კავშირისადმი, როგორც აღმოსავლეთის დამონებულ ხალხთა განმათავისუფლებელისადმი".

პროფ. ეუზეს მოგზაურობას მტრულად შეხვდნენ პოლიცია და საფრანგეთისა და ინგლისის მოხელეები. ამასთან მოხელე, რომელმაც პროფ. ეუზეს სირიაში მოგზაურობის ნება დართო, შემდეგში პასუხის გებაში მისცეს. პროფესორს ყველგან თვალყურს ადევნებდნენ. იაფაში პოლიციამ დევნა დაუწყო კლუბის თავმჯდომარეს, რომელმაც ეუზეს საშუალება მისცა მოხსენებით გამოსულიყო.

სიონისტური პრესა საბჭოთა მეცნიერის მოგზაურობას მეტად მტრულად შეხვდა. მან არ დააყოვნა, გამოექვეყნებია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცილის წამებით აღსავსე, რამოდენიმე წერილი (ადს).

ქალთა განყოფილებების პირველი ყრილობის ათი წლის თავი

10 წელი სრულდება მუშა და გლეხქალთა პირველი ყრილობის მოწვევის დღიდან.

ეს ის ათი წელიწადია, რომლის განმავლობაშიაც პარტია შეუსვენებლად მუშაობდა მშრომელ ქალთა ფართო მასების დასაპყრობად, მათ ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობაში.

ეს ის ათი წელიწადია, რომლის განმავლობაშიაც მუშა და გლეხი-ქალები მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ომში, სიმშილთან ბრძოლაში, ქვეყნის აღსადგენ მუშაობაში, თავისი თავის ფაქტიური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

წინად გლეხი-ქალი უხერხულობას გრძნობდა, როცა მას დელეგატად ამოირჩევდნენ („ჩემთვის ვუყავი, მოსვენებით, და ახლა უცებ დელეგატად გამხადეს"),—ახლა კი იგი ნაწყენია, თუ „დელეგატებში არ მოხვდა".

წინად იგი მოუსვენრობას განიცდიდა, როცა ყრილობის დელეგატად ამოირჩევდნენ და ცენტრში დაპირებდა წასვლას, მახლობლები კი წუწუნს მორთავდნენ („გვატყუებენ ბოლშევიკები, ქალებს მოსკოვში საჩუქრად გზავნიან და უკან აღარ დაგვიბრუნებენო")—ახლა კი გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ყოველი ყრილობის თვითეული კანდიდატურისათვის.

პირველმა ყრილობამ, რომელიც მოწვეულ იქნა ამხ. **ლენინისა** და **სვერდლოვის** თაოსნობით იმ მიზნით, რომ მუშა და გლეხქალებს გაეგოთ ჩვენი რევოლუციის ამოცანები, პროლეტარული რევოლუციის შუაგულისაკენ მიიზიდა 1200 მუშა და გლეხქალი (მოელოდნენ 500-ს); ამ ყრილობამ გამოააშკარავა ის დიდი იმედები, რომლებსაც ქალი ოქტომბრის რევოლუციაზე ამყარებდა.

ლენინის ყოველ სიტყვას ხარბად ეწაფებოდნენ ასი და ათასი ვერსის სიშორიდან მოსული დელეგატი-ქალები. „უნდა გვახსოვდეს, უთხრა ლენინმა მათ, რომ რევოლუცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებენ მასში ქალები. სოციალური რევოლუციის საქმე უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც ქალებმა ბრძოლა დაიწყეს არა მარტო თავისუფლებისათვის, არამედ სოციალიზმისათვისაც". პირველი ყრილობის შემდეგ ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში ყრილობებისა და კონფერენციების ტალღამ გადაიარა; ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ქალები ეზიარნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც საერთო ჩამორჩენილობის გარდა ქალს მძიმე უღლად აწვა კონსერვატიული ყოფა-ცხოვრება.

1921—1922 წლებში დიდის ენტუზიაზმით ჩაიარა ამიერ-კავკასიის მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობებმა, ამიერ-კავკასიის პირველ ყრილობის საჭირბოროტო საკითხებს შეადგენდა: მშრომელი-ქალის მდგომარეობა საბჭოთა აღმოსავლეთში, მისი ამოცანები და ადგილი პროლეტარიატის საერთო ბრძოლაში, მოწოდება მოსაზღვრე აღმოსავლეთის მშრომელი ქალებისადმი, გლეხების მიერ სასურსათო გადასახადის გაღების საჭიროება, დახმარება ვოლგის მხრის დამშეულებს, მოწოდება მენშევიზმთან ულმობელ ბრძოლისათვის და სხვ.

ამ ყრილობებმა საფუძველი ჩაუყარეს სისტემატიურ მუშაობას საბჭოთა რესპუბლიკების ქალთა შორის. ეს მუშაობა უკვე ევალებოდათ პარტკომიტეტების არა ცალკე წევრებს, არამედ პარტკომებთან „ქალთა შორის აგიტაციისა და პროპაგანდის" საწარმოებლად გამოყოფილ კომისიებს; 1919 წელს ეს კომისიები გადაკეთდა პარტკომების განყოფილებებად.

ქალთა შორის მუშაობამ კვალ-და-კვალ დაიპყრო სათანადო ადგილი პარტიული მუშაობის მთელ სისტემაში. საჭირო იყო ჯეროვანი ადგილის მოპოვება, მისი დაპყრობაც კი თვით პარტიულ აპარატში, სადაც ამ საქმისადმი სულ სხვადასხვანაირი დამოკიდებულება არსებობდა: ერთსა და იმავე დროს უყურადღებობაც (ქალების აღზრდა ჩვენი საქმე არ არის, თქვენ თვითონვე იმუშავეთ) და პარტკომების განყოფილებათა, მეტადრე სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების სერიოზული სურვილი, რომ დაექვემდებარებინათ მუშა-ქალთა განყოფილებანი.

მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებს დიდი სიფხიზლე უნდა გამოეჩინათ, მეტადრე პირველ ხანებში, რომ კლასობრივ გზას არ ასცდენოდნენ, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებს უნდა ებრძოლათ პარტიის სწორი პოლიტიკის გამრუდების წინააღმდეგ (საზოგადოებათა შექმნა ქალთა განყოფილებების დასახმარებლად) და მოდუნებული სულიერი განწყობილების წინააღმდეგ. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში პარტია ყოველგვარ ზომებს იღებდა, რომ ქალთა შორის მუშაობას ფეხი მოეკიდა ზოგად პარტიულ მუშაობაში.

პარტიის მუშაობის შედეგები ამ დარგში ჩვენს თვალწინაა: მარტო ამიერ-კავკასიაში ამ წლებში 90 ათასზე მეტმა მუშა და გლეხქალმა გაიარა სადელეგატო კრებები (წელს მათი რიცხვი 30 ათასზე მეტი იყო) ისინი გაერკვნენ პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრების მიმდინარე საკითხებში, ელემენტარული პრაქტიკა მიიღეს საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, თურქი ქალები (ახლა აჭარელი ქალები) ათასობით ჩაებნენ ქალთა კლუბებში, 20 ათასი მუშა და გლეხ-ქალი, მშრომელი ქალი ჩაბმულ იქნა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, საბჭოთა ხელისუფლების საარჩევნო ორგანოებში — სასოფლო საბჭოებიდან დაწყებული ვიდრე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებამდე, რამდენიმე ათეული ათასი ჩაბმულ იქნა ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობაში, 67.214 დაქირავებული ქალი—(16,5 პროც.) მუშაობს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში (აქედან მუშა-ქალი—19.463), 4174 ქალი (საერთო რიცხვი 5,8 პროცენტი) ირიცხება კომპარტიის რიგებში.

ყოველივე ეს ფაქტების უბრალო დასახელება არ არის, ეს არის პარტიის **მიღწევები** ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუ მოვიგონებთ, რომ დასახელებულ ქალთა დიდ ნაწილს თურქი ქალები შეადგენენ—ჯერ კიდევ გუშინ და გუშინწინ კარჩაკეტილნი, ყოველივე ეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევაა ქალთა მასების დაპყრობის საქმეში. მაგრამ მუშა და გლეხ-ქალთა პირველი ყრილობის ათი წლისთავზე ჩვენ ვამბობთ—ეს საკმაო არ არის; პარტიის მუშაობას ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და დაბრკოლება ელობება, რომლებიც აუცილებლად უნდა დავძლიოთ. საჭიროა ჩვენი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება მივაქციოთ ყველაზე უფრო საგრძნობ დეფექტებსა და დაბრკოლებებს, მეტადრე ახლა, როდესაც კულტურული რევოლუციის საკითხები ჩვენი ყოველდღიური მშენებლობის დღის წესრიგშია დასმული.

ამიერ-კავკასიის ქალთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი დღევანდლამდე 21 პროცენტს არ აღემატება (მამაკაცთა შორის—34,8 პროცენტს), მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად ლიკპუნქტებში ათიათასობით მუშა და გლეხი ქალი მეცადინეობს. სოფელი კიდევ უფრო მეტ განსხვავებას იძლევა—მაგალითად, სომხეთში 1.000 სულზე წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცი—301 მოდის, ქალი—80; აზერბეიჯანში მამაკაცი—183, ქალი—34. თურქ-ქალთა რიცხვში წერა-კითხვის მცოდნენი—1,64 პროცენტს შეადგენენ (თურქ მამაკაცთა—16,12 პროც.)

ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ქალთა მოზარდი თაობა განათლების დარგშიაც. იმ დროს, როდესაც სოციალური აღზრდის დაწესებულებებში ჩაბმულია ვაჟების 32 პროცენტი (აზერბეიჯანი), 39 პროც. (საქართველო) და 47,5 პროც. (სომხეთი),—მოზარდი ქალების რიცხვი უდრის მხოლოდ 18,7 პროცენტს (აზერბეიჯანი), 27,5 პროც. (საქართველო) და 28,5 პროც. (სომხეთი). თურქ ბავშვთა შორის კიდევ უფრო მეტი განსხვავებაა. აზერბეიჯანში სოციალური აღზრდის დაწესებულებებში ვაჟები 18,7 პროცენტს შეადგენენ, მოზარდი ქალები კი მხოლოდ 8,6 პროცენტს. ეს ცნობები შემთხვევითი ხასიათის არ არის. მე ვფიქრობ, რომ მოზარდი ქალების ჩამორჩენაში ჩვენში მცირე როლს თამაშობს კონსერვატიული შეხედულება ქალების სწავლაზე, როგორც ზედმეტ ბარგზე და ერთგვარ ფუფუნებაზე; მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც, რომ მასწავლებელთა შორის ცოტაა ქალები.

საჭიროა დიდი განმარტებითი მუშაობის წარმოება მოსახლეობაში, თვით სკოლის, პიონერთა ორგანიზაციის, მუშა და გლეხქალთა განყოფილების მხრივ, რომ მოსახლეობისათვის გასაგები გახდეს საბჭოთა სკოლის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის და ახალგაზრდათა მოძრაობის იდეა.

უკეთეს მდგომარეობაში არ არის კვალიფიციური მუშა-ქალის მომზადების საქმეც. საქართველოს საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში 414 მოსწავლეზე მხოლოდ 10 ქალი მოდის, აზერბეიჯანში—1833 მოსწავლეზე—117 ქალი, ერთად-ერთი გამონაკლისს სომხეთი წარმოადგენს, სადაც 86 მოსწავლეზე—58 ქალი მოდის; ქალთა რიცხვი კიდევ უფრო ნაკლებია გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში და სხვადასხვა პროფტექნიკურ კურსებზე.

ქალთა შორის მუშაობის დეფექტები ყველაზე ნათლად **დაწინაურების** საკითხებში სჩანს. რევოლუციამ მრავალი ასეული და ათასეული მუშა დააყენა ხელმძღვანელ სამუშაოზე, სამწუხაროდ ქალები მათ შორის თითქმის არ მოიპოვებიან. მიზეზი სრულებითაც ის არ არის, რომ რევოლუციის წლებში მუშა-ქალი წინ არ წაწეულიყოს, ეს მართალი არაა. საქმე ის არის, რომ ჩვენ (თვით მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებანიც კი) არ ვითვალისწინებთ, არ ვცნობთ ჩვენს რეზერვებს და გარდა ამისა კონსერვატიულად ვეკიდებით ქალთა დაწინაურებას დამოუკიდებელ ხელმძღვანელ სამეურნეო, საბჭოთა და სხვა სამუშაოზე და ამ კონსერვატიზმს ვამართლებთ თვით მუშაობის „სირთულით", „ყოფა-ცხოვრების" პირობებით.

თუ ამ დარგში გაბედული ცვლილება არ მოახდინეს პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციების საშუალო და ქვედა ორგანოებმა, ჩვენ კიდევ დიდხანს ვილაპარაკებთ იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალები არა გვყავს, დიდხანს დავრჩებით მოჯადოებულ წრეში.

საბჭოების მომავალმა არჩევნებმა გადამწყვეტი ცვლილება უნდა მოახდინონ ქალების დაწინაურების საქმეში ხელმძღვანელ საბჭოთა სამუშაოზე,—რასაკვირველია, აქ საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი მიდგომა.

პირველი ყრილობის მეათე წლის თავისათვის ჩვენმა რესპუბლიკებმა, რ. ს. ფ. ს. რ.-ის მსგავსად, მთელი რიგი ქალები უნდა დააწინაურონ საპასუხისმგებლო სამუშაოზე და მით საფუძველი ჩაუყარონ მუშა და გლეხქალების უკვე არსებული აქტივის სისტემატიურ დაწინაურებას. დროა ითქვას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მეგობარს არ შეუძლია ქალთა დაწინაურების მოწინააღმდეგე იყოს!

ქალისადმი კონსერვატიულ დამოკიდებულებასთან ბრძოლის საკითხები პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, ვინაიდან მათ დიდი ადგილი უჭირავთ ჩვენში დარჩენილ ყალბ შეხედულებათა შორის. მცირეწლოვან ქალთა გათხოვება, ყალიმი, მშობიარობის დროს ქალის გამარტოვება და სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობა, ჩადრის ტარება, რაც უფრო აღრმავებს ქალის დამამცირებელ მდგომარეობას,—ყველაფერი ეს მთელს საბჭოთა კავშირში არსებულ საერთო მიზეზებთან ერთად (ქალების არა საკმაოდ ჩაბმა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებში, შრომის არა სწორი კვალიფიკაცია, ქალის ყოფა-ცხოვრების შემამსუბუქებელ დაწესებულებათა მცირე ქსელი) დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ქალის მდგომარეობის განმტკიცებისათვის წარმოებაში და საზოგადოებრივ სამუშაოზე; აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ამ მიზეზებს ადგილი აქვთ არა მარტო უპარტიო მასებში, არამედ პარტიულებს შორისაც.

„გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს არა მარტო ჩადრის ტარებას, არამედ ქალის დამამცირებელ მდგომარეობასაც ოჯახში"—ასეთი იყო ერთსულოვანი პასუხი, რომელიც ჩვენ ანკეტაზე მივიღეთ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალური მუშაკების ხელმძღვანელ აქტივისაგან,—დაგმობილ იქნან ის პარტიულები და კომკავშირელები, რომლებიც თავის ოჯახში ქალის ასეთ მდგომარეობას იწყნარებენო". კომუნისტი, კომკავშირელი, უპარტიო აქტივისტი—უნდა გახდნენ ძველ ყოფა-ცხოვრებასთან ბრძოლის ინიციატორები.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ბრძოლა კლასობრივი მტრის წინააღმდეგ მიმართული—პოლიტიკური ბრძოლაა.

მართლაც—პარტიის წევრი (ამასთანავე პასუხისმგებელი მუშაკებიც), რომელიც თავის ცოლს ჩითის ჩადრს აბრეშუმის ჩადრზე უცვლის, რომელიც მოითხოვს, რომ მისმა ცოლმა კომკავშირელის ბილეთი „უკან დააბრუნოს"—განა პროლეტარული დიქტატურის მტერი არ არის? კომკავშირელი, რომელიც ქალს განგებ იტაცებს, რომ ყალიმის გადახდა აიცდინოს თავიდან, და ის ამხანაგები, რომლებიც მას ხელს უმართავენ ამაში, განა კლასობრივი მტრის საქმეს არ აკეთებენ, რაკი ძველ ყოფა-ცხოვრებას ტყვედ უვარდებიან იმის მაგიერ, რომ შეებრძოლონ მას? განა ისინი სამარცხვინო ბოძზე არ არიან გასაკვრელნი? აქტივისტი,—პარტიულია ის თუ უპარტიო,—რომელიც ცოლს უკრძალავს საზოგადოებრივ სამუშაოზე სიარულს, რომ მისი „მეუღლეობა" არ დაირღვეს, განა ქალის განთავისუფლების საქმეს არ აფერხებს? განა ასეთი დამოკიდებულება ქალისადმი თვით ამ მუშაკის დახასიათებას არ წარმოადგენს?

პირველი ყრილობის ათი წლისთავის ძირითადი ლოზუნგები უნდა იყოს: ულმობელი ბრძოლა ქალის ფაქტიური განთავისუფლებისათვის, ბრძოლა ისეთ საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის რომლებიც ხელს შეუწყობენ ყოფა-ცხოვრების კოლექტივიზაციას (საბავშო ბაღები, კარები, ბაგები, სასადილოები და სხვ.) და გააადვილებენ მუშა და გლეხ-ქალთა მდგომარეობის განმტკიცებას საზოგადოებრივ სამუშაოზე.

ბოლოს, შევეხოთ ქალების შემადგენლობას პარტიაში. ესეც ჩვენი ერთ-ერთი სუსტი ადგილია. ამიერ-კავკ. პარტიულ ორგანიზაციებში მხოლოდ 4,186 კომუნისტი ქალია, ე. ი. 9 პროცენტი. ეს რიცხვი, რასაკვირველია, საკმაო არ არის. ამის მიზეზიც რეზერვების შესწავლა—აღრიცხვის სისუსტე და ერთგვარი უყურადღებობა ქალების პარტიაში ჩაბმისადმი. უახლოეს წლებში ამ მუშაობამ სათანადო ადგილი უნდა დაიჭიროს პარტიის შემადგენლობისა და მისი ზრდის მოწესრიგების საქმეში. საჭიროა გავაძლიეროთ პარტიაში ჩაბმა მუშა ქალებისა (კომუნისტ ქალთა შორის მუშა ქალები მხოლოდ 35,5 პროცენტს შეადგენენ), მოჯამაგირე და ღარიბ გლეხ ქალებისა.

ასეთია ჩვენი გადაუდებელი ამოცანები. მათი განხორციელების აუცილებელი პირობაა — პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობაში.

პარტიული ხელმძღვანელობა გაძლიერდა ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ იგი საკმაო არ არის ქვედა საფეხ. ორგანოებში, მეტადრე უჯრედებში, ჩვენი მუშაობის უსაჭიროეს საკითხებს წარმოადგენენ: სადელეგატო კრებების ხელმძღვანელობის საკითხები, **ყოფა-ცხოვრების** საკითხები, ქალთა შორის გეგმაშეწონილი მუშაობის საკითხები (ახეც ხდება ხოლმე, რომ ქალთა შორის მუშაობის გეგმა უჯრედის ორგანიზატორს „თავში" აქვს —„როცა საჭირო იქნება, განვახორციელებთ").

ქალთა შორის მუშაობა პარტმუშაობის ისეთსავე განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს, როგორც სამეურნეო, პოლიტიკური და სხვა ამგვარი ხასიათის საკითხები.

როგორც 10 წ. წინად ჩვენმა პარტიამ საჭიროდ ჩასთვალა, რომ პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობისთანავე აემოძრავებინა მუშა ქალები, გლეხ-ქალები, მშრომელ-ქალების ფართო მასები, გამოერკვია მათი საჭიროებანი, განემარტა მათთვის პარტიის ამოცანები და ქალების როლი ამ ამოცანების განხორციელებაში,—ისე ახლაც, 1ლი ყრილობის ათი წლის თავზე, პროლეტარიატის დიქტატურის მეთორმეტე წელში, როდესაც ჩვენ მივდივართ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის გზით, როდესაც „კულტურის საკითხები ისევე საჭიროა, როგორც ტყვია-წამალი ომის დროს" (რიკოვი, პარტიის მე-15 ყრილობა),—ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ყველაფერს, რაც აფერხებს ქალის მდგომარეობის განმტკიცებას წარმოებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში და მით სოციალიზმის მშენებლობასაც აბრკოლებს.

ხ. შაჰვერდოვა.

პარტიაში

მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

დნეპროპეტროვსკი, 13 ნოემბერი. დნეპროპეტროვსკის ორგანიზაციის პარტაქტივმა მოისმინა ამხ. **სკრიპნიკის** მოხსენება უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით უერთდება პლენუმის ყველა დადგენილებას. პარტაქტივი ადასტურებს, რომ ეს დადგენილებები გარკვევით უსვამენ ხაზს პარტიის მიერ აღებულ ინდუსტრიალიზაციის ტემპის მნიშვნელობას, იგი განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ც. კ. პლენუმმა სათანადო პასუხი გასცა მემარჯვენე ოპორტუნისტულ ელემენტებს და შემარიგებელ დამოკიდებულებას მათთან. პარტაქტივი სცნობს, რომ უკრაინის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთელმა პარტორგანიზაციამ, ტროცკიზმის ნამსხვრევების მოგერიებასთან ერთად, მთელი თავიანთ იერიში უნდა მიიტანონ მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

არტემოვსკი, 13 ნოემბერი. უკრაინის კომპარტიის არტემოვსკის საოლქო კომიტეტმა და საოლქო საკონტრ. კომისიის პლენუმმა ფართო პარტაქტივთან ერთად მოიწონა საკავშირო კომპარტიის ცეკას წერილი მოსკოვის ორგანიზაციისადმი. საოლქო კომიტეტს და მთელს პარტორგანიზაციას წინადადება მიეცა არ შეასუსტოს ტროცკისტულ მემარცხენე ფრაზის წინააღმდეგ ბრძოლის ტემპი და ამავე დროს უდიდესი ყურადღება მიაქციოს მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლას.

ლუგანსკი, 13 ნოემბერი. ლუგანსკის პარტორგანიზაციის გაფართოებული საოლქო აქტივი ესალმება ცეკას გაბედულ ბოლშევიკურ ხაზს მემარჯვენე გადახრასა და ამ გადახრისადმი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან ბრძოლის საქმეში. აქტივი მოუწოდებს საოლქო პარტორგანიზაციას შეამჭიდროვოს ლუგანსკის პროლეტარიატის რიგები პარტიის ირგვლივ მუშათა მასების სოციალისტურ მრეწველობაში ფართოდ ჩაბმის საფუძველზე. (ადს).

სასოფლო პარტ-თათბირის პლენუმი

მეორე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. ბაქრაძის მოხსენების გარშემო.

ამხ. ჭოჭუა (კახეთი)—აღნიშნავს, რომ სოფლად მომუშავე ამხანაგებს არა აქვთ სახელმძღვანელო დირექტივები ღარიბთა შორის მუშაობის საკითხებში; კოლმეურნეობები ზოგჯერ უგეგმოდ ეწყობა, რის გამოც ისინი ხშირად იშლებიან. ინდივიდუალურ დაბეგვრაში ღარიბთა ჯგუფები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ; ყოველივე ამას მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. კოხტაშვილი (კახეთი)—ადგილობრივი პარტმუშაკები ვერ არიან ისეთი მომზადებულნი, რომ სწორი ხელმძღვანელობა გაუწიონ ღარიბთა ჯგუფებს. ზოგიერთი ამხანაგები კულაკების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და აშკარად მხარს უჭერენ მათ. ერთერთ სოფელში (კახეთში) კულაკების გავლენით მიწა ჩამოართვეს მოჯამაგირეს. სესხი უმეტეს ნაწილად არ ხმარდება ღარიბთა მეურნეობის გაუმჯობესებას, ის ეძლევა მოსამსახურეებს; ზოგიერთი მუშაკები ასე აყენებენ საკითხს: „ღარიბს, რომ სესხი მივსცეთ, ის ვერ გადიხდისო"—ეს არის პარტიის პოლიტიკის, პარტიის ხაზის დამახინჯება.

ამხ. ადიკაშვილი (თბილისი)—არ ეთანხმება მომხსენებლის მოსაზრებას, რომ თითქოს ადგილი ჰქონდეს კულაკების მასიურ გამოლაშქრებას კოლექტივების წინააღმდეგ. ის გარემოება, რომ საკრედიტო ამხანაგობაში და კოოპერაციაში კულაკებია ჩაბმული უნდა მიეწეროს ადგილობრივ პარტორგანიზაციების სისუსტეს. ზოგიერთ ვაჭრებს პურის სრული ნორმა აქვთ (კახეთში), ეს მაშინ, როდესაც ღარიბ გლეხს ნახევარი ნორმაც კი არა აქვს. ზოგიერთ სოფლებში აწყობენ ღარიბთა ჯგუფებს, ადგენენ სიებს და შემდეგ მას არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ, ორატორი მოითხოვს ღარიბ გლეხთა ჯგუფებზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ამხ. დოლიძე (თბილისი)—მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლას სოფლად ნაკლები ყურადღება ექცევა. რადგან ზოგიერთი ამხანაგები ვერ აფასებენ კულაკების შემოტევას; ღარიბ გლეხთა ფონდები ხშირად გაუნაწილებელი რჩება, სესხის განაწილებას ხშირად რამოდენიმე თვეობით აგვიანებენ; აგროდახმარება [illegible]; მიწათმოწყობის დროს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ გლეხობას.

ამხ. ტაბიევი (ა.-კ. საოლქო კომიტეტი). ძველ რიგ შეცდომებს სოფლად მუშაობაში ორატორი ხსნის იმ გარემოებით, რომ ღარიბთა შორის მომუშავე ამხანაგებს არ აქვთ სპეციალური მომზადება, რაც მთავარია/მათ არა აქვთ სპეციალური სახელმძღვანელოები. ორატორს აუცილებლად მიაჩნია [illegible] მუშაკთა კადრის [illegible]

ამხ. პეტროსიანი (ახალქალაქი) —ზამთრობით ჩვენს რაიონში მუშაობა მძიმე პირობებში გვიხდება. მიმდინარე წელს შევსძელით კოოპერატივში მომუშავეთა სოციალური მდგომარეობის გამოკვლევა. ამ უკანასკნელ ხანებში ღარიბ გლეხთა ჯგუფების ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა, ეს იმიტომ, რომ ღარიბთა კრებების დადგენილებები როგორიცაა მაგ. მიწათმოწყობა და სხვა გატარდა ცხოვრებაში.

ამხ. კიზირია (ცაკი)—ორატორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მაზრებში სოფლის მოსახლეობა დაყოფილია არა მარტო სამ ჯგუფად, არამედ, ოთხ, ხუთ და ხშირად ექვსადაც. ორატორის აზრით სოფლის მოსახლეობის ფენებად დანაწილება უნდა ხდებოდეს ადგილობრივი პირობების მიხედვით, არ შეიძლება ერთი საზომით მიდგომა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე.

ამხ. ნესტორიძე (კომკავშირის ცეკა)—მომხსენებელმა არც ერთი სიტყვა არ სთქვა კომკავშირის როლზე ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში და საერთოდ დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა კომკავშირის ორგანიზაციების ჩაბმას ამ მუშაობაში. კომკავშირის კომიტეტების ზოგიერთ მომუშავეებმაც კი არ იციან თუ როგორია გლეხური ახალგაზრდობის სკოლების მოწაფეთა სოციალური შემადგენლობა; 93 ასეთი სკოლიდან მხოლოდ 20 სკოლა აკმაყოფილებს ღარიბთა და მოჯამაგირეთა ინტერესებს. ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება; პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციებმა კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ღარიბთა შორის მუშაობას; აღსანიშნავია, რომ ჩვენს პერიოდულ გამოცემებში სუსტად შუქდება ღარიბთა შორის მუშაობის საკითხები, რაც მომავალში უნდა გამოსწორდეს.

ამხ. ესაიანი (ცეკას ქალ. განყ.) ორატორი უმთავრესად ეხება ღარიბ ქალთა შორის მუშაობას და მრავალი მაგალითი მოჰყავს იმის შესახებ, თუ ქალები როგორ იქცევიან კულაკებისა და სასულიერო პირთა გავლენის ქვეშ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. **ბერაძემ** (ახალციხე), ა. **შაუაშვილმა** (კახეთი), **ზოიძემ** (აჭარისტანი), **კარაპეტოვმა** (კოლმეურნეობა) და **რაგუამ** (ოზურგეთი);

ამხ. რაგუას სიტყვით, თითქოს ადგილი აქვს კულაკურ ელემენტების შემოტევას და მენშევიკები უფრო საშიში არიან დღეს, ვინემ კულაკები.

სხდომის დასასრულს სიტყვა აიღო ამხ. არუთინოვმა. ის ვრცლად შეჩერდა პლენუმის დღის წესრიგში დასმულ საკითხების მნიშვნელობაზე, დაახასიათა ამხ. რაგუას გამოსვლა, რომლის სიტყვაც ლენინურ ხაზის აშკარა დამახინჯებას წარმოადგენდა. შეჩერდა მოსახლეობის ფენებად დაყოფაზე და მოუწოდა დელეგატებს უმთავრესად შეეხონ იმას, თუ განვითარების რომელ საფეხურზეა ღარიბთა შორის მუშაობა მათს მაზრაში.

მესამე სხდომა

გრძელდება კამათი ამხ. ბაქრაძის მოხსენების გარშემო.

ამხ. ცაგარელი (კოლმეურნ. ცენტრი). აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობის მოწყობა სოფლად ჩვენი მიმდინარე მუშაობის მთავარი საკითხია. უდავოა ის ფაქტი, რომ კულაკებმა კოლმეურნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაითრია ღარიბი გლეხობის ნაწილიც. ჩვენში ჩამოყალიბებული გვაქვს 500 კოლმეურნეობა, რომელშიდაც გაერთიანებულია 12 ათასი კაცი; ამაში ცხადია, არიან შეძლებული ელემენტებიც, ამიტომ მათი გაწმენდა აუცილებელია.

ამხ. იმედაძე (პოლიტგანათ. მთავარმმართველობა) ორატორი აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ სდგას ღარიბ გლეხთა ბავშვების აღზრდის საკითხი. აქ ადგილი აქვს შემდეგ გარემოებას: პირველი ჯგუფის მოწაფეებში ღარიბი გლეხის შვილები დიდ პროცენტს შეადგენენ, მე-4 ჯგუფის ზევით კი მათი პროცენტი საგრძნობლად ეცემა, სამაგიეროდ იზრდება შეძლებულ გლეხთა შვილების პროცენტი. სოფლად წერა-კითხვის მცოდნეთა შორის პროცენტულად პირველი ადგილი კულაკებს უჭირავს; კოლმეურნეობა ჯერ კიდევ ვერ შეიქნა კულტურულ - განმანათლებელ ცენტრად;

წითელ ქალაქის თემში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: აღმასკომის თავმჯდომარე მეგობრულ განწყობილებაში იყო ადგილობრივ კულაკთან, მასთან ათევდა ღამს, ერთად სადილობდნენ, აძლევდა სიღარიბის მოწმობას, ანთავისუფლებდა გადასახადისაგან და სხვა; ერთ სოფელში, როდესაც კომკავშირელს მისცეს კულაკიდან ჩამორთმეული მიწა, ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა, მას უხერხულად მიაჩნდა ჩამორთმეულ მიწის დამუშავება. ყველა ეს ფაქტები მოწმობს, რომ ზოგჯერ კომუნისტებიც კი არიან კულაკების გავლენის ქვეშ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. მაისურაძე, მამულია, ცინცაძე, საყვარელიძე, სტეფანოვი, გუროშვილი და სხვა.

ამხ. ბაქრაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია მოხსენების გამო რეზოლიუციის შესამუშავებლად.

მუშა ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის

დღეს არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის მოვლენა, რომ მთელ რიგ წარმოებებში მუშა-ქალები მამაკაცებთან შედარებით უმრავლესობას წარმოადგენენ. მშრომელი ქალი თანდათანობით ებმება წარმოებაში და მამაკაცთან თანაბარ პირობებში ენერგიულ მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებაში ჩაბმულ მუშა ქალთა უმრავლესობის კვალიფიციური დონე გაცილებით დაბლა სდგას მუშა-მამაკაცებთან შედარებით.

მუშა-ქალის კვალიფიკაციის ასაწევად ჯერჯერობით საკმაო ღონისძიებები არ არის მიღებული. უმაღლესი ორგანოების დირექტივების თანახმად კი, წარმოებები უნდა გადაიქცეს სკოლად, სადაც დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშებიდან უნდა მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის მუშა-ხელი.

მაგრამ წარმოებებში როგორც ადმინისტრაცია, ისე ცეხების უფროსები უმრავლეს შემთხვევაში ამას გვერდს უვლიან და მთელი რიგ წლების განმავლობაში მუშა-ქალის კვალიფიკაცია ისევ დაბალ დონეზე რჩება.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მუშა-ქალი მიმართავს წარმოებაში უფროს ხელოსანს, რომ მან შეასწავლოს ხელობა, მაგრამ ხელოსნები მუშა-ქალის ამ კანონიერ მოთხოვნილებას უყურადღებოთ სტოვებენ. ეს გარემოება იმას ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ მტკიცედ არ ტარდება დირექტივა მშრომელ ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ქალთა კვალიფიკაციის ამაღლება მიზნად უნდა დაისახონ არა მარტო ქალთა განყოფილებებმა, არამედ პროფესიონალურ ორგანიზაციებმაც.

ეხლახან დამთავრებულ ქალთა განყოფილებების რესპუბლიკანურ თათბირზე, სხვა საკითხებს შორის იდგა საკითხი ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ. ამ მიზნის ცხოვრებაში გასატარებლად ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ პროფკავშირებმაც.

საჭიროა პროფკავშირების მიმდინარე ყრილობებზე ერთ-ერთ საკითხად დღის წესრიგში დასმულ იქნას ქალთა კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკულად განხორციელების საკითხიც.

უნდა ვეცადოთ, რომ წარმოებებში ჩაბმულმა მუშა-ქალებმა კვალიფიკაციის ამაღლებით შესძლონ შრომის ნაყოფიერების გადიდება საჭირო სიმაღლემდე.

ე. ზ. ლ—ი.

ლოზუნგები

ქალთა განყოფილებების არსებობის ათი წლის თავისათვის

1. საქართველოს მუშა და გლეხო ქალებო, ათი წლის იუბილეს დღეს გაიხსენეთ, რომ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თქვენ მოიპოვეთ თავისუფლება და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის უფლება. გაუმარჯოს ლენინის პარტიას!

2. საქართველოს მშრომელო ქალებო, შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები, გააძლიერეთ თქვენი მონაწილეობა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში, გასწიეთ აგიტაცია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის და განამტკიცეთ წითელი არმია. გაუმარჯოს წითელ არმიას—დიდი ოქტომბრის ღვიძლ შვილს!

3. საქართველოს მუშა ქალებო, გამოუცხადეთ ბრძოლა სამუშაო დღის გაცდენას, დაუდევრობას, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, გააძლიერეთ მონაწილეობა საწარმოო თათბირების მუშაობაში.

4. მუშა ქალებო, განამტკიცეთ კავშირი გლეხობის ძირითად მასასთან, ასწავლეთ ღარიბ გლეხ ქალებს და მოჯამაგირე ქალებს კულაკის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლა; გააძლიერეთ ღარიბ გლეხ ქალებისა და მოჯამაგირე ქალების აქტივობა და მონაწილეობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში.

5. მუშა ქალებო, ღარიბო გლეხო ქალებო და მოჯამაგირე ქალებო, ქალთა განყოფილებების მეათე წლის თავზე მიეცით ლენინის პარტიის რიგებს საუკეთესო, ნაცადი ამხანაგები, იყავით პარტიის დასაყრდენი ქალაქში და სოფლად.

6. საქართველოს მშრომელო ქალო, ლახვარი ჩაეცი აჭარელი და თურქი ქალის მონობას. დაეხმარე მათ დახავსებული ყოფა-ცხოვრების ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. ძირს ჩადრი, ყალიმი, მრავალცოლიანობა! გაუმარჯოს წითელ თავსაკრავს, გაუმარჯოს განთავისუფლებულ აჭარელ და თურქ ქალს!

7. მუშა და გლეხო ქალო, იცოდე, რომ საბჭოებში შენი სუსტი მონაწილეობა აფერხებს სოციალისტურ მშენებლობას. ათი წლის თავის დღესასწაულის ერთ-ერთი ლოზუნგი უნდა იყოს—ყველამ მიიღოს მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში, არც ერთი ქალი ამა არ უნდა გამოაკლდეს არჩევნებს.

8. მუშა ქალებო, ღარიბო გლეხო ქალებო და მოჯამაგირე ქალებო, სადელეგატო კრებების საშუალებით გააძლიერეთ თვითკრიტიკა, გააუმჯობესეთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი. გაუმარჯოს ულმობელ კრიტიკას და თვითკრიტიკას ბიუროკრატიზმისა და უკულტურობის წინააღმდეგ!

9. საქართველოს მშრომელო ქალებო, იუბილეს დღეს გავიხსენოთ ჩვენი წერა-კითხვის უცოდინარობა. გავაძლიეროთ მონაწილეობა სალიკვიდაციო სკოლებში, მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, გავაძლიეროთ სკოლები, გავაუმჯობესოთ კლუბები და სამკითხველოები, გავაძლიეროთ ბრძოლა ლოთობასთან, დაუზოგავი ბრძოლა გამოვუცხადოთ რელიგიურ შხამს. გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციას!

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მ. და გ. ქალთა განყოფილება.

აფხაზეთის პარტიული კონფერენცია

სოხუმი, 13 ნოემბერი. დაიწყო აფხაზეთის მე-10 პარტიული კონფერენცია. საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. ამასმა; მომხსენებელი შეეხო აფხაზეთის ინდუსტრიალიზაციის საკითხს და აღნიშნა, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა ტყვარჩელის ქვანახშირის საექსპლოატაციოდ და ნავთსადგურის მოსაწყობად სოხუმში, ბზიბის ხე-ტყის კომბინატის ასაგებად და შავი ზღვის რკინისგზის გასაყვანად. ამხ. ამასმა დაახასიათა მრეწველობის საერთო მდგომარეობა და სთქვა:

„ხე-ტყის ტრესტი დაქვეითებას განიცდიდა, რაც აიხსნება ცუდი ხელმძღვანელობით და თანხების ნაკლებობით. უკანასკნელ ხანებში ხელმძღვანელობა გაუმჯობესებულია, ნედლეულობის დამზადება შეუფერხებლად სწარმოებს. მოგება მოაქვთ გუდაუთის სპირტის სახდელ ქარხანას და სტამბას. ოჩემჩირესა და გუდაუთში აგებულია ელექტროსადგურები, აღძრულია საკითხი გუმისტის ჰიდრო-სადგურის აგების შესახებ.

სოფლის მეურნეობის დარგში უნდა აღინიშნოს ნათესი მიწების სივრცის გადიდება; მიწათმოსაწყობი სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მიღწევები გვაქვს მაშინიზაციის დარგშიაც. გუთნების რაოდენობა 1923 წელთან შედარებით გაიზარდა 70 პროცენტით. ტრაქტორიზაცია ჩანასახ მდგომარეობაშია, მაგრამ გვაქვს 7 ტრაქტორი. აფხაზეთის „სოფლის კავშირის" და თამბაქოს კავშირის მუშაობა განმტკიცდა; თამბაქოს ნათესების კონტრაქტაცია, როგორც პირველი ცდა, საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

მართალია, საბჭოთა მეურნეობანი არ ასრულებენ პარტიის მიერ დაკისრებულ ამოცანებს. მაგრამ ეს აიხსნება თანხების უქონლობით და საბჭოთა მეურნეობების ცუდი ხელმძღვანელობით. სუსტად არის კოლექტივიზაციის საქმე საორგანიზაციო მხარის მოუგვარებლობისა და თანხების უქონლობის გამო.

საბჭოთა აპარატის რაციონალიზაციის დარგში მუშაობა მოისუსტებს: დღემდე კიდევ არ არის ჩატარებული ხარჯების 20 პროც. შემცირება. დაწინაურება არ სწარმოებს სისტემატიურად, განსაკუთრებით სუსტად არის დაწინაურებული აფხაზეთის ღარიბი გლეხობა.

პროფესიონალური კავშირების რიცხობრივი შემადგენლობა იზრდება. შარშან პროფკავშირებში ირიცხებოდა 10.600 წევრი, წელს ირიცხება—12.400 წევრი. სამუშაო ხელფასის ფონდი გაიზარდა.

აუცილებლად უნდა იქნას გაძლიერებული მუშაობა ინტელიგენციის შორის, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო საზოგადოებებში გავლენის გაძლიერებას, აჩქარებული ტემპით უნდა იქნას წარმოებული მუშაობა აფხაზეთის ეროვნული კულტურის შესაქმნელად, კერძოდ ლიტერატურისა და ენის შესაქმნელად. უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ანტისაბჭოთა იდეოლოგიასთან და ყველა მიმართულების ნაციონალიზმთან, გაუმჯობესდეს მუშაობა მასების ინტერნაციონალურად აღზრდისათვის.

პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა და განმტკიცდა, რამდენადმე განმტკიცდა პარტიული ხელმძღვანელობა. ჩვენ ნაკლოვანებების, შეცდომების უმთავრესი მიზეზი პარტიული ხელმძღვანელობის წინანდელი სისუსტეა. აუცილებელია ამ ხელმძღვანელობის კიდევ უფრო განმტკიცება, პარტიული ორგანიზაციის რიგების დარაზმვა მემარჯვენე საფრთხესა და ამ გადახრის ყოველ პრაქტიკულ გამოხატულებასთან საბრძოლველად. (ადს).

უჯრედთა ბიუროების გადარჩევა

არჩევნები დიდი აქტივობით ჩატარდა

თბ. აღმასკომის უჯრედი

საანგარიშო მოხსენება და ბიუროს არჩევნები თბ. აღმასკომის უჯრედში გაგრძელდა ორი დღე. უჯრედის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ძველი ბიუროს მუშაობის შეფასებაში.

ბიუროს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა უჯრედის მდივანი ამხ. **ჭურღულია**. მომხსენებელი მოკლედ შეჩერდა იმ მიღწევებზე, რომელიც ბიუროს ჰქონდა საანგარიშო პერიოდში.

ბიურო-კოლექტივი,—ამბობს მომხსენებელი,—აერთიანებს ხუთ უჯრედს, რომელშიდაც გაერთიანებულია 196 პარტიის წევრი და კანდიდატი. სამუშაო გეგმა, რომელიც გათვალისწინებული იყო წლის დასაწყისში, მთლიანად შესრულებული არ არის; პარტდისციპლინა ამ ბოლო დროს გამოსწორდა; პარტ. მუშაკების მონაწილეობა ჩვენს სამეურნეო აპარატში გასულ წელთან შედარებით უფრო აქტიურია, გატარებულ იქნა ადმინისტრატ. სამეურნეო ხარჯების 16 პროცენტით შემცირება; ხშირად ეწყობა ეკონომ-თათბირები, რომელსაც პარტწევრების მხოლოდ 40 პროცენტი ესწრება; ოთხი თვის განმავლობაში საპასუხისმგებლო ადგილებზე დავაწინაურეთ 13 მუშა, ეს ციფრი წვეთია ზღვაში ასეთ დიდ დაწესებულებისათვის, როგორიცაა თბილისის აღმასკომი. კომკავშირის ორგანიზაციაზე, რომელიც 153 წევრს აერთიანებს ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელია, მიმაგრებული ამხანაგები სწორ ხელმძღვანელობას უწევენ კ. კ. უჯრედებს.

მომხსენებელი შეეხო აპარატის რაციონალიზაციას, ბიუროკრატიზმს და მასთან ბრძოლას, კულტურულ და ქალთა შორის მუშაობას და სხვა.

გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. ადამიძემ, გომართელმა, კალანდაძემ, გავაშელმა, სუხიშვილმა, ნებიერიძემ, თხილავამ, ჯანელიძემ, მარგალიტაძემ, სიმონგულოვმა, ტყაბლაძემ, კილურაძემ, ბოლქვაძემ, გოგიამ, აკოპოვმა, დალაქიშვილმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აცხადებდნენ: უჯრედი სუსტ მონაწილეობას ღებულობდა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, პარტკოლექტივებს უხდებოდათ ზოგიერთ განყ. გამგეებთან ბრძოლა; „უქს"-ში ადგილი აქვს პროტექციონიზმს; მთელი დღე მუშების და მოსამსახურეების გრძელი კუდებია ბინების შესახებ, მაგრამ უშედეგოდ, ოთახების განაწილება არ ხდება მიზანშეწონილად; უჯრედს ამის შესახებ ზომები არ მიუღია. ზოგიერთი განყოფილების გამგეები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ეკონომთათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას; აპარატის გაუმჯობესების საკითხი აღმასკომის დაწესებულებებში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე; 13 მუშის წამოწევა ადმინისტრატიულ და სხვა სამუშაოზე არაა საკმაო. დაწინაურებულთა შორის მუშაობა მოისუსტებს, არავინ არ იკვლევს, თუ როგორ მუშაობენ დაწინაურებული ამხანაგები. არ ეწყობა მათი თათბირები, იშვიათად ეწყობოდა ღია კრებები, აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება თითქმის მივიწყებულია; საჭიროა სასტიკი და სისტემატიური ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან.

კამათის და ამხ. ჭურღულიას საბოლოო სიტყვის შემდეგ ბიურო-კოლექტივის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. კრებას მიერ ერთხმად იქნა მიღებული პრაქტიკული წინადადებები, რომლის ცხოვრებაში გატარება დაევალა ახალ ბიუროს.

ბიურო - კოლექტივში არჩეულია 11 წევრი და 4 კანდიდატი.

დასასრულ არჩეულ იქნა დელეგატები რაიონულ პარტკონფერენციაზე 10 გადამწყვეტი და სამი სათათბირო ხმის უფლებით.

ქა—ძე.

ტელეგრაფის მუშაკთა უჯრედში

ტელეგრაფის მუშაკთა კომიტეტის ბინაზე შეიკრიბნენ უჯრედის წევრები ბიუროს მუშაობის საანგარიშო მოხსენების მოსასმენად. უჯრედის მდივნის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პირველ ხანებში ბიურო ვერ იჩენდა მუშაობაში საკმაო ინიციატივას, ვინაიდან უჯრედის მდივანი, რომელიც მეცადინეობას აწარმოებდა, ხელმძღვანელობას ვერ უწევდა მუშაობას. მაგრამ შემდეგ არჩეულ იქნა ახალი მდივანი და მუშაობაც გამოცოცხლდა. ბიურომ შემდეგ მიიღო ზომები დისციპლინის ასამაღლებლად. ბიურო ყოველგვარ ზომებს იღებდა დაწესებულების მუშაობის გაჯანსაღებისათვის. ამასთან ერთად დაწინაურებულ იქნა სამი ამხანაგი. მუშათა კომიტეტზე ხელმძღვანელობა დაყენებული იყო შესაფერ სიმაღლეზე, მოწესრიგდა პოლიტგანმანათლებელი მუშაობაც.

ქალთა შორის მომუშავე კომისიას თავისი მუშაობის შესახებ მოხსენება არ გაუკეთებია არც ბიუროზე და არც უჯრედზე, ვინაიდან ეს გეგმის მიხედვით არ იყო გათვალისწინებული. კომკავშირის უჯრედზე ხელმძღვანელობა მოწესრიგებულია, მაგრამ კომკავშირის უჯრედი არ იზრდება რიცხვობრივად, ვინაიდან ადგილობრივ მომუშავე ყველა ახალგაზრდების მუშაობა, როგორც მაგალითად თავდაცვა - ავიაქიმის, ზაფხულის პერიოდის გამო მოისუსტებდა.

კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ საანგარიშო პერიოდში შესძლო მხოლოდ სამი ნომრის გამოცემა, ვინაიდან მუშები გაზეთის გამოცემაში არ იყვნენ დაინტერესებული.

მუშაობის შემმოწმებელ კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბიუროკრატიზმს ადგილი აქვს არა მარტო წარმოებაში, არამედ თვით ბიუროშიაც. პარტორგანოების დირექტივები ვერ მუშავდებოდა საფუძვლიანად. პარტორგებზე არავითარი ხელმძღვანელობა არ სწარმოებდა, მათ ისიც არ იცოდნენ, არჩეულნი იყვნენ თუ არა პარტორგებათ. კულტმუშაობას საკმაო ყურადღება ექცეოდა, ახალგაზრდობის უმრავლესობა ჩაბმულია სხვადასხვა წრეებში. პოლიტიკურად უჯრედი ჯანსაღია.

საყურადღებო ფაქტები გამოირკვა კამათში, რომელიც ჩატარდა ფართე თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. შინაპარტიული დემოკრატია არ იყო დაცული მთლიანად და ზოგჯერ კიდეც ირღვეოდა. საზოგადოებრივი მუშაობა სუსტად სწარმოებდა. უჯრედის ბიურო მოწყვეტილი იყო არა თუ მასებიდან, არამედ თვით პარტამხანაგებიდანაც. კანტორის უფროსი დახმარების მაგივრად, ხელს უშლიდა მუშაობას. თავდაცვის კვირეულის ჩატარების დროს მან ჩამოგლიჯა განცხადება თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის წევრთა კრების მოწვევის შესახებ, ხოლო ბიურომ ეს საკითხი მიჩქმალა. თავისუფალ ორგანიზაციებში მუშაობა ძალზე მოისუსტებდა და ამის გამო თითქმის არაფერი გაკეთებულა.

დაწინაურების საქმე არ იდგა შესაფერ დონეზე. როდესაც იძებოდა დაწინაურების საკითხი, მას ყოველთვის გვერდს უვლიდნენ, ხოლო მაღალი თანამდებობის თავისუფალ ადგილებზე იწვევდნენ თავისიანებს სხვა ქალაქებიდან. კედლის გაზეთში ბიუროკრატიზმის შესახებ ბლომად იწერებოდა წერილები, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ამის გამო მუშკორთა რიცხვი, რომელიც 30 უდრიდა, ამჟამად დარჩა მხოლოდ რამოდენიმე კაცი.

საერთოდ კამათში მრავალი პრაქტიკული წინადადებები იქნა წამოყენებული ახალი ბიუროს მუშაობის გაჯანსაღებისათვის. ბიუროს ახალ შემადგენლობას დაევალა მიცემული პრაქტიკული წინადადებების ცხოვრებაში გატარება.

რ.

ამხ. ს. ოგანოვის ხსოვნას

შაბათს, 10 ნოემბერს ქ. დუშეთში სიცოცხლეს გამოესალმა ძველი მუშა და რევოლუციონერი, დაუღალავი პროფმუშაკი ამხ. **სანდრო ოგანოვი.**

ვინ იყო სანდრო?

სანდრო ოგანოვი პირველ ხანებში მუშაობდა ყარაიაზის საბჭოთა მამულში მუშად. პირველად ის წამოყენებულ იქნა პროფ-სამუშაოზე ყარაიაზის რაიმუშკომის თავმჯდომარედ. შემდეგ ის გადაიყვანეს ბორჩალოს მაზრის მიწა-ტყის კავშირის თავმჯდომარედ მან აქ იმდენი დამსახურება და ენერგია გამოიჩინა საკავშირო მუშაობაში, რომ არჩეულ იქნა საქ. მიწა-ტყის კავშირის ც. გ. პ. მ. მდივნად, სადაც დაუღალავად მუშაობდა 2 წლის განმავლობაში.

1928 წელს კავშირის ყრილობამ ამხ. სანდრო აირჩია საქართველოს სასოფ. სამეურნეო შრომის უფროს ინსპექტორად და უკანასკნელ წუთებამდე ასრულებდა ამ მოვალეობას.

სანდროს სახით ჩვენ დავკარგეთ უძვირფასესი პარტიული ამხანაგი, საუკეთესო პროფმუშაკი და დაწინაურებული მუშა.

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. სანდრო მეტად დაქანცა დაუსვენებლობამ ის მაინც განაგრძობდა მუშაობას. წყეულმა სიკვდილმა ის სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს გამოგვტაცა ხელიდან.

ჩვენ, მუშებს მუდამ გვემახსოვრება ამხ. სანდრო, როგორც სპეტაკი. პარტიული ამხანაგი, ენერგიული პროფმუშაკი და პატიოსანი მუშა.

მშვიდობით ამხანაგო სანდრო!

მუშების დავალებით **ვასო გიჟინაშვილი**

ვებრძოლოთ უბედურ შემთხვევებს საწარმოებში

სამუშაო პირობები წარმოებებში თანდათან უმჯობესდება.—უბედურ შემთხვევების რიცხვი თბილისის ტრამვაის წარმოებაში უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა. — ბევრ წარმოებაში ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი პასუხისმგებელი მომუშავე უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის საწარმოებლად. — რიონჰესის ადმინისტრაცია ხშირად აგვიანებს ჯამაგირების დარიგებას.

შევამციროთ უბედური შემთხვევები

შრომის დაცვის საქმიანობა თბილისის ტრამვაიში თანდათან უმჯობესდება. როგორც შრომის დაცვის ორგანოები, ისე ადმინისტრაცია, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შრომის დაცვის საქმეს და ყოველგვარ ზომებს ღებულობენ სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად და უბედურ შემთხვევების აღმოსაფხვრელად. ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში უბედური შემთხვევების რიცხვი ტრამვაის წამოწყებებში საგრძნობლად შემცირდა.

მაგალითად: 1925—26 წელს უბედური შემთხვევების რიცხვი უდრიდა 137-ს. აქედან მსუბუქად დაშავდა 130 მუშა. ხოლო მძიმეთ 7. 1926—27 წელს უბედურ შემთხვევების რიცხვი 172-დე ავიდა. 1927—28 წელს კი ადგილი ჰქონდა მხოლოდ 59 უბედურ შემთხვევას.

უბედური შემთხვევები უმთავრესად მოსდით: კონდუქტორებს, ვატმანებს, ზეინკლებს და ზეინკლის თანაშემწეებს. უკანასკნელ ხანებში კონდუქტორებში საგრძნობლად შემცირდა უბედური შემთხვევები, რადგან ადმინისტრაცია შრომის დაცვის ორგანოების მოთხოვნილებას თავის დროზე ასრულებს.

უბედურ შემთხვევების შემცირების მიზნით ადმინისტრაციამ საბჭოს ქუჩაზე ხეები მოსჭრა გადასდგა ტრამვაისა და სინათლის ბოძები და თვით ტრამვაის ხაზიც შუა ქუჩაში გადიტანა. ამ გარემოებამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ტრამვაის მოძრაობის საქმეც და მოძრაობის დარგის მუშების შრომის პირობებიც.

რაც შეეხება ზეინკლების და მათი თანაშემწეების უბედურ შემთხვევებს, უნდა ითქვას, რომ იგი გამოწვეულია უმთავრესად იმ მიზეზით, რომ დღემდის არ არის დაწესებული გადამუშავების განსაზღვრული ნორმა; ეს ნორმა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მით უმეტეს, რომ მანქანასთან მუშაობის დროს ზედმეტი სიფრთხილეა საჭირო. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აგრეთვე ზოგიერთი მუშის დაბალი კვალიფიკაციაც; საჭიროა მათი გადამზადება კვალიფიკაციის აწევის მიზნით.

უბედური შემთხვევების უფრო შესამცირებლად საჭიროა დაჩქარებით იქნეს მოსპობილი ტრამვაის ძველი ვაგონები, ან გადაკეთდეს ისინი ისე, რომ კონდუქტორების გასავალი შიგნით იყოს მოწყობილი, კავშირმა და ადმინისტრაციამ დაჩქარებით უნდა გამოიმუშაონ სტანდარტული გადამუშავების ნორმა. რათა მუშა არ აჩქარდეს მუშაობის დროს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მუშათა კვალიფიკაციას, რათა სამუშაო შეეფერებოდეს მასზე მომუშავე მუშის კვალიფიკაციას. ხშირად ეძლეოდეთ ახსნა-განმარტება მუშებს და შეგირდებს ტეხნიკურ უსაშიშროების შესახებ და რაც მთავარია, გამოყოფილი იქნეს ერთი პასუხისმგებელი მომუშავე წარმოებაში ტეხნიკურ უსაშიშროების საქმეში.

ასეთი საშუალებით შევძლებთ სავსებით აღმოვფხვრათ უბედური შემთხვევები ტრამვაის წარმოებაში.

ს. ხოსანაშვილი.

—:—

შრომის დაცვის საქმე უმჯობესდება

(ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავლების შემკეთებელი ქარხანა)

სადურგლო საამქროში, შრომის დაცვის საქმე თანდათან უმჯობესდება. საამქროში მოეწყო ორთქლის ახალი ქვაბი, რომელიც ზლოთ მათ მიაწვდის ორთქლს, როგორც სადურგლო საამქროს, ისე ორთქლმავალთა საშუალო შემკეთებელ ახალ საამქროსაც.

წინად მზერხავების განყოფილება სრულებით არ თბებოდა, რის გამო შეუძლებელი იყო მუშაობა და წარმოების სათანადო დონეზე დაყენება. წელს ეს ნაკლი გამოსწორებულია; განყოფილებებში მოწყობილია ორთქლის ღუმელები, შეკეთებულია მილები და სხვა.

დაზგებიდან და სარდაფიდან ნახერხის და ზუბურუშელის გატანაზე, წინად ათეული მუშა იწყვეტდა წელს და საკმაოდ დიდი თანხაც იხარჯებოდა, მაგრამ ახლად მოწყობილმა ნახერხის გამომტანმა—სადგურმა, ხარჯების შემცირებასთან ერთად, მუშებიც განთავისუფლა მძიმე შრომისაგან და ხელისშესაც გაუადვილა მუშაობა.

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაცია მაინც ხშირად არღვევს შრომის დაცვის კანონებს: გასულ წელს მზერხავებმა სპეც ტანისამოსი არ მიიღეს. ამის შესახებ იყო აღძრული შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. გარდა ამისა მზერხავებს, როგორც მძიმე სამუშაოზე მომუშავეებს, კოლხელშეკრულების თანახმად უნდა ეძლეოდეთ რძე, მაგრამ ადმინისტრაცია რატომღაც არ ასრულებს შრომის დაცვის ორგანოების დადგენილებას და არ ატარებს ცხოვრებაში კოლხელშეკრულებას. მომავალში ეს ნაკლიც უნდა გამოსწორდეს.

დურგალი.

დანიშნულებას არ მოხმარდა

სრულიად საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის მესამე პლენუმის რეზოლუციის თანახმად, რკინის გზის ადმინისტრაციის, კავშირის და საგზაო ინსპექციის მიერ, ჩატარებული იქნა რკინის გზის მტვირთველ მუშების შრომის პირობების გამოკვლევა. აღნიშნული გამოკვლევა მიზნად ისახავდა აგრეთვე იმ გაუგებრობის და უკმაყოფილების ადგილობრივად მოწესრიგებას, რომელიც შექმნილი იყო ადმინისტრაციასა და მუშებს შორის.

გამოკვლევის დროს, სხვა მრავალ დეფექტებთან ერთად აღმოჩნდა, რომ გზათა სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში შემავალ მტვირთველ მუშების შრომის პირობების გასაუმჯობესებლად გადაუდვია 18 ათასი მანეთი, მაგრამ ეს ფული აუღია რკინის გზელთა კავშირს და დაუხარჯავს თავის კავშირის წევრებზე.

საინტერესოა, გამოირკვეს, რატომ გასცა ა. კ. რკინის გზების გამგეობამ ეს თანხა რკინის გზელთა კავშირზე და რატომ არ მოახმარა იგი დანიშნულებას ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირთან შეთანხმებით? ან რათ აიღო რკინის გზელთა კავშირმა ის თანხა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა?

სათანადო ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ ეს საქმე.

ალ. ფრუიძე.

—:—

რათ დაითხოვეს?

(ქუთაისი)

რიონჰესის მესამე დისტანციის სამუშევრებზე, მშენებელთა კავშირმა „სამშენი"-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, გაგზავნა 11 ახალგაზრდა, რომლებიც მიმაგრებული იქნენ სხვადასხვა სპეცებთან. ახალგაზრდები კარგად მუშაობდნენ და ხელობასაც ითვისებდნენ. მაგრამ სამუშაოთა მწარმოებელმა, ინჟინერ დავრიშევმა, ტყუილა უბრალოთ მოხსნა ისინი ამ სამუშაოდან და გადაიყვანა რიონჰესის მეორე სამუშევრებზე.

სამუშევრების სპეცებმა განცხადებით მიმართეს ადმინისტრაციას, რათა ახალგაზრდები დაეტოვებინათ სამუშაოზედ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დავრიშევი ახალგაზრდა მუშების მოხსნას იმით ხსნის, რომ ფული არ არისო. ამავე დროს კი „სამშენი"-ს სამუშევრებზე აუარებელი ფული იხარჯება უთავბოლოდ.

სამუშევრებზე იყო ერთი ტეხნიკი, ერთიც კიდევ მეორე მოიუმატეს. ამ უკანასკნელმა კატყუილა უბრალოდ დაითხოვა დღიური მუშები და მასთან ერთად, დავრიშევის შეთანხმებით ჯავშნი ახალგაზრდებიც. ამის შესახებ კავშირმა მიიღო სათანადო ზომები, მისწერა კიდეც „სამშენი"-ს სამუშევრების მწარმოებელს, რათა აღედგინათ დათხოვნილი მუშები, მაგრამ დავრიშევმა მაინც თავისი გაიტანა, გაუსწორა ბრონებს ანგარიში და გაუშვა.

ასე ეცავს მოქ. დავრიშევი ახალგაზრდათა შრომას.

ნ. მიქაშავიძე.

—:—

შრომის დაცვის კომისია კარგათ მუშაობს

(სად. ჭიათურა)

სად. ჭიათურის ადგილკომთან არსებული შრომის დაცვის კომისიამ გააცხოველა თავისი მუშაობა. კომისიამ, უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მეისრეებისა და მწონავების ფარდულების გათბობის საკითხი. გასულ წელს ზოგ ფარდულში თუმცა იყო დადგმული ღუმელები, მაგრამ ადმინისტრაცია მწონავებს სრულებით არ აძლევდა შეშას, ამის გამო მოსამსახურეები ერთმანეთს ჰპარავდნენ შეშას. შრომის დაცვას კომისიამ გაითვალისწინა ეს გარემოება და ამ თავითვე მიიღო ზომები, რათა მომავალში არ განმეორდეს ასეთი შემთხვევები; კომისიამ წინადადება მისცა სალიანდაგო დარგის მეოთხე უბნის უფროს, რათა ყველა ფარდულში მოაწყოს ღუმელები და მიიღოს ზომები სათბობი მასალის მოსამარაგებლად.

გარდა ამისა შრომის დაცვის კომისიამ დაათვალიერა „ზაკტპო"-ს პურის საცხობი და აღმოჩნდა, რომ წვიმის დროს საცხობში წყალი ჩამოდის, რის გამო მუშებს მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. კომისიამ წინადადება მისცა „ზაკტპო"-ს გამგეობას და სალიანდაგო დარგის მეოთხე უბნის უფროსს, დაჩქარებით შეაკეთონ საცხობი და გააუმჯობესონ შრომის პირობები.

იმედია ადმინისტრაცია დროზე შეასრულებს შრომის დაცვის კომისიის მოთხოვნილებებს

აჭაური.

ყურადღება ბარიტის მრეცხავებს

(ლეჩხუმი)

ლეჩხუმის მაზრაში, მექვეშის და დონორისის თემებში, ბარიტის დამუშავებას აწარმოებს სამთო ტრესტი. ამჟამად მუშაობს 20 მაღარო, სადაც ჩაბმულია 150-მდე მუშა. მაღაროებიდან ამოღებულ ბარიტს რეცხავენ მრეცხავები, რომლებიც ერთ ფუთ ბარიტის გარეცხაში იღებენ 3 დან 7 კაპიკამდე, ნაკლები ხარისხის ბარიტი მეტ რეცხვას მოითხოვს და შედარებით მეტ ხელფასსაც იღებენ მისი გარეცხვაში.

მაგრამ აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მრეცხავები არ არიან აყვანილი აღრიცხვაზე, არ არიან პროფკავშირის წევრები და არც დაზღვეულები. ადგილკომი მათ არავითარ დახმარებას არ უწევს.

სამთამადნო კავშირმა ანგარიში უნდა გაუწიოს ბარიტის მრეცხავებს და მიიღოს ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გ. ელელი.

მუშკორთა წერილებიდან

ძველი მრეწველ-მოიჯარადრეების ოინები

(წერილი ჭიათურიდან)

სამთამადნო ტრესტმა გაჰხსნა მუშაობა ჭიათურის ქარხანა-მაღაროებში. მასთან ერთად ძველმა გაიძვერა მოიჯარადრეებმაც მოჰკიდეს ხელი მარგანეცის ძველებურად წარმოებას. მოიჯარადრეები იპარავენ სხვის მარგანეცს (უმეტეს შემთხვევაში ტრესტისას), შემდეგ ძველებურ პრიმიტიულ წესით მდინარის პირად რეცხავენ და ასაღებენ.

როდესაც შეეკითხებიან მოიჯარადრეებს, თუ საიდან აქვთ მათ მარგანეცი, ისინი უპასუხებენ, რომ 1922 წლის წყალდიდობას მიერ წალეკილ მარგანეცს ვაგროვებ მდინარის პირზე, ქუჩებში და ვამზადებო.

სამწუხარო მოვლენა აქ ის არის, რომ ამ ხალხის ასეთი წესით დამზადებულ მარგანეცს ღებულობს თვით ტრესტი, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს თავისივე მარგანეცის შესაძენად. უნდა ითქვას, რომ აქ პროტექციონიზმსაც აქვს ადგილი: ეს ძველი მოიჯარადრეები ნაცნობების საშუალებით ახერხებენ მარგანეცის შოვნასაც და მის ტრესტზე გასაღებასაც.

საჭიროა ძველი მრეწველ-მოიჯარადრეების და მეფუთეების განდევნა ჭიათურის მარგანეცის წარმოებიდან და 1922 წლის წყალდიდობისაგან წალეკილი მარგანეცი, დასამუშავებლად გადაეცეს მუშათა კოლექტივებს, ან თვით ტრესტმა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს.

შაშხანა.

—:—

ჩვენ რაღა დავაშავეთ? ზამთარი უკვე დაიწყო. ბევრი წარმოების მუშა-მოსამსახურეებმა დიდი ხანია მიიღეს შეშა, მაგრამ ფოსტა ტელეგრაფის თანამშრომლებისათვის შეშის ფულის დასარიგებლად ჯერ კიდევ არავინ ზრუნავს. სახალხო კავშირის ცენ. გამგეობა ამ მხრივ არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს ადმინისტრაციასთან. ამავე დროს კი, რადიოს კვანძის თანამშრომლებმა, რომლებიც იმავე კავშირის წევრები არიან, მიიღეს შეშის ფული ავანსის სახით.

ხე—ენ.

ჯამაგირების დარიგება გვიანდება. თბილისის საუწყებო მილიციის თანამშრომლები თავის დროზე არ ღებულობენ ჯამაგირებს. კოლხელშეკრულების თანახმად ჯამაგირები უნდა რიგდებოდეს 25 რიცხვებში, მაგრამ ხშირად პირველშიაც ძლივს რიგდება.

ხიმართლე.

კოლხელშეკრულება ირღვევა (ქუთაისი) რიონჰესის სამუშევრებზე მომუშავეთა კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად, ხელფასი უნდა რიგდებოდეს პირველში და 15-ში. მაგრამ სინამდვილეში ხშირად 5—10 დღით გვიან არიგებენ ხელფასს. ამის გამო ხშირად შეუწყვეტენ ხოლმე მუშებს პურის კრედიტსაც, რაც უარეს მდგომარეობაში აყენებს მათ.

ნ. მ—ძე.

სახალხო ქონება ნადგურდება. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ელბაქიძის დაღმართზე მდებარე სახლი № 2-ში მცხოვრებ ვინმე ხუნდაძის ბინას, თავისი ავეჯეულობით კონფისკაცია ეყო და გამოცხადდა კომუნალურ განყ-ბის საკუთრებად. მაგრამ ამ ბინაში ჩასახლდა ვ. ფანცხავა, რომელმაც გაანადგურა სახალხო ქონება. მან სახლის სარდაფი გაამსო სახლის ავეჯეულობით, რომელიც ლპება უპატრონოთ.

ბასრი ისარი.

ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს მუშკორთა საქალაქო კრება თბილისის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებთან და მუშათა აქტივთან ერთად. დღის წესრიგში სდგას: 1. ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების კამპანიისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ. 2. მოხსენება საბჭოთა არჩევნების შესახებ.

ამხ. ფილიპე მახარაძე თბილისის მაზრის სოფლებში

საქ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ ამას წინად მოიარა თბილისის მაზრის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თემი. სახელდობრ: თიანეთი, ერწო, საგარეჯო, სართიჭალა, ყარაი, ყაზბეგი, კობი და საგურამო.

მოგზაურობის მიზანს შეადგენდა, რომ ამხ. მახარაძეს პირადათ გამოერკვია სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოების ადგილობრივი მუშაობა, გასცნობოდა გლეხობის ავკარგს და საკუთარი თვალით ენახა დღევანდელი სოფლის მდგომარეობა.

ამ დათვალიერების დროს ამხ. მახარაძემ მრავალი მასალა შეჰკრიბა ისეთი, რაც დღევანდელ სოფლის ცხოვრებაში ყველაზე მტკივნეულ საკითხებს წარმოადგენს და რომელთა დაუყონებლივ მოგვარებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივ გლეხობის კეთილდღეობა.

ეს მასალები შეეხება სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, კულტგანათლ. მუშაობას, სკოლებს, საავადმყოფოებს, კოოპერაციას, გზებს, მიწა-ტყის საკითხს და სხვა.

ამხ. მახარაძე ყველგან ახდენდა გლეხობის პირად დაკითხვას. ისმენდა მრავალნაირ საჩივრებს და ასე უშუალოდ მის თვალწინ იშლებოდა სოფლის ნამდვილი მდგომარეობა, რომელზეც ხშირად სრული წარმოდგენა არა აქვთ ცენტრში.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადი

თითქმის ყველგან გაისმის ჩივილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასწორ გაწერაზე. საერთოდ სასოფ.-სამეურნ. გადასახადი გატარებულია სწორე ხაზით და კლასიური პრინციპია დაცული, მაგრამ ამ ხაზის გატარებაში მაინც მრავალი შეცდომა არის ჩადენილი ან კიდევ ცალმხრივი გადახრა, რაც არა სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით საშუალო და ღარიბ გლეხობის მეურნეობისათვის. მაგალითად კობის თემში საშუალო გლეხობა უზომოდ არის დაბეგრილი. ბევრ შემთხვევაში გადაჭარბებულია ინდივიდუალური დაბეგვრაც. ამის გამო მთელ თემს ჩამოეწერა 5.000 მან. ასურეთის თემში კი ის ღარიბი გლეხები, რომლებიც შარშან განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადიდან, წრეულს დაბეგრილი არიან 10—12 მანეთით. აგრეთვე ზემო-თიანეთში 70 წლის მოხუცი ლუკა თარაჯაული, რომელიც ერთად-ერთი მუშა-ხელია ოჯახში, განთავისუფლებული არ არის გადასახადიდან. ყაზბეგის თემ. სოფ. ორთხენოში კი 19 კომლიდან მხოლოდ ორი გლეხია განთავისუფლებული, ასურეთის თემ. სოფ. ქოსალაანში კი ასეთ გადაჭარბებასაც აქვს ადგილი: გარდა საერთო სასოფ.-სამეურნეო გადასახადისა თვითეულ კომლზე ახდევინებენ კიდევ 3 ფუთ ხორბალს, რაც ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა. თბილისის აღმასკომიდან გაგზავნილი იყო გადასახადთა გადამსინჯავი კომისია, მაგრამ ამას შემდეგ მაინც კიდევ დარჩენილა ბევრი შეცდომა.

კულტ. განმანათლებელი მუშაობა

კულტურულ განმანათლებელ დარგშიც ვერ არის საქმე სასურველად დაყენებული. ყველგან დიდი მოთხოვნილებაა სკოლებზე და ისინი კი არ არიან საკმარისი. ბევრგან დაწყებულია სკოლების დიდი შენობები, მაგალითად დუშეთში, მარტყოფში, თოშურეთში; მაგრამ ნივთიერი უსახსრობის გამო ვეღარ დაუმთავრებიათ. ზოგიერთ სკოლას (მაგ. მარტყოფისას) აქვს საცდელ-საჩვენებელი მამული, მაგრამ გამოყენებული არ არის მიზანშეწონილად. სთესავენ ისეთი ჯიშის ქერნახულს ან მცენარეებს, რაც ამ კუთხისათვის საჭიროებას არ წარმოადგენს. ამიტომაც გლეხობაში ეს ვერ იწვევს ვერავითარ მიბაძვას და წახალისებას. ბევრ სკოლას კიდევ სრულებით არა აქვს აუცილებელი ნორმა მიწისა, რომ აწარმოოს საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა. ზოგან კიდევ მამული აქვთ, მაგრამ იგი სრულებით არ არის დამუშავებული. მაგალითად ყაზბეგის გლეხ-ახალგაზრდების სკოლა. მრავალი სკოლის შენობას ეჭირდება საფუძვლიანი შეკეთება, რომ შესაძლებელი გახდეს იქ წესიერი მეცადინეობა.

ყველაზე სამაგალითო სასწავლებელს წარმოადგენს წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო ტეხნიკუმი. ამ სასწავლებელს უკვე 45 წლის ისტორია აქვს. რამდენიმე წლის უმოქმედობის შემდეგ ახლად გაიხსნა იგი საბ. ხელისუფლების დროს და მოწაფეების პირველი გამოშვება მოხდა მიმდინარე წელს. ამ სასწავლებელს აქვს 39 დეს. მამული ძვირფას კულტურულ მცენარეებით გაშენებული. აქვს 7 დეს. ვენახი, რომლის მოსავალიც ხმარდება სკოლას. დანარჩენი ხარჯები იფარება დოტაციით. მიუხედავათ ამ სასწავლებლის სამაგალითო მდგომარეობისა მას მაინც თითქმის არავითარი კულტურული როლი არ უთამაშია საგურამოს გლეხობის ცხოვრებაში. არც მიბაძულობით, არც რჩევა-დარიგებით, არც სანერგეებით გლეხობას არ უსარგებლია აქედან. ამიტომ აქაურ სოფლებში თითქმის ვერ შეხვდებით კულტურულად დამუშავებულ ბაღ-ვენახებს.

თიანეთში უზარმაზარი შენობაა სკოლისა, მაგრამ 15 წლის განმავლობაში არ შეკეთებულა და იხრწნება.

კლუბები და სამკითხველოები

სამკითხველოები არსებობს ყველა სათემო პუნქტში. მხოლოდ მათი კულტგანმანათლებელი მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობაში ძალიან უმნიშვნელოა. მიზეზი შემდეგია: ჯერ ერთი რაღაც გაუგებრობის გამო ლიტერატურის საკმაოდ დიდი ნაწილი რუსულია და არა ქართული. მაგალითად თიანეთში ასეთ განსაცვიფრებელ ფაქტს აქვს ადგილი: რუსული ლიტერატურა ორჯერ მეტია ქართულზე. შემდეგ: ისეთი შინაარსისა და ხასიათისაა ეს ლიტერატურა, ისე მოძველებულია, რომ იგი უმეტეს ნაწილად გამოუსადეგარია ხალხისათვის. ამიტომ წიგნების დიდ უმრავლესობა ისევ გაუჭრელად არის აქაურ ბიბლიოთეკებში.

მრავალ სათემო პუნქტში კლუბებიც არის დაარსებული. მხოლოდ არ არის სცენის აუცილებელი მოწყობილობა. აგრეთვე არ მოიპოვება შესაფერი რეპერტუარი. მოთხოვნილება კი ამ მხრივ ერთობ დიდია ხალხში. ბევრ კლუბში რადიო-აპარატიც არის მოწყობილი, მაგრამ აღარ მუშაობს უთვალყურობის გამო.

კლუბების უქონლობა ყველაზე დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს თიანეთის და ერწოს თემში. ამ თემებში კულტმუშაობის სისუსტის გამო ისევ ძალაშია ისეთი ველური ადათი, როგორც ქალის საძრახისად გამოწყვდევა სადღაც ბოსელში მშობიარობისა და თვიურის დროს.

გზები და ხიდები

სასოფლო გზების მოუწყობლობაც ერთ უმტკივნეულეს საკითხს წარმოადგენს მთელს მაზრაში. თითქმის ყველა ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ შეკეთება არ სწარმოებს. თვით მცხოვრებლები ვერ არიან ჩაბმული ამ მუშაობაში. თვითდაბეგვრა ძალიან სუსტად ტარდება. ბევრ ადგილას კი სრულებითაც არ არის იგი შემოღებული. ზოგან თუ არის გზა—ხალხი სავსებით ვერ სარგებლობს მით. მაგალითად საბადურის გადასავალი ზამთრობით იკეტება რამდენიმე თვეს და მოსახლეობა მოწყვეტილია საქ. სამხ. გზას. ეხლა თხოულობენ სხვა გზის გაყვანას, რომლითაც მთელ წელიწადს იქნება შესაძლებელი მისვლა-მოსვლა. ეს გზა იქნება სიგრძით 12 კილ. და საჭირო იქნება 4 პატარა ხიდი.

ძალიან არის გაფუჭებული თიანეთ-თელავის გზა. თიანეთის მცხოვრებლები მზათ არიან გამოვიდნენ მის შესაკეთებლად, მხოლოდ თხოულობენ, თელაველებმაც მიიღონ ამაში მონაწილეობა. ამაზე ნაკლებ დღეში არ არის კახეთის გზატკეცილიდან მიმავალი გზა მარტყოფისაკენ.

დიდ საჭიროებას წარმოადგენს ხიდი იორზე—სართიჭალაში. აქ სათემო პუნქტი ერთ მხარეს იმყოფება და მოსახლეობის უმრავლესობა კი—მეორე მხარეს. ყოველ წყალდიდობაზე კი მისვლა-მოსვლა მეტად გაძნელებულია ამ ორ მხარეს შორის. რასაც დიდი გავლენა აქვს მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებაზე.

ძალიან ცუდ დღეშია აგრეთვე სართიჭალა საგარეჯოს გზა. ამ ორ მნიშვნელოვან პუნქტს შორის კი მისვლა-მოსვლა მეტად გაცხოველებულია და მუდმივი.

საერთოდ სასოფლო გზები უნუგეშო მდგომარეობაში არიან უმეტეს ადგილას.

აგრო-პუნქტები

თითქმის ყველა თემში არსებობს აგროპუნქტი. მხოლოდ ძალიან სუსტ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში და წარმატებაში. მათთვის მიჩენილი მამული ან სრულიად დაუმუშავებელია ან ისე უშნოთ და უსისტემოდ არის დამუშავებული, რომ არავითარი თვალსაჩინო შედეგი და ნაყოფი არ მოაქვს რაიონისათვის. სთესენ ადგილობრივი ნიადაგისათვის სრულიად შეუთვისებელ მცენარეებს. მაგალითად, თიანეთის საცდელ-საჩვენებელ მამულზე დათესილია ისეთი სიმინდი, რომელიც ვერ ასწრებს შემოსავალს და არ სწარმოებს ცდები ისეთი პურის, რომელსაც იფარებს აქაური ნიადაგი. ამავე დროს კი აქაურ პურის კულტურა ისეა დაცემული, რომ 60 პროცენტი ბალახეულობა ურევია მოსავალში. საერთოდ არ სწარმოებს არავითარი მიზანშეწონილი დაკვირვება და მუშაობა, რაც გამოსაყენებელი იქნება ადგილობრივი მეურნეობის გასაუმჯობესებლად. არ ეტყობა მტკიცე გეგმა და სისტემა როგორც პუნქტების საერთო ხელმძღვანელობაში ცენტრიდან, ისე მათ კერძო მუშაობაში. სწორედ ამიტომ მიუხედავად აგროპუნქტების ხუთი წლის არსებობისა, მათ ვერ შეუტანიათ ის ცვლილებანი და გაუმჯობესებანი ჩვენი სოფლის მეურნეობაში, რაც შეადგენს მათ უმთავრეს დანიშნულებას.

კოოპერაცია

კოოპერატივები არსებობენ ყველა თემებში. ზოგან რამდენიმე განყოფილებაც აქვთ. მაგალითად, მარტყოფის კოოპერატივს სამი განყოფილება აქვს თემში. კობის თემში კი თვით ხალხი მოითხოვს განყოფილებათა გახსნას სხვადასხვა ადგილას. საერთოდ კოოპერატივებით მეტად კმაყოფილია ხალხი. მიუხედავად ამისა, მათ მუშაობაშიც არის ნაკლი. თავის დროზე ვერ იღებენ და ვერ ასაღებენ სასეზონო საქონელს. თითქმის სამი თვეს არ ჰქონიათ ფართლეულობა და მხოლოდ ამ ბოლო დროს მიუღიათ წევრებზე გასანაწილებლად. ყაზბეგში მეცხვარეთა ამხანაგობა „თერგ არაგვს" ივლისში შეუძენია 180 ფ. სიმინდი, მაგრამ თავის დროზე არ დაურიგებია წევრებისათვის. ეხლა კი აღარავის ესაჭიროება, რადგან ბაზარზე უფრო იაფად ღირს სიმინდი, ვიდრე კოოპერატივში. მარტყოფის კოოპერატივის სახელზე გაგზავნილი ფართალი კი სადღაც გზაში დაკარგულა, მთელი თვეა დაეძებს ცეკავშირი და აქამდის ჯერ კვალისათვის ვერ მიუგნიათ თურმე. საერთოდ მოსახლეობის ლტოლვა კოოპერაციისაკენ ძალიან დიდია. სოფლის ცხოვრებაში უკვე ღრმათ არის შეჭრილი კოოპერაციის საჭიროება.

მიწის საკითხი

მიწის საკითხი ყველგან ვერ არის საბოლოოდ მოგვარებული. ზემო-თიანეთში გლეხობა სჩივის, რომ ზოგს ნორმაზე მეტი აქვს მიცემული და ზოგს ნაკლები. ყარაიაში 14 კომლს სრულებით არა აქვს ნორმა. მიუხედავად მათი რამოდენიმეჯერ განცხადებისა—აქამდის მაინც არაფერი არ მიუღიათ. ქოსალარში თემაღმასკომი, გარდა სასოფ.-სამეურნეო გადასახადისა, გლეხობისგან მოითხოვს კიდევ საიჯარო გადასახადს მათ სარგებლობაში მყოფ მიწაზე. სადაც მიწის რეფორმა სავსებით ვერ არის ჩატარებული, ან ჩატარების დროს დაშვებულია სხვადასხვაგვარი შეცდომანი, მოითხოვენ მიწის მზომელს, რომ საბოლოოდ იქნას მოწესრიგებული საკითხი.

მმართველობის საქმე

მმართველობის უმდაბლეს საფეხურად ითვლება თემი. ამავე დროს კი თემის ხელისუფლება ვერ სწვდება ყველგან და ვერ აკმაყოფილებს მართვა-გამგეობის ყოველივე საჭიროებას თავის ფარგლებში. თემის ცენტრი მოწყვეტილია სოფლების უდიდეს ნაწილს და რომელ სოფელშიაც ვერ სწვდება ხელისუფლება—იქ ეტყობა ერთგვარი უპატრონობა: ვრცელდება ხულიგნობა, სოფელს არ ეტყობა რაიმე კეთილდღეობა, ხალხი არ იჩენს თაოსნობას გზების, ხიდების და სხვა აუცილებელ საჭიროებათა მოგვარებაში. ამის გამო, იმ სოფლებში, სადაც გათვალისწინებული აქვთ ასეთი მდგომარეობა—მოითხოვენ ადგილობრივ საბჭოების დაარსებას. აბზულაღის ბევრ დიდ სოფელში კი არიან თემის უკანონო წარმომადგენელნი, რომლებიც ჯამაგირს იღებენ მოსახლეობიდან თვითდაბეგვრით. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია სათემო პუნქტის სიშორით.

გარდა ამ საერთო დაბრკოლებათა, ზოგიერთ ადგილას ხელისუფლების წარმომადგენელნი ვერ არიან თავის სიმაღლეზე. მაგალითად საგარეჯოს თემაღმასკომის თავმჯდომარეს აქვს 3 სახლი, მამული, ჯამაგირი. თვითონ აქედან არაფერსა სთმობს და ამავე დროს კი მეორე გლეხს ართმევს უბრალო ქოხს, რომელიც შეადგენს პატრონის საარსებო საშუალებას. იქვე საგარეჯოში ფარმაცევტი ბაზიეროვი იღებს 150 მან. ჯამაგირს, აქვს ორსართულიანი სახლი ბაღით და ვენახით. იმას ხმას არავინა სცემს და ღარიბ გლეხებს რევაზოვს, გეიჟურაშვილს, მეზვრიშვილს და გაბრიელოვს კი ჩამორთმეული აქვთ უბრალო ფარდულები, რაც წარმოადგენს მათი ცხოვრების ერთად-ერთ საღსარს.

აბზულაღის მილიციის ყოფ. უფროსი ძალიან ხშირად სცემდა გლეხებს და საერთოდ აუტანლად ეპყრობოდა მათ.

სოფ. მუხათში გლეხები აცხადებენ, რომ აღარ უნდათ საბჭოს წევრი ალექსი ოგანეზოვი. ამაზე რამდენჯერმე შეიტანეს განცხადება, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

საერთოდ ადმინისტრაციის ხელმძღვანელნი ვერ არიან სათანადოთ მომზადებულნი. ზოგჯერ საჭირო დეკრეტებსა და განკარგულებებსაც კი არ იცნობენ, რის გამოც მათ მუშაობაში ხშირად არის შეცდომები და გაუგებრობა. უმეტეს ნაწილად თავიანთ მოვალეობას უცქერიან ფორმალურად, ამის გამო ძალიან მოისუსტებს საზოგადოებრივი მუშაობა და მოსახლეობას ვერ უწევენ ღირსეულ ხელმძღვანელობას სხვადასხვაგვარ წამოწყებაში.

მოუსავლობა

ორი წლის განმავლობაში საგრძნობი მოუსავლობა არის მთელს მაზრაში. ამის მიზეზია ზამთრის დიდი. ყინვები და ზაფხულის არაჩვეულებრივი გვალვა. ხალხი დიდ ნაკლებობას განიცდის ჭირნახულისას, როგორც სათესლედ, ისე საკვებად. თუ ცენტრმა დახმარება არ გაუწია, ღარიბ გლეხობის უმრავლესობას მიწები დაუთესავი დარჩება. თვით დახმარების გაწევაშიც ერთგვარ უწესობებს აქვს ადგილი. მაგალითად მარტყოფში სესხის სახით მიღებულია 600 ფ. ხორბალი. აქედან ღარიბ გლეხობას სრულებით არაფერი არ მიუღია და ერთიანად განაწილებულია კოლმეურნეობათა შორის.

სხვადასხვა საკითხები

თითქმის ყველა სოფელში არის მრავალგვარი საჭირბოროტო საკითხი და განსაკუთრებული მოთხოვნილებანი. მაგალითად ერთგან თხოულობენ სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევას, მეორეგან კოლმეურნეობის დახმარებას, მესამეგან—წყაროს გამოყვანას, მეოთხეგან ტყის ჩეხვის შეჩერებას, მეხუთეგან—ბეითალს, მეექვსეგან—ტრაქტორს, მრავალგან კიდევ სათესლეს და სხვ.

მიღებული ზომები

ამგვარად ამხ. მახარაძე უშუალოდ გაეცნო სოფლის მრავალ მტკივნეულ საკითხს და აუცილებელ საჭიროებას. ბევრი საჩივარი, გაუგებრობა, უწესოება და საჭიროება ადგილობრივვე იქნა დაკმაყოფილებული და მოგვარებული. უფრო სერიოზული და რთული საკითხების შესახებ კი ამხ. მახარაძემ ცნობანი დაუგზავნა სათანადო ორგანოებს და შესაფერი განკარგულებანიც გასცა მათ დაუყონებლივ მოსაგვარებლად.

ლევ. მეტრეველი.

საბჭოთა მომავალი არჩევნები

მშრომელი ქალი და საბჭოთა არჩევნები

მშრომელ ქალთა მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში და საბჭოებში ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში შემდეგი აცნობეს.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა არჩევნებში და საბჭოებში ქალთა აქტივობა შესამჩნევად გაიზარდა.

თუ როგორ გაიზარდა ქალთა აქტივობა და მათი რიცხვი საბჭოებში, სჩანს შემდეგიდან: 1925 წელს სოფლად საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ქალთა 20 პროც. 1926 წელში — 33 პროც., 1927 წელში —36 პრ. ამის და მიხედვით იზრდება ქალთა რიცხვი საბჭოებში. მაგალითად 1925 წელში თემსაბჭოებში არჩეული იყო 1427 ქალი (8,3 პრ.), 1926 წ.—1629 ქალი (8,7 პრ.), 1927 წ.—1794 ქალი (9,4 პრ.).

საქალაქო საბჭოებში თბილისის გამოკლებით 1925 წელში არჩეული იყო 90 ქალი, 1926 წ.—51 და 1927 წ.—88 ქალი. ქალაქის საბჭოებში ქალთა რიცხვის შემცირება გამოწვეულია უყურადღებობით საბჭოებში ქალების ჩაბმის საკითხისადმი და იმ გარემოებით რომ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში შემცირდა საქალაქო საბჭოების რიცხვი.

აგრეთვე იზრდება ქალთა რიცხვი აღმასრულებელ ორგანოებში. მაგალითად თემსაბჭოების პრეზიდიუმებში 1925 წელს არჩეული იყო 20 ქალი, 1926 წ.—32 და 1927 წ.—42 ქალი. სამაზრო აღმასკომებში არჩეული იყო: 1925 წ.—25 ქალი, 1926 წ.—41 ქალი, 1927 წ.—59 ქალი. საქ. ცაკში 7 ქალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა აქტივობა ვერ იქნა სათანადოთ გამოყენებული. დღემდე საქართველოში არც ერთი ქალი არ არის არჩეული საპასუხისმგებლო ადგილზე, მაგალითად თემსაბჭოს თავმჯდომარეებად, კომისიების და სექციების ხელმძღვანელად და სხვ.

ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩით აზერბეიჯანს. აზერბეიჯანში ჯერ კიდევ 1926 წელს 23 თურქი ქალი იყო არჩეული თემსაბჭოების თავმჯდომარეებად და როგორც ა.-კ. ცაკის გამოკვლევის მასალებიდან სჩანს, მათი მუშაობა დამაკმაყოფილებელია და ზოგ შემთხვევაში სამაგალითოც.

გადაწყვეტილია მომავალ საბჭოთა არჩევნებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალთა აქტივობის გაძლიერებას და მათ კანდიდატურების წამოყენებას საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების მიზნით, იმ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულია ძველი ადათები, ქალთა და მამაკაცთა საარჩევნო კრებები მოწვეული იქნება ცალ-ცალკე.

იმ თემებში, სადაც ქალები არიან არჩეულნი საბჭოს წევრებად, საანგარიშო კრებებზე მოხსენებებს წაიკითხავენ საბჭოს წევრი ქალებიც. გარდა ამისა ადგილობრივ ორგანოებს წინადადება აქვთ მიცემული ქალები დაასახელონ ამა თუ იმ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი მათ არჩევას საბჭოებში და აღმასრულებელ ორგანოებში.

ადგილებისათვის მომზადებულ ქალთა კადრის შექმნის მიზნით, წელს საქ. ცაკმა თბილისში მოაწყო საბჭოს წევრ ქალთა მოსამზადებელი კურსები, რომელიც დაამთავრა 39 ქალმა.

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს წინადადება მისცეს ადგილებს კურს დამთავრებულთაგან 28 ქალი აირჩიონ თემსაბჭოების თავმჯდომარეებად, 4—სექციების ხელმძღვანელად და სხვ.

რა თქმა უნდა ადგილებზე არიან ისეთი მომზადებული ქალები, რომლებსაც კურსები არ დაუმთავრებიათ, მაგრამ შეუძლიათ შეასრულონ საპასუხისმგებლო მოვალეობანი. ამიტომ მომავალ არჩევნებში საბჭოებში და მის აღმასრულებელ ორგანოებში გაყვანილი იქნება ქალთა მეტი რაოდენობა.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა მე-7 ყრილობა

მეოთხე და მეხუთე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი კავშირის ცენტრალური გამგეობის საანგარიშო მოხსენების გარშემო. კამათში გამოსული ამხანაგები შეეხენ ცენტრალური გამგეობის საორგანიზაციო და სატარიფო-ეკონომიური მუშაობის ნაკლოვანებებს და მიუთითეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში.

მეექვსე სხდომაზე დასრულდა კამათი ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ. სულ კამათში მონაწილეობა მიიღო 60-მდე დელეგატმა.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. ხავთორაშვილი.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის სრ. საკავშირო ცეკას პრეზიდიუმის წევრის ამხ. ეგოროვის მოხსენება ცეკას მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებულ მუშაობას და იმ ამოცანებს, რომლებიც ამჟამად სდგას ცეკას წინაში საბჭოთა და სავაჭრო ორგანოების აპარატის რაციონალიზაციასთან დაკავშირებით.

უკანასკნელი წლის განმავლობაში, ამბობს მომხსენებელი, ცეკას დასახული ჰქონდა ორი უმთავრესი ამოცანა: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და ხელის შეწყობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბჭოთა და სავაჭრო აპარატის გაჯანსაღების საქმეში. თუმცა წინა წლებთან შედარებით ამ მხრივ გვაქვს დიდი მიღწევები, მაგრამ მომავალში საჭიროა მუშაობის გაორკეცება, რომ დასახული ამოცანები ასი პროცენტით იქნას განხორციელებული.

ეხება რა უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხს, მომხსენებელი საჭიროდ სცნობს უმუშევარ წევრთა გადამზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

შეეხო რა პროფაქტივის მომზადების საკითხს, ამხ. ეგოროვმა აღნიშნა, რომ საკავშირო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ყურადღება კავშირის ცალკე წევრებისადმი; ყოველ მხრივ უნდა შეისწავლონ და დააკმაყოფილონ მათი საყოფა-ცხოვრებრივი და კულტურული მოთხოვნილება-საჭიროებაში.

ცენტრალური კომიტეტი აქტიურ მონაწილეობას იღებს ბიუროკრატიზმისა და ვოლოკიტის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასასრულ მომხსენებელი ეხება კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებს. ამხ. ეგოროვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

გუშინ საღამოს, მეშვიდე სხდომაზე დამთავრდა კამათი საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. ეგოროვი, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა კამათში გამოსულ დელეგატებს.

ურწმუნოთა კავშირის საბჭოს სხდომა

სკოლებში ანტირელიგიურ მუშაობის შესახებ

გუშინ, პოლიტგანათლების მთავარ მმართველობაში ამხ. ვ. იმედაძის თავმჯდომარეობით შესდგა ურწმუნოთა კავშირის საბჭოს სხდომა. სკოლებში ანტირელიგიურ კამპანიის ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. იმედაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლებში ანტირელიგიურ მუშაობის გასაცხოველებლად საჭიროა სკოლის პროგრამებში შეტანილი იქნეს ანტირელიგიური მომენტები და ანტირელიგიურ საკითხების გაშუქებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

საჭიროა აგრეთვე ანტირელიგიური კამპანიის წარმოება თვით მასწავლებელთა შორის.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. გურგენიძემ, გოგუაძემ, ადამიანმა, ორაგველიძემ, სოსიამ, ორლოვმა და სხ.

კამათში მონაწილეთა ერთი ნაწილი (გოგუაძე, გურგენიძე) აღნიშნავდა, რომ საჭირო არ არის პროგრამების ხელახალი გადასინჯვა სკოლებში ანტირელიგიური მუშაობისათვის, ვინაიდან პროგრამები დიალექტიურ მეთოდით არის შედგენილი, რაც თავისთავად გულისხმობს რელიგიასთან ბრძოლას.

კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ყველა სკოლაში შემოღებული იქნეს ანტირელიგიური აღზრდა და ამ მიზნით 4, 7 და 9 წლედების, ტეხნიკუმების, მუშფაკების და საღამოს კურსების სამუშაო პროგრამებში შეტანილ იქნეს საჭირო ცვლილებები. საბჭომ აგრეთვე დაადგინა თურქულ პედტეხნიკუმსა და 9 წლედებში დაარსებული იქნეს ანტირელიგიური წრეები.

საბჭოს დადგენილებითვე პედაგოგიურ ტეხნიკუმებსა და პედაგოგიურ განხრით არსებულ 9 წლედებში შემოღებული იქნება ანტირელიგიური მუშაობისათვის ცალკე გაკვეთილი, ამ გაკვეთილებისათვის სასწავლო საათების რიცხვი წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

სასწავლო პროგრამების გადასასინჯავად საბჭომ ამხ. ხოსიანს და დ. გურგენიძეს დაავალა შეადგინონ სპეციალური კომისია.

მასწავლებელთა შორის ანტირელიგიური მუშაობის საწარმოებლად საბჭომ დაადგინა მასწავლებელთა გადასამზადებელ და მოსამზადებელ კურსებზე და განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტებში შემოღებული იქნეს სპეციალური მეცადინეობა.

ანტისაშობაო კამპანია

საეკლესიო დღესასწაულის „შობის" მოახლოვების გამო, საბჭომ დაადგინა მთელ რესპუბლიკაში ჩაატაროს ანტისაშობაო კამპანია. შესაფერი გეგმის შედგენა დაევალა ამხ. ორაგველიძეს.

ურწმუნოთა კავშირის რესპუბლიკანური ყრილობა

ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად საბჭომ დაადგინა მომავალი წლის იანვრის ბოლო რიცხვებში მოწვეული იქნეს ურწმუნოთა კავშირის სრ. საქართველოს ყრილობა, რომელზედაც გამომუშავებული იქნება ანტირელიგიური მუშაობის მთლიანი გეგმა და ღონისძიებები.

ანტირელიგიური შინაარსის კრებული

საბჭომ საჭიროდ სცნო სკოლებისათვის გამოცემული იქნეს ანტირელიგიური შინაარსის კრებული. კრებულის შედგენა დაევალა ამხ. ვ. იმედაძეს.

საქ. სახკომსაბჭოში

ტყავის ნაფხეკის (მეზრდას) დამზადება

სახკომსაბჭოს. და ეკ. საბჭოს დადგენილებით წინადადება მიეცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაავალოს ტყავის ქარხნებს დააგროვონ მსხვილი რქოსანი საქონლის ტყავის გადამუშავების შემდეგ მიღებული ტყავის ნაფხეკი (მეზრდა), გარდა იმ რაოდენობისა, რაც საჭიროა წებოს მოსამზადებლად.

ამასთან ერთად საჭიროდ იქნა ცნობილი მეზრდას ექსპორტიდან მეზრდის წებოს ექსპორტზე გადასვლა. რისთვისაც ტყავის ქარხნებთან უნდა მოეწყოს მეზრდის წებოს დამამზადებელი წარმოება.

ეთხოვა ა. კ. სახკომსაბჭოს მოახდინოს განკარგულება, რათა ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ გაღებულ იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში 15.000 მან., რაც საჭიროა საპონ-ზეთის ტრესტთან მეზრდის წებოს დამამზადებელი წარმოების მოსაწყობად.

მანგლის-ახალქალაქის გზის გამოკვლევა

სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ წინადადება მისცეს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს მოახდინოს მანგლის-ახალქალაქის გზის სამივე ვარიანტის გამოკვლევა და დაამთავროს იგი 1929 წ. აპრილისათვის.

აღნიშნული გზის გამოკვლევისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდა 12.678 მან. რაოდენობით.

ახალდაბის ხე-ტყის ქარხნის საკურორტო სამმართველოსათვის გადაცემა

წინადადება მიეცა კურორტთა მთავარ სამმართველოს და სატყეო ტრესტს წარუდგინონ საქართველოს სახ. საგეგმო კომისიას დამატებითი მასალები ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის კურორტთა მთავარ სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ.

მაზრების კუთვნილ სუბვენციიდან თანხების დაკავების წესი

რადგან ზოგიერთი ცენტრალური დაწესებულებები აწარმოებენ მაზრების სუბვენციიდან თანხების დაკავებას მათი დავალიანების დასაფარავად და ამის შესახებ არ აცნობებენ ხოლმე მაზრის აღმასკომს, რის გამო ეს უკანასკნელნი მოკლებულნი არიან საშუალებას გაატარონ აღნიშნული თანხები ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალში, სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ დაადგინეს წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას შემდეგში სუბვენციიდან თანხების დაკავების საკითხის შესახებ მიმართონ სათანადო მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს.

შეშის დამზადება

წინადადება მიეცა სატყეო ტრესტს აუცილებლად შეასრულოს პირველ რიგში შეშის მიწოდების გეგმა, როგორც არმიის, მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს და ა. კ. რკინის გზების მიმართ, ისე საავადმყოფო სახლებისა და საავადმყოფოების მიმართ.

ა.-ჰ. პროფსაბჭოში

1 და 2 საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასი

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ანგარიში გაუწია რა იმ გარემოებას, რომ შეუხედავად ხელფასის სისტემატიური ზრდისა, ამიერ-კავკასიის 1 და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასი რამდენიმეთ მაინც ჩამორჩება რ. ს. ფ. ს. რ. სათანადო სკოლების მასწავლებელთა ხელფასს, დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები 1 საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის გასადიდებლად 48 მანეთამდე. მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასი უცვლელად დარჩება.

ამასთანავე, სოფლის მასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ა. კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ა. კ. სახკომსაბჭოს წინაშე, დაჩქარებული იქნეს სათანადო კანონის გამოცემა, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მასწავლებლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებებს.

ამხ. ხარაბაძის მივლინება

საკავშირო ეკონომ. თათბირზე მონაწილეობის მისაღებათ ა. კ. პროფსაბჭომ მოსკოვში მიავლინა ამხ. ხარაბაძე.

კოლხელშეკრულების კამპანია ა. კ. რკ. გზებზე

ამიერ-კავკასიის რკ. გზებზე არსებულ კოლხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ საჭიროდ სცნო რკინის გზელთა შორის ჩატარდეს საგიტაციო კამპანია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის გამგეობას დაევალა შეიმუშაოს სათანადო ღონისძიებანი აღნიშნული კამპანიის ჩასატარებლად და მოხსენებების გასაკეთებლად ადგილებზე.

კამპანია უნდა ჩატარდეს ერთი თვის განმავლობაში, უბნებზე კამპანია ჩატარდება საუბნო ყრილობების შემდეგ. აღნიშნული კამპანიის ჩატარებამდე ყოველგვარი სხვა კამპანია რკინის გზებზე შეჩერებული უნდა იქნეს.

241.000 მან. სასოფლო მეურნეობას

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს სასოფლო მეურნეობას მიეცემა სესხი 241.000 მან. რაოდენობით. აქედან 54.000 მან. გამოყოფილია ტრესტებში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობათათვის, 22000 მან. გამოყოფილია უმიწაწყლო გლეხების მოსაწყობათ ახალ მიწებზე, 20.000 მან.—სახ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა ძირითადი თანხების გასაძლიერებლად, 80,000 მან. ღარიბი გლეხობისთვის კრედიტების მისაცემათ და 65.000 მან.—კოლმეურნეობათათვის მიზნობრივი სესხის მისაცემად.

ამ თანხების განაწილება დავალებული აქვს საქართველოს სას.-სამ. ბანკთან არსებულ საუწყებათაშორისო თათბირს.

სას.-სამ. გადასახადის აკრეფა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, პირველი ნოემბრისათვის მთელს საქართველოში 1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეგროვილია—1.035.940 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა შეადგენს მთელი შესაკრები თანხის 33,5 პროცენტს.

აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებილია 92.355 მანეთი, ანუ 43,7 პროცენტი და დასავლეთ საქართველოში (უაფხაზეთოდ) 112.389 მან.—15 პროცენტი.

მთელს რესპუბლიკაში აკრეფილი თანხა მაზრების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად. ახალქალაქის მაზრაში აკრეფილია—76.211 მან., ახალციხის—50.069 მან., ბორჩალოს—167.257 მ., გორის—150.868 მ., ყოფ. დუშეთის—85.190 მ., ყოფ. სიღნაღის—206.027 მ., თბილისის—112.261 მ., ზუგდიდის—16.055 მ., ქუთაისის—31.393 მ., ყოფ. ლეჩხუმის—8550 მ., ოზურგეთის—3.570 მ., ყოფ. რაჭის 7.267 მან., სენაკის—5151 მ. და შორაპნის—21.893 მანეთი. ყოფ. თელავის მაზრიდან ცნობები გადასახადის აკრეფის შესახებ ჯერ მიღებული არ არის.

აჭარისტანში აკრეფილია — 18.570 მანეთი და სამხრეთ-ოსეთში—5.668 მანეთი.

ამიერ-კავკასიაში აკრეფილია 4,152.020 მანეთი

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სას.-სამ. გადასახადის განყოფილების ცნობით, I ნოემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელ ამიერ-კავკასიაში აკრეფილი იყო 4.152.020 მანეთის რაოდენობით. აქედან აზერბეიჯანში აკრეფილი იყო—2.276.210 მან., საქართველოში—1.032.379 მან. და სომხეთში—843.431 მანეთი.

გასული წლის ამავე დროისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში სას.-სამ. გადასახადი აკრეფილი იყო მხოლოდ 2.022.211 მან. რაოდენობით; აქედან აზერბეიჯანში—1.093.905 მან., საქართველოში—475.853 მან. და სომხეთში—452.453 მან.

ამრიგად, სას.-სამ. გადასახადის აკრეფა წელს გაცილებით უკეთ მიმდინარეობს; პირველი ნოემბრისთვის წელს აკრეფილია ორჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ყურადღება სესხის რეალიზაციას სოფლად

ამიერ - კავკასიის ფინანსთა კომისარიატმა საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატისაგან მიიღო ამხ. ბრიუხანოვის ხელმოწერილი სასწრაფო ცირკულიარული ცნობა. ცნობაში აღნიშნულია, რომ დღემდე სოფლად სესხის რეალიზაციის საქმეს თითქმის მარტო საუწყებო ხასიათი აქვს. საჭიროა სოფლად საზოგადოებრივი ყურადღების გაძლიერება სესხის სასარგებლოდ და საამისოდ დაყრდნობა, პირველ ყოვლისა, ღარიბ და საშუალო გლეხობაზე. ამ მიზნით საჭიროა ღარიბი გლეხობის კრებების მოწყობა, რომლებზედაც უნდა აღინიშნოს კამპანიის პოლიტიკური ხასიათი და სესხის ნაყოფიერი განაღდების მნიშვნელობა. ამასთანავე საჭიროა ყოველგვარი ზომის მიღება, რომ მთელმა ღარიბმა გლეხობამ კოლექტიურად ან ინდივიდუალურად მოაწეროს ხელი სესხს. ყურადღება უნდა მიექცეს არა იმდენად ხელისმოწერის რაოდენობას, რამდენადაც ამ საქმეში ღარიბი გლეხობის ფართოდ ჩაბმის პოლიტიკურ მნიშვნელობას.

საშუალო გლეხთა შორის სესხის გასანაღდებლად მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული კოოპერატიული ორგანიზაციების ყოველი სახე.

როგორ მიმდინარეობს კამპანია სოფლად

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის ხაზით და აძლევენ მათ საჭირო ინლია 1 დეკემბრამდე.

ამის გამო საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს მთელი მუშაობის ცენტრი გადატანილია ადგილებზე. ადგილებზე დაგზავნილი არიან ინსპექტორები, რომლებიც იკვლევენ ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას სესხის რეალიზაციის ხაზით და აძლევენ მათ საჭირო ინსტრუქციებს.

ადგილებიდან მიღებული წინასწარი ცნობებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში მუშაობა უფრო ნაყოფიერად მიმდინარეობს, ვინემ აღმოსავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ცნობებიდან სჩანს, ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა მოისუსტებს საერთოდ და კერძოდ იგი მეტად სუსტია კახეთის მაზრაში.

ამ მაზრაში სესხის რეალიზაციისათვის თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. ზოგიერთ თემებში ან სრულიად არ არის გამოყოფილი სესხის რეალიზაციის ხელშემწყობი კომისიები, ან თუ სადმე მოიპოვება ასეთი, დიდ გულგრილობას იჩენს საქმისადმი. ასეთია მაგალითად ანაგის თემი. იქ არის ჩატარებული ხელისმოწერა სესხზე. მაგრამ მხოლოდ მუშა-მოსამსახ. შორის. ცენტრიდან მიღებული მასალები ყრია სათემო აღმასკომებში. საკონტროლო ციფრები თითქმის არც ერთ თემში არ არის დაფარული. სუსტად მუშაობენ თემებზე მიმაგრებული პირებიც, რომელთაც ევალება ხელის შეწყობა სესხის რეალიზაციისათვის. მაგალითად საქობის თემში ცნობაც კი არ მოეპოვებათ იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით არის გასაღებული სესხი. აკრეფილი ფული ჯიბეში უწყვია თემაღმასკომის თავმჯდომარეს. კონტრაგენტურის საქმე ძალიან ცუდათ არის დაყენებული. კონტრაგენტებად არ არიან ჩაბმული სესხის რეალიზაციაში: ორგანიზაციები, მოწინავე გლეხობა და ინტელიგენცია.

მხოლოდ ზოგან, სესხის რეალიზაციაში, როგორც კონტრ-აგენტი, მონაწილეობას იღებს საკრედიტო ამხანაგობა.

ამჟამად საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატი იღებს გადამწყვეტ ზომებს მდგომარეობის გამოსაკეთებლად.

რკინის გზელთა მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში

რკინისგზელთა ცეკამ და გზათა სახ. კომისარიატმა წინადადება მისცეს ყველა რკინის გზებს მიიღონ მონაწილეობა გლეხთა შორის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციაში.

როგორც გზის ადმინისტრაციას, ისე პროფორგანიზაციებს ევალება საგიტაციო კამპანიის ჩატარება გლეხთა შორის.

ამ მიზნით მათ უნდა გამოიყენონ ვაგონი-კლუბები.

ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს ევალება შეუთანხმდენ რკინისგზელთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტებს და შეიმუშაონ მათთან ერთად მუშაობის დაწვრილებითი გეგმა.

მზადება „კრასინი"-ს ექსპედიციის მონაწილეთა შესახვედრათ

ხვალ, 15 ნოემბერს, დილის 8 საათზე თბილისში ჩამოვა პოლარული ექსპედიციის გმირების ერთი ჯგუფი პროფ. **სამოილოვიჩის** და მფრინავ **სტრაუბეს** მეთაურობით.

პროფ. სამოილოვიჩთან და ამხ. სტრაუბესთან ერთად მოდიან ამხ. **პერევოზჩიკოვი**, **ჩირიცინი** და **ნიკოლაევი**, რომლებიც შედიოდნენ „კრასინი"-ს ეკიპაჟში.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა უკვე შეიმუშავა „კრასინი"-ს ექსპედიციის მონაწილეთა შეხვედრის გეგმა.

15 ნოემბერს, დილის 8 საათზე, თბილისის სადგურზე თავს იყრიან მუშათა ორგანიზაციების, პროფკავშირების და სამხედრო ორგანიზაციების დელეგაციები და აგრეთვე თავდაცვა ავიაქიმის წევრები. სადგურზე გაიმართება სტუმრების საზეიმო შეხვედრა და მიტინგი.

მიტინგის შემდეგ სტუმრები გაემგზავრებიან სასტუმრო „ორიანტში".

16 ნოემბერს სახელმწიფო ოპერაში შესდგება თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა თავდაცვა-ავიაქიმის აქტივთან ერთად. მილოცვების შემდეგ პროფ. სამოილოვიჩი გააკეთებს მოხსენებას „კრასინი"-ს ექსპედიციის შესახებ.

17 ნოემბერს გაიმართება პროფ. სამოილოვიჩის ფასიანი ლექცია რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

18 ნოემბერს დღისით პროფ. სამოილოვიჩი და მფრინავი სტრაუბე გააკეთებენ მოხსენებებს წითელი არმიის სახლში და პლეხანოვის სახელობის კლუბში.

ამავე დღეს სტუმრები გაემგზავრებიან ბათომში.

წარმოება-დაწესებულებებმა და მუშათა ორგანიზაციებმა 14 და 15 ნოემბერს უნდა მიიღონ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმში (ფურცელაძის ქუჩა, 7) ბილეთები საზეიმო სხდომაზე დასასწრებლად.

15 და 16 ნოემბერს დღისით სტუმრები გაეცნობიან თბილისს, მის აღმშენებლობას, ფაბრიკა-ქარხნებს, მცხეთას, ზაჰესს და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

„კრასინ"-ის პირველი მოგზაურობა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა გამოუშვა პროფ. ა. სამოილოვიჩის წიგნი „კრასინ"-ის პირველი მოგზაურობა", წიგნში მოთავსებულია პროფ. სამოილოვიჩის წერილი ექსპედიციის შესახებ და ა. წილოსანის წერილი „ნობილეს ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ".

„მიცვალებულთა სახლების" პოვნა ჟინვალში

სოფ. ჟინვალიდან დაბრუნდა არქეოლოგი გ. ნიორაძე, სადაც მან დაათვალიერა და გამოიკვლია ფშავ-ხევსურეთის გზის გაყვანის დროს აღმოჩენილი ძველი სამარხები.

ეს სამარხები აღმოჩენილ იქნა სექტემბრის პირველ რიცხვებში, შემთხვევით, იმ დროს, როცა სჭრიდენ თადაგს გზისათვის. სამარხებში აღმოაჩინეს განძეულობაც.

— ნაპოვნი აკლდამები,—სთქვა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში არქ. გ. ნიორაძემ,— უფრო ჰგვანან „მიცვალებულთა სახლებს", ვიდრე ჩვეულებრივ სამარხებს. ასეთი „მიცვალებულთა სახლები" ეკუთვნიან იმ ხანას, როდესაც ჩვეულებიდან გადავარდა მიცვალებულთა დასაფლავება ხეებზე ჩამოკიდების საშუალებით, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე, მიცვალებულებს გახვევდნენ ფალასში და ჩამოჰკიდებდნენ ხეზე, სადმე განმარტოებულ ადგილას. შემდეგ კი წესათ შემოიღეს მიცვალებულთათვის სპეციალური სახლების აგება. ჟინვალის აკლდამები სწორედ ასეთი ტიპის სამარხებს წარმოადგენენ. მე ამ რაიონში შევხვდი ორგვარი ზომის „მიცვალებულთა სახლებს": მიცვალებულთა სახლების ერთი წყება დიდი მოცულობისაა—გაკეთებული აქვს კარები, აგებულია ქვისა და კირის მასალით და ჭერი თაღისებური. მოყვანილობისაა. მეორე წყება უფრო მცირე ზომისაა, კარები არა აქვს და აგებულია მარტო ქვის მასალიდან. ასეთ სახლებში მიცვალებულებს აწყობდნენ ერთი მეორეს გვერდით და როდესაც საჭირო შეიქნებოდა ადგილი ახალი მიცვალებულისათვის, გახრწნილი გვამის ძვლებს დაალაგებდნენ სახლის შუა ადგილას, ხოლო თავისუფალ ადგილზე ახალ მიცვალებულს დაასვენებდნენ.

სხვათა შორის, ასეთივე „მიცვალებულთა სახლები" ძველ დროში გავრცელებული იყო სხვადასხვა ქვეყნებში, ხოლო საქართველოში ასეთი აკლდამების აგება იცოდნენ გადაღმა ხევსურეთში: შატილისა და ანატორის მახლობლად დღესაც მოიპოვებიან ასეთი აკლდამები.

სოფ. ჟინვალის მახლობლად აღმოჩენილი სამარხები ანუ „მიცვალებულთა სახლები" საინტერესოა მეცნიერებისათვის სხვა თვალსაზრისითაც. ეს სამარხები, ჩემის აზრით, იყო ნაქალაქევის მცხოვრებთა საგვარეულო სასაფლაო. „ნაქალაქევის" სახელწოდებით ძველ საქართველოში არსებობდა რამდენიმე სოფელი და ერთი ქალაქი—დღევანდელ სენაკის მაზრაში. ჟინვალის მახლობლად არსებული ნაქალაქევი დიდი ხანია რაც დაინგრა და მის ნანგრევებზე დღეს შესანიშნავი ტყეა გაშენებული. ამიტომ არის, რომ ჟინვალის „მიცვალებულთა სახლები" მეცნიერებისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენენ. სასურველია, რომ ძველ ნაქალაქევის ადგილას დაწყებულ იქნეს არქეოლოგიური გათხრები, რითაც შესაძლებელია გამოირკვეს მთელი რიგი ახალი მომენტები ჩვენი ისტორიული წარსულის შესასწავლად.

როგორ მიმდინარეობს თბილისის მაუდის ფაბრიკის მშენებლობა

დასრულდა თბილისის მაუდის ფაბრიკის საწარმოო პროგრამის დამუშავება. ფაბრიკამ ყოველწლიურად უნდა გამოუშვას—80.000 კილოგრამი ნოხების ქსოვილი, 403.000 მეტრი მაუდის ქსოვილი და 657.000 მეტრი კამვოლური ქსოვილი. კამვოლურ ქსოვილში შედის—ძვირფასი შალეულობა, შევიოტები, ტრიკოს ფართალი და სხვ.

საწარმოო პროგრამის შესრულებას ფაბრიკა უნდა შეუდგეს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალიდან, ე. ი. იმ ხნიდან, როდესაც ამუშავებული იქნება ფაბრიკის ყველა ცეხები. ფაბრიკაში სულ იმუშავებს 850 მუშა-ფეიქარი.

ფაბრიკის ასაგებად დახარჯულია: საფაბრიკო შენობების ასაგებად—2.130.000 მან., მანქანებისა და მოწყობილობის შესაძენად—1.530.000 მანეთი, ფაბრიკასთან მუშათა საცხოვრებელი ბინების ასაგებად—345.000 მანეთი, კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად—150.000 მანეთი და ფაბრიკის საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად გადადებული იქნება 1.270.000 მანეთი.

ქარხნისათვის საზღვარგარეთ შეკვეთილი მანქანებიდან ამჟამად უკვე მიღებულია 85 პროცენტზე მეტი.

კახეთის სატყეო ტეხნიკუმი

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში კახეთში იხსნება სატყეო ტეხნიკუმი. სასწავლებელი მოთავსებული იქნება სოფ. ყვარელის მახლობლად (2 ნახ. ვერსით დაშორებით სოფელზე) იმ შენობაში, რომელშიაც ოდესღაც მოწყობილი იყო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი სასოფლო მეურნეობის განხრით. უკანასკნელ 15—20 წლის განმავლობაში სკოლის შენობები უყურადღებოთ იყო დატოვებული, ზოგი მათგანი სრულებით დაინგრა, ზოგის აღდგენა მოითხოვდა საფუძვლიან რემონტს. კახეთის მაზრის ხელისუფლებამ განათლების კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა კახეთში გახსნილიყო სატყეო სასწავლებელი და თავის მხრივ აღუთქვა ზემოაღნიშნული შენობის სრული შეკეთება, რისთვისაც გადასდო 25,000 მანეთი. ამა წლის ივლისის ბოლო რიცხვებში სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გახსნას კახეთში, სოფ. ყვარელში, სატყეო ტეხნიკუმი. ამის შემდეგ კახეთის მაზრა შეუდგა შენობების საფუძვლიან რემონტს, მხოლოდ განათლების კომისარიატი ტეხნიკუმის მოწყობას ინვენტარით, კაბინეტებით, ლაბორატორიებით და საერთოდ სასწავლო ნივთებით. დღეს თითქმის დამთავრებულია რემონტი იმ შენობებისა, რომელიც პირველ რიგში უნდა იქნას გამოყენებული სასწავლებლისათვის და ტეხნიკუმის პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის საცხოვრებელ ბინებათ.

შტატიც უკვე შედგენილია და ორი ან სამი კვირის შემდეგ ტეხნიკუმში დაიწყება სწავლა.

კახეთის სატყეო ტეხნიკუმი განსხვავდება დანარჩენ ტეხნიკუმებისაგან არა მარტო თავისი მიზნით, არამედ თავისი აგებულობითაც. ამ ტეხნიკუმს არ ეყოლება გარედან მოსიარულე მოწაფეები, არამედ ყველანი იქნებიან სრული პანსიონერები სახელმწიფო ხარჯზე. პედაგოგიური და ტეხნიკური პერსონალიც იცხოვრებს იქვე, ისე რომ ფაქტიურად იქნება ტეხნიკუმი-კოლონია.

კახეთის სატყეო ტეხნიკუმის შენობის ერთ-ერთი კორპუსი

მსმენელები მივლინებული იქნებიან მაზრების მიერ, თანახმად განაწილებისა. ამგვარი სასწავლებელი ჯერ ერთად ერთია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაშიაც. ტეხნიკუმი მოითხოვს დიდ ხარჯებს, განათლების კომისარიატი ზრუნავს მოაწყოს ეს ტეხნიკუმი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებლად. უეჭველია მიწადმოქმედების კომისარიატიც არა ნაკლებ მზრუნველობას გამოიჩენს ამ სასწავლებლისადმი, რადგან ტეხნიკუმმა უნდა მოამზადოს თანამშრომლები სწორედ მიწად მოქმედების კომისარიატისათვის. ტეხნიკუმმა უნდა მოამზადოს სატყეო გამგეების თანაშემწენი, ტყის ტაქსატორები სატყეო მრეწველობის ტეხნიკოსები.

მ. თაქთაქიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ამხ. ჩუხნოვსკი მოემგზავრება თბილისში

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა მიიღო ცნობა, რომ მფრინავი ჩუხნოვსკი თბილისში ჩამოვა 19—20 ნოემბერს.

საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა

საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა 17 ნოემბრის ნაცვლად გაიხსნება 20 ნოემბერს.

ახალგაზრდობის შორის მომუშავეთა კონფერენცია

14 ნოემბერს თბილისში იხსნება ახალგაზრდობის შორის მომუშავეთა სრულიად საქართველოს კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში შედის საკითხები: საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მაჩაიძის მოხსენება—„პროფორგანიზაციების ამოცანები საწარმოთა სამეურნეო ცხოვრებისა და თვითკრიტიკის ფარგლებში“, ამხ. დავიდოვის მოხსენება—„საქართველოს პროფკავშირების ახალგაზრდობის შორის მუშაობა“, ამხ. ელბაქიძის მოხსენება, —„პროფტექნიკური განათლების მდგომარეობა და მისი შემდგომი პერსპექტივები, საქართველოს სამეურნეო განვითარების ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით“, ამხ. მხითაროვის მოხსენება—„ახალგაზრდობის სექციების მუშაობის შესახებ“.

რკინისგზელთა თბილისის საუბნო ყრილობა

თბილისის უბნის რკინისგზელთა ყრილობა, რომელიც უნდა გახსნილიყო 12 ნოემბერს, გადატანილია 20 ნოემბრისათვის.

თბილისის აღმასკომში

◆ **გონება ჩლუნგ ბავშვთა სკოლა.** განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა გახსნას გონება ჩლუნგ ბავშვთა სასწავლებელი.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექცია შეუდგა დიდუბეში ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას.

მიწ. მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **ტყეების მოწყობა.** მიწადმოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა მომავალ წელში სავსებით დაამთავროს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოწყობა.

◆ **აგრონომიული კაბინეტები.** მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საცდელ-საშენებელ სადგურებისათვის შეიძინა ახალი აგრონომიული კაბინეტები.

სხვადასხვა

◆ **საქმიანი კლუბი.** დეკემბრის პირველ რიცხვებში თბილისში, რუსთაველის თეატრის ხარჯიან დარბაზში გაიხსნება საქმიანი კლუბი.

◆ **მედსანშრომის კავშირში.** დღის 12-ს. 15 ნოემბერს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება მედსანშრომის მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა კრება. ამავე დღეს საღამოს 9 ს. შესდგება ამავე კავშირის წევრთა საერთო საქალაქო კონფერენცია.

◆ **სახ. უნივერსიტეტში.** დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს 8 ს. სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) შესდგება უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიების საზოგადო წლიური კრება.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ქუთაისიდან—ალიხანოვს, მოსკოვიდან—ტერაკოზოვს.

—:—

შემთხვევები

ჩხუბი

12 ნოემბერს, ღამით, გლეხთა სახლის წინ გუშაგმა მილიციელმა დააპატიმრა ვიღაც უცნობი კაცი, რომელმაც ჩხუბი აუტეხა მეეტლეს. კომისარიატში წაყვანისას უცნობი მოქალაქე გაიქცა. მილიციელმა პატიმრის შესაშინებლად ორჯერ გაისროლა რევოლვერი, მაგრამ უცნობმა მოქალაქემ მოასწრო მიმალვა.

ქურდობა

გაქურდეს რუბენ ჩაჩუას ბინა (ყოფ. სემინარიის მახლობლად); წაიღეს სხვადასხვა ნივთები. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა თორნიკე ყანჩაველი (მცხ. ვაკეში).—ლევან ცუცქირიძეს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მოპარეს სამხედრო ორკესტრის ინსტრუმენტი—აპოლიტე სიგუას მუშკოოპის № 110 მაღაზიაში მოპარეს 95 მანეთი.—გაქურდეს კარაპეტ ჯალამბეგოვის ფეხსაცმელების სახელოსნო (პარკოვის ქუჩა № 29).—გარდა ამისა 12 ნოემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6 შემთხვევა.

რეციდივისტები

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ეგიდ გაკუძე მანუკოვი, ალექსანდრე ივანენკო კლიშკოვი, ნიკოლოზ სიმონის ძე ნაზაროვი, პანტელეიმონ პეტრეს ძე ტიმოტენკო, სალქა თავად-ოღლი და ისმაილ რაჩილოვი (მცხ. კომუნალური ქუჩა № 58), რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ხორცის ბაზრის მოწესრიგება

თბილისის აღმასკომთან არსებულ ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებაში შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი. ხორცის ბაზრის მოწესრიგების შესახებ.

ხორცის ბაზრის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა გ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხორცის ბაზრის უდიდესი ნაწილი კერძო ვაჭრების ხელშია და რომ კოოპერატიული ორგანიზაციებმა დღემდე ვერ შესძლეს ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს გეგმის შესრულება. ამ გეგმის მიხედვით გასულ საანგარიშო წელში როგორც ხორცის დამამზადებელ, ისე გამსაღებელ კოოპერატიულ ორგანიზაციებს ხორცის ბაზარი უნდა დაეპყროთ 75 პროც.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

მუშკოოპის წარმომადგენელმა ამხ. ალიხანოვმა აღნიშნა, რომ, თუ კოოპერაციამ დღემდე ვერ შესძლო ხორცის ბაზრის 75 პროცენტით დაპყრობა, ამაში ბრალი მიუძღვის „მიასოპროდუქტს“, რომელიც არ ასრულებს კოოპერაციასთან დადებულ ხელშეკრულებას ხორცის მიწოდების შესახებ და მუშკოოპს ხშირად აწვდის დაბალ ხარისხის ხორცს.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელი ამხ. ბარსეგოვმა თათბირს მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ „მიასოპროდუქტი“, რომელიც აწარმოებს ხორცის დამზადების საქმეს, არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. „მიასოპროდუქტი“ საკლავ საქონელს უმთავრესად იძენს ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის საქონლის ხორცი გაცილებით მდარე ღირსებისაა, ვიდრე ადგილობრივი საქონლის ხორცი. ადგილობრივ საქონლის ხორცს კი ასაღებენ კერძო ვაჭრები, რის გამო მომხმარებლები გვერდს უვლიან კოოპერატიულ სავაჭროებს და კარგი ღირსების ხორცს იმავე ფასებში იძენენ კერძო ყასბებისაგან.

სამხედრო კოოპერაციის წარმომადგენელმა ამხ. ბოიკომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას; რომ „მიასოპროდუქტი“ ხშირად კოოპერატიულ სავაჭროებს ხორცს ვერ აწვდის საჭირო რაოდენობით. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ხორცის დამზადება კერძო ვაჭრებს გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე „მიასოპროდუქტს“, რის გამო ზოგიერთ შემთხვევაში კერძო ვაჭრები უფრო იაფათ იყიდიან ხორცს და მოგებაც მეტი აქვთ. გარდა ამისა მან აღნიშნა, რომ გარე-უბნებს არ ექცევათ სათანადო ყურადღება ხორცის მიწოდების მხრივ.

კამათის შემდეგ თათბირმა დაადგინა; წინადადება მიეცეს კოოპერატიულ ორგანიზაციებს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შეასრულონ ვაჭრობის კომ. რწმ. სამმართველოს გეგმა და ხორცის ბაზარი დაიპყრონ 75 პროცენტით. წინადადება მიეცეს ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციებს კოოპერატივებს თავის დროზე მიაწოდონ კარგი ღირსების ხორცი.

თათბირმა აგრეთვე დაადგინა—დაევალოს სამომხმარებლო კოოპერატივებს გააძლიერონ ხარისხოვან ხორცის გაყიდვის საქმე, თათბირი თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ „მიასოპროდუქტის“ და „მწყემსის“ ხორცის დასამზადებელი ხარჯები იზრდება, იმ დროს, როცა კერძო ვაჭართა მდგომარეობა ამ მხრივ უცვლელია. ამიტომ თათბირი ავალებს ვაჭრობის მომწ. განყოფილებას გამოარკვიოს აღნიშნული არანორმალური მდგომარეობის მიზეზები და მიიღოს სათანადო ზომები.

თბილისის ბაზრის თევზეულობით უზრუნველყოფის შესახებ მოხსენება გააკეთა მ. კამალოვმა. მოხსენებიდან გამოირკვა რომ თევზეულის ბაზარზედაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ხორცის ბაზარზე. კერძო ვაჭრებს აქვთ საუკეთესო ღირსების თევზეულობა, კოოპერატიულ სავაჭროებში კი თევზეული ცოტაა და ხშირად რაც არის, ისიც ცუდი ღირსებისაა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში, გამოირკვა, რომ თევზეულობის მომარაგების საქმე მთლიანად გადაცემული აქვს მუშკოოპს, რომელიც ხშირად სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებს თავის დროზე ვერ აწვდის თევზეულობას საჭირო რაოდენობით.

ქალაქის თევზეულობით უზრუნველსაყოფად თათბირმა შეიმუშავა შესაფერი ღონისძიებები.

ბამბის დამზადება

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის ცნობით, ნედლი ბამბის შესყიდვის კამპანიის დასაწყისიდან 1 ნოემბრამდე მთელ ამიერ-კავკასიაში შესყიდული იყო 9.371 ტონა ნედლი ბამბა. ამ რაოდენობიდან აზერბეიჯანში — 7.201 ტონა, საქართველოში —651 ტონა და სომხეთში — 1.719 ტონა

პირველი ნოემბრისათვის მებამბე გლეხებმა მთელ ამიერ-კავკასიაში დაფარეს დავალიანება 868.900 მანეთის რაოდენობით. აქედან საქართველოში—53.000 მან., აზერბეიჯანში—669.000 მან. და სომხეთში 140.000 მ.

1 ნოემბრისათვის მებამბეობის მთავარ კომიტეტს და საფეიქრო მრეწველობას გადეგზავნა 1.445 ტონა გაწმენდილი ბამბა.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 14 ნოემბერი

დღეს, 14 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება—„პოლიტგანმანათლებელ ორგანოების მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში“; მუშათა რადიო-გაზეთი; საუბარი ბიოლოგიაზე; წითელარმიელთა რადიო-გაზეთი; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; 16 ნოემბრის პროგრამის გადაცემა; კონცერტი სტუდიიდან; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

დოღი

საქართველოს ცხენების გამარჯვება

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ 9 ნოემბერს ბაქოში გამართულ დოღში გამარჯვება ხვდა საქართველოს სახელმწიფო ცხენთსაშენის ცხენებს. ხუთივე დოღში პირველი ჯილდოები მოიგეს საქართველოს ცხენებმა.

გამარჯვებული გამოვიდნენ „სალომე“ „დარეჯანი“, „ალაზანი“ (მოიგო დიდი ჯილდო—200 მანეთი), „თურქესტანი“ და „დარდიმანდი“.

მეცნიერება და ტეხნიკა

მადნეულის ძებნა რადიო-აპარატის საშუალებით

რადიო-ტეხნიკოსებმა მეეროვმა და გრუელეცკიმ დაამზადეს სპეციალური რადიო-მოწყობილობა, რომელიც შესაძლებლად ხდის მადნების მდებარეობის გამორკვევას ასი მეტრის სიღრმეზე. ჭაბურღილის ამოუღებლად სპეციალისტთა კომისია, რომელმაც შეამოწმა ახლად გამოგონებული მოწყობილობა, ამ დასკვნამდე მივიდა, რომ მეეროვისა და გრუელეცკის აპარატს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამთამადნო მრეწველობისათვის და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

შენობის აგების სისწრაფის რეკორდი

ჩიკაგოს ერთმა სამშენებლო კომპანიამ დაამყარა შენობის აგების სისწრაფის ახალი რეკორდი. 50 მუშამ 36 სამუშაო დღის განმავლობაში აგო 25 სართულიანი სახლის ფოლადის „ჩონჩხი“. ეს მოხერხდა სამუშაოთა მექანიზაციის, სამშენებლო მასალების დროზე მიწოდების და შენობის ცალკე ნაწილების არაჩვეულებრივი სისწორით დამზადების წყალობით.

მადლობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

მოქ. რედაქტორო!

ვინაიდან არა გვაქვს საშუალება მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმ დაწესებულებებს და იმ პირთ, რომელთაც მოგვილოცეს მეორე ქართული სახელმწიფო თეატრის გახსნის პირველი დღე, გთხოვთ ნება დაგვრთოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოვსთქვათ ეს მადლობა.

თეატრის დავალებით
კოტე მარჯანიშვილი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 14 ნოემბერს, თბილისის შრომის ბირჟა იწვევს სამუშაოზე გასაგზავნად შემდეგ უმუშევრებს:

შავ მუშაკთა სექციიდან—სარქისიანცი კაზარი, გულნაზაროვი სერგო, გამცემლიძე აკაკი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან—მანდენოვი ვასილი, მეძმარიაშვილი გიორგი, სურანტი ალექსანდრე, შენგელია თამარა, მიმინოშვილი ქსენია, ბეიშვიანი სოფიო, კატერევი-მელიანცი ეკატერინა, ბათმანაშვილი ალექსანდრა, რენარდი ვალენტინა, კეკელიძე ანტონი, გეგეჯაევი ოგანეზ, ჯაფარიძე-ვაშაკიძე ბაბილინა, გრეკოვი სოფიო, სანიკიძე თამარა, ნინოშვილი ნინო, სულაქველიძე ალექსანდრე. ოსიპოვი არტემი, პაპავა ვერა, კერმენიშვილი გრიგორი, კორსუნსკი ნიკოლოზი, კაჭახიძე იოსები, ხავთასი იოსები, მიდგისოვი არტემი, მერაბოვი ალექსანდრა, ბუაჭრიშვილი ანნა, ჩიჩუა მარიამი, მურადაშვილი ოლღა, კაპანოვი ხაჩატური.

მედსექციიდან—მიღებულია მოთხოვნილებები მედპერსონალზე შემდეგი მაზრებიდან: აჭარისტანში—15 კაცი; გორის მაზრაში—2; სამხრეთ-ოსეთში—2; დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ამავე სექციის გამგესთან.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან—ჯანიაშვილი მარიამი, დუმინი ვასა, ანაკსაგორევი მარიამი, ალექსეევი ალექსი, იორჩენკო იულია, ბეჟანაშვილი ილია, ბაუერი, დარახველიძე, წერეთელი კონსტანტინე, სარუქიანი, ტორჩიანცი არმენაკი, ქულდიაშვილი ნინო, დაბროვსკი ელენა.

ღრმა მწუხარებით გაუბედურებულნი მეუღლე ალათი ნიკოლოზის ასული, შვილი ივანე და რძალი ლიდა პავლეს ასული აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ინტაბუეთში (გურია) გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

** იასონ თეიმურაზის-ძე ბასილია**

დასაფლავება მოხდება 15 ნოემბერს, ხუთშაბათს, 3 საათზე. ს. ინტაბუეთში. 2—1

გრიშა (გიორგი) გლაბუნის-ძე, ნინო ნიკოლოზის ასული, შვილები: ლილი და თენგიზ გოგოტიშვილები ღრმა მწუხარებით აცნობებენ ამხანაგებს, ნათესავთ და მეგობრებს, რომ გურიაში ს. ინტაბუეთში მოულოდნელათ გარდაიცვალა პირველის სიმამრი, მეორესი მამა და უკანასკნელების ბაბუა

იასონ თეიმურაზის-ძე ბასილია

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, ს. ინტაბუეთში. ნაშუადღევის 3 საათ.

შვილი თამარა იასონის ასული, სიძე გაბრიელ (ქიქიკო) მიხეილის-ძე, შვილიშვილები მიშა, ვოვა და ლუტუ არჯევანიძეები დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ გურიაში, ს. ინტაბუეთში, უეცრათ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

იასონ თეიმურაზის-ძე ბასილია

დასაფლავება ს. ინტაბუეთში (გურია) 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 2—1

ძმები მირიანი და ვლადიმერი თეიმურაზისძენი, რძლები ანა მიხეილის ასული და ანა ყარამანის ასული და ძმისშვილები პატარა თეიკო ბასილიები მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

იასონ თეიმურაზის-ძე ბასილია

დაკრძალვა მოხდება სოფ. ინტაბუეთში 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე.

გულდაწყვეტილი დედა: თამარა ილიას ასული კოდანაშვილი-ფანცხავასი, კოლია ფანცხავა და ძ და ლენა ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 12 ნოემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ქეთო სერაფიონის ასული ფანცხავა

გამოსვენება—სამოსწავლო შესახვ. № 5. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 15 ნოემბ. საღამოს 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე (ე)

მიწსახკომის ცენტრალურ დაწესებულებათა ადგილკომი მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო უფროსს ინსპექტორის და მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდიუმის წევრის

ამხ. სანდრო ოგანოვის

უდროოთ გარდაცვალებას. 4852

სააქციო საზ.—ბა „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს გამგეობისა და მისადმი ქვემდებარე ყველა წარმოებების მუშა-მოსამსახურეებს, რომ ა. წ. 10 ნოემბერს, ქ. დუშეთში უდროოდ გარდაიცვალა სრ. საქართველოს სასოფლო-მეურნეობის და ტყის მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ძველი მუშა-რევოლუციონერი

ამხ. სანდრო ოგანოვი 4854

გულმოკლულნი: მამა ბიჭიკო, ძმა მიშა, და ნადეჟდა, ბებია ელისაბედი, ბიძები: კოია და მიტროფანე და ბიცოლა მარო ცანავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

აგრა ანტონის ასული ცანავა-ჯალაღანიასი

გამოსვენება 14 ნოემბერს, 4 საათზე. (შ)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე შალვა, შვილი ლია, მამა თილი ივანე, დედამთილი ტერეზი, მაზლები: კოტე და ბორისი, მული ნათელა, აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

აგრა ბიჭიკო ცანავას ასული ჯალაღანია

გამოსვენება 14 ნოემბერს, 4 საათზე. დაკრძალვა ქ. ოზურგეთში 16 ნოემბერს დღის 2 საათზე. (შ)

ხელოვნება

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის გახსნა

„ფრიც ბაუერი“—საცის. დადგმა—ალ. თაყაიშვილის, დეკორაციები—მ. გოცირიძის

ძველადაც იყო ცდები მოზარდთა თეატრის შესაქმნელად, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მისი დაარსება. ასეთი თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა 11 ნოემბერს ოპერის შენობაში. წარსულ წელს რეჟ. დ. ანთაძის ხელმძღვანელობით მუშაობდა დროებითი ხასიათის საბავშვო თეატრი. დაიდგა „რობინ გუდი“, რომლითაც ყურადღება მიიქცია ახალმა რეჟისორმა, დღემდე მხოლოდ კინო მსახიობად ცნობილმა ალ. თაყაიშვილმა. ახალგაზრდა მაყურებელთა თეატრი სწორედ ამ რეჟისორს ჩააბარა.

სეზონი გაიხსნა ე. საცის პიესით: „ფრიც ბაუერით“ (თარგმანი კ. კალაძის). სიუჟეტი გერმანიის მუშა-ბოლშევიკების ცხოვრებიდანაა აღებული. მუშა-ბოლშევიკს კარლ ბაუერს სდევნის პოლიცია. მისი საყვარელი ოჯახი (ცოლი და პატარა ბიჭი) შიმშილობს და იტანჯება, ვინაიდან მამის მეთაურობით ქარხანაში გაფიცვაა. როგორც მეთაური კარლი იმალება, პატარა შვილმა ფრიცმა იცის სად არის ის, მაგრამ მან ფიცი მისცა მამას, რომ არასოდეს არ იქნება „რენეგატი“. პოლიცია ფრიცის საშუალებით სცდილობს ბაუერის (მამის) დატუსაღებას, აშინებენ ბავშვს, აძინებენ, მაგრამ მაინც ვერ გამოსტეხენ. შემდეგ მიმართავენ მეორე ხერხს: სცემენ ფრიცს და ამით შვილის მოყვარულ მამას აიძულებენ ინახულოს შვილი, ამრიგად მამას ატუსაღებენ და ციხეში აწამებენ იმ მოტივით, თითქოს მან შვილს სცემა. ფრიცს და დედას რემედასი მოსკოვს წაიყვანს, აქ კი ფრიცი რუსეთის მოძმე პიონერებს ესალმება.

როგორც დავინახეთ სიუჟეტი საკმაოდ მარტივია, მაგრამ პიესა დიდ რევოლუციონურ გავლენას ახდენდა მაყურებელზე. მაყურებლები ძლიერ ღელავდნენ, როცა ფრიცი და მამა—„სცდებოდნენ“. აღელვებდათ ჟანდარმის საზიზღრობა, რომელიც საწამლავით აძინებდა ფრიცს. ამ სცენის დროს ისმოდა ყვირილი: არ დალიოო! ან და პოლიციის თავკაცის სიტყვების დროს კარლს აძახდნენ: გაიქეციო! მაყურებლების ასეთი უშუალო რეაქცია ლაპარაკობს იმის შესახებ რომ დამდგმელმა კარგად გაიგო ბავშვების ფსიქოლოგია. საერთოდ პიესის მთელი დადგმა დამყარებულია პოპულიარობაზე და უბრალოებაზე—ასეთ თეატრში ეს მთავარია.

კარგია დეკორაციები მ. გოცირძისა. ეს ყოველივე რეალისტურ ტონებშია, თუმცა არის ზედმეტი დეტალებიც (ჭრელი საინები თაროზე და სხვა), რაიც ნატურალისტურ საშიშროებას ჰქმნის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მსახიობების კადრი ახალგაზრდებისაგან შესდგება ყურადღების ცენტრში იყო ნიჭიერი ახალ კარგად ასრულებდა. ეს მსახიობი სპეციალურომელიც მთავარ როლს, ფრიცის (დაუის) კარგად ასრულებდა. ეს მსახიობი სპეციალურად მოზარდთა თეატრის მსახიობია. ტემპერამენტი, დიქციის უბრალოება და სითამამე —კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა.

სწორად, ნიჭიერად და კარლ ბაუერისათვის საჭირო სიდინჯით ჩაატარა როლი გ. როსებმა. კარგი იყო ბაუერის ცოლი ელზა—ზ. გამრეკელი. ფაბრიკანტის როლის შესრულებაში იყო ბევრი კარგი ადგილები (შამ. ნ. ილურიძე), მაყურებლებში დიდ სიძულვილს იწვევდა ფაბრიკანტი, მასწავლებელი ქალი (ქ. ჩეჩელაშვილი) ჯაშუში ფრაუ მიუტნერ (მ. ერგნელი და ჟანდარმი კუსიცი (ვ. კობელი), ეს ნიშნავს, რომ მსახიობები კარგად თამაშობდნენ.

სპექტაკლში გარდა ამისა მონაწილეობდა მთელი რიგი ნიჭიერი ახალგაზრდებისა: მ. ქორელი, ა. თარხნიშვილი, გ. კუპრაშვილი.

საერთოდ ამ პიესას და თვით თეატრს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და სხვ. თეატრის გახსნამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

პლ. ქიქოძე.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სიმფონიური კონცერტი.** ხვალ ოპერის თეატრში კომპ. ვ. ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 35 წ. თავის აღსანიშნავად გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ **მოზარდ მაყურებელთა თეატრის მიერ** 15 ნოემბერს მელითონეთა კლუბში წარმოდგენილი იქნება „ფრიც ბაუერი“.

◆ **„ლაკმე“.** დღეს მე-3 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „ლაკმე“.

◆ **სამხატვრო აკადემიაში** ხუთშაბათს 15 ნოემბერს, საღამოს 8 ს. აკადემიის კლუბში ხუროთმოძღვარი მ. ილინი წაიკითხავს მოხსენებას: „კონსტრუქტივიზმი ხუროთმოძღვრებაში“. მოხსენების შემდეგ კამათი.

◆ **მეორე საცეკვაო სკოლა.** დამთავრდა მეორე საცეკვაო სკოლის რეორგანიზაცია. სკოლის მასწავლებლად მოწვეულნი არიან ბალეტმეისტერი ი. არბატოვი და ქ. ჩივაძე.

სასამართლო

„კინო-რეჟისორი“ კავკასკი

ა. წ. ზაფხულზე ბათომში დიდი პატივისცემით მიიღეს თბილისიდან ჩასული „კინორეჟისორი“ პაშა კავკასკი.

პირველი ვიზიტი კავკასკიმ გაუკეთა „ფუხარა“-ს რედაქციას, სადაც იკითხა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ბინა. რედაქციაში იმ დროს შემთხვევით იყო ადგილობრივი მუშაკი—საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოების აჭარისტანის განყოფილების გამგეობის წევრი და სამხატვრო და სასცენარო ჯგუფის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბარაბაძე.

ბარაბაძემ იკისრა „სტუმრის“ პატივისცემა—გააცილა კავკასკი ასოციაციის ბინამდე, მაგრამ იქ არავინ დაუხვდათ.

— რა გნებავთ?—ეკითხება ბარაბაძე უცხო პირს, რომელსაც უაღრესად დიდი საქმიანი კაცის გამომეტყველება აქვს.

— მე ვარ საქართველოს კინო-რეჟისორი. ჩამოვედი სპეციალური მიზნით. მინდა მივმართო ადგილობრივ კულტურულ ძალებს და ვსთხოვო დახმარების აღმოჩენა ჩემი ექსპედიციისათვის.

შეხვდა კინო-მუშაკი „კინო-მუშაკს“— წამობრძანდით ხელოვნების მუშაკთა კავშირში. სთხოვს ბარაბაძე.

„რეჟისორი“ კავკასკი შეჰყავთ კავშირის თავმჯდომარე ამხ. კორშთან და აცნობენ.

„რეჟისორი“ აცნობს ამხ. კორშს მისი ჩამოსვლის მიზანს. მან უნდა გადაიღოს აჭარისტანის ცხოვრებიდან კინო-სურათი და სთხოვს კავშირს 200 კაცს მასიურ სცენებისათვის.

რასაკვირველია, „რეჟისორს“ ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს კავშირში, რის შემდეგ კავკასკი თავის თანამგზავრთან ერთად ტკბილი მუსაიფით გამოვიდა ქუჩაში. დიდი ხნის საუბრის და ერთმანეთთან დაახლოვების შემდეგ ბარაბაძე ასეთი თხოვნით მიმართავს კავკასკის.

— იქნება კინო-აპარატი მიშოვოთ სადმე? მინდა ქრონიკები გადავიღო აჭარისტანის ცხოვრებიდან.

— დიდი სიამოვნებით. ოღონდ იცით ჩემი ამოვრება? გზაში გამცარცვეს, ყველაფერი წამართვეს. დეპეშის გასაგზავნი ფულიც აღარ დამრჩა. მინდა სახკინმრეწვის სახელზე დეპეშა გავგზავნო, რომ სასწრაფოდ გადმომიგზავნონ ფული. მინდა ოპერატორსაც ვაცნობო, რომ სასწრაფოდ გამოემგზავროს.

— დეპეშის ფული რა ყოფილა.. ეხლავე გიშოვნით.

უშოვნეს კიდეც 4 მანეთი.

ბათომს ელვის სისწრაფით მოედო „კინორეჟისორის“ ჩამოსვლის ამბავი. ახალგაზრდა მწერლები ცდილობენ მის გაცნობას. კავკასკიც დიდ თავდაბლობას იჩენს. ეცნობა ბევრ მათგანს. ზოგს სცენარს უკვეთს, ზოგს კინოკარიერას ჰპირდება.

პირველად საწარმოო ხასიათის სურათის დადგმა სურს „რეჟისორს“ და ამიტომ მოლაპარაკებას იწყებს აჭარისტანის სამრეწველო სამმართველოს („აჭარპრომ“-ის) უფროს ამხ. ი. ბრეგვაძესთან, რომელთანაც სდებს ხელშეკრულებას სურათის განსაზღვრულ ვადაში ჩაბარების შესახებ.

ხელშეკრულების დადების შემდეგ, მეორე თუ მესამე დღეს კავკასკი ითხოვს ერთ თანამშრომლის გამოყოფას კონსულტანტის სახით, საწერ მანქანას, ავტომობილს და რაც მთავარია ავანსს, რადგან თავისი ასისტენტი ამირან ბარაბაძე სასწრაფოდ უნდა გაგზავნოს „პლიონკების“ შესასყიდათ.

საიდან გაუჩნდა „კავკასკის“ ასისტენტი? ამირან ბარაბაძე კავკასკის გააცნეს, როგორც მწერალი და „რეჟისორმა“ დაავალა სცენარის დაწერა და დანიშნა თავის ასისტენტადაც.

„რეჟისორს“ ჰპატიჟებენ ყოველგან. ქალები ბუზებივით ეხვევიან თავს. თვითეული თავგაზი ფიქრობს მისი საშუალებით კინოკარიერის გაკეთებას. იწყება სეირნობა ზღვაზე. მოტორიან ნავებით. ავტობუსები დაჰქრიან და დაატარებენ კავკასკის „მსახიობებს“.

ამ დროს თბილისის სისხლის სამართლის მილიცია გაფაციცებით დაეძებს აფერისტ პავლე ხაიდანატოვს. რომელმაც თბილისში მოატყუა ტანსაცმელების მკერავები და სხვა მრავალი მოქალაქე.

პავლე ხაიდანატოვი თბილისში ვითომ სახკინმრეწვისათვის იძენდა ტანისამოსებს, გამყიდველებს ფულის მაგიერ აძლევდა ანგარიშებს სახკინმრეწვში წარსადგენად. მას ჰქონდა აუარებელი ყალბი მანდატი, ზოგი სახკინმრეწვის ზოგი მუშათა და გლეხთა კავშირის და სხვ. სახელზე.

ბევრი რამ შეიძინა ასეთი ყალბი მანდატების წყალობით ხაიდანატოვმა დაწესებულებებსა და კერძო მოქალაქეებისაგან, ამის შემდეგ გაქრა თბილისიდან. ჩავიდა „საგასტროლოდ“ ქუთაისში.

ქუთაისს ხაიდანატოვი მოევლინა ებრაელ მსახიობთა დასის ორგანიზატორად, მაგრამ თბილისიდან გაგზავნილ ფოტოგრაფიულ სურათის საშუალებით პავლე ხაიდანატოვი მალე დაპატიმრებულ იქნა.

ხაიდანატოვი ახერხებს ციხიდან გაქცევას და აქის შემდეგ იწყება მისი „მოღვაწეობა“ ბათომში „კინო-რეჟისორის“ თანამდებობაზე. ხაიდანატოვი, რომელმაც ბათომში კავკასკი დაირქვა, თავს ასაღებდა 11 წლის სტაჟიან კომუნისტად.

დიდ ხანს ვერ იზოგინა ახალგაზრდა „კავკასკიმ“. მან მალე ამოჰყო თავი ბათომის ციხეში და დასტოვა გულდაწყვეტილი ბათომელი კინო სცენარისტები, კინო-მსახიობები და ასისტენტები.

ხაიდანატოვი გადმოგზავნილ იქნა თბილისის გამოძიებაში.

მას გაასამართლებს თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლო. საქმე დანიშნულია 13 ნოემბრისათვის.

ვერ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს დილის სრულ ცხრა საათზე აგიტპროფბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დ. კანდელაკი, ა. მიქაძე, ე. ასრიბეკოვი, ქაცარავა, ბუჯიაშვილი ან იმხანოვი, მარიამ ორახელაშვილი.

—:—

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო ქვეგანყოფილება იუწყება, რომ შაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, აგიტპროფმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში შესდგება მთლიან პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა სემინარი შემდეგ თემაზე: „მთლიან პოლიტსკოლების მუშაობის მეთოდიკა“. მეთოდიური დავალება ხსენებულ თემაზე უნდა მიიღონ რაიკომებში. ყველა რაიონების (გარდა ამ. კავკ. კომ. უნივერსიტეტისა) მთლიან პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

საქ კომპარტიის ცეკას აგიტპროპ ბეჭდვითი განყოფილებაში, ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, დღის 11 საათზე შესდგება კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ს. თოდრია, ბედია, ა. მიქაძე და ბუჯიაშვილი.

დღეს, 14 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, საქ. კომპ. ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში მოწვეულია კომისიის სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ს. მამულია, დ. კანდელაკი, პ. აღნიაშვილი, ე. ასრიბეკოვი, ვარო ჯაფარიძე, ტოროშელიძე, ა. მიქაძე, გეგენავა, სალუქვაძე, ცხაკაია, ბარნაბიშვილი და ჩანქოტაძე. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დღეს, 14 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, საქ. კომპ. ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი ბორჯომის საფაბრიკოსქარხნო სკოლის შესახებ, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ცხაკაია (განათლების კომისარიატი), ბუჯიაშვილი (საქ. ლენ. კომკ. ცეკა) და წარმომადგენლები უმაღლეს სამეურნეო საბჭოდან, გზათა სამმართველოდან, საკურორტო სამმართველოდან და საგზაო კომიტეტიდან. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, თბ. აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ქალაქის რაიკომის მორიგი გაფართოებული პლენუმი. დღის წესრიგი: 1) მემარჯვენე საფრთხის შესახებ (მომხსენებელი ამხ. (რუბენი); 2) ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია (მომხს. ამხ. სნეგირევი); 3) პარტიაში მიღება და გადარიცხვა. პლენუმს უნდა დაესწრონ რაიკომის ყველა წევრები და კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, ქალაქის რაიონის უჯრედების მდივნები, რაიკომის შტატგარეშე მყოფი ინსტრუქტორები, ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეები (კომუნისტები) და უჯრედების აგიტპროპკომისიების თავმჯდომარეები. გამოწვეულ ამხანაგების პლენუმზე დასწრება სავალდებულოა.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი
მორჩილაძე.

საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოწვეულია საქ. ლ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის სხდომა ლენ. კომკავშირის ამ.-კ. საოლქო კომიტეტის, კომკავშირის ...ის, რაიკომების, უჯრედების მდივნების და ბიუროების წევრებთან ერთად. დღის წესრიგში სდგას ამხ. ახუნდზადეს მოხსენება საკავშირო ლენ. კომკავშირის ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგების შესახებ. ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის, ცეკას, თბილისის კომიტეტის და რაიკომების წევრები სხდომაზე შედიან თავიანთი მანდატებით. დანარჩენი ამხანაგები შესასვლელ ბილეთებს მიიღებენ თავიანთ რაიკომებში.

საქ. ა. ლ. კ. კ. თბ. კომ. პასმგ.
მდივანი აზარაშვილი.

საქ. კომპ. თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მიმღებ კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს: გერვასი იაკობაშვილი, სტეფანე რომანოვი, იოანე მურუნოვი, ელენა ჭავჭანიძე—შამათავასი, გრიგოლ გოჩავა, გიორგი სოლომონია, გრამიტონ ლევიძე, ბიქტორ ჯორბენაძე, ბარბალე ჩილინგაროვი, სერქის გასპაროვი, ლუარსაბ გუგუნავა, ალექსანდრე მამალაძე, დომენტი თხელაძე, გიორგი ბაქრაძე, ალექსანდრე საჩანელი, სიმონ კურტანიძე, ქეთო ნუცუბიძე, მიხეილ კალანტაროვი რუბენ ათაბეგოვი, ანდრო მარჩნოვსკი, აშოთ მარტიროსიანი, სერგო ბაგრატიანი, ბარბარე ქილიფთარი, ალექსანდრე დოჩიძე, დავით ნარეკლიშვილი, ალექსანდრე სალიხანოვი, ესტატე შალამბერიძე, მარიამ ... ზოვა, პალადი ბაქრაძე, ალექსანდრე დუნდუა, ივანე ნოვოკრეშჩენოვი, საჩე ჯაფაროვი.

ლენრაიონის მ/გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 14 ნოემბერს, დღის 3 საათზე რაიკომის ქალთა განყოფილებაში მოწვეულია ქალთა ორგანიზატორების თათბირი ქალთა კომისიების წევრებთან ერთად.

ლენრაიონის მ/გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე. შესდგება სადელეგატო კრების ჯგუფური მეცადინეობა. 1-ლი ქართული ჯგუფის—პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში. მე-3 რუსული ჯგუფის — ძერჟინსკის სახ. კლუბში (მალაკნის ქუჩა № 60), მე-2 ქართ. და მე-4 რუსული ჯგუფების—ა/კ. რკინის გზების სამმართველოს შენობაში.

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, მე-3 აბონემენტის პირველი წარმოდგენა **ლ ა კ მ ე**

ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა

15-ს სასწრაფო სიმფონიური კონცერტი

ნ. 1823

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

17 ნოემბერს მე-4 აბონემენტის პირველი წარმოდგენა ქ. გ. დეიშინსკაიას მონაწილეობით **აიდა** 18-ს (აბონემენტის გარეშე) ლენინგრადის ყოფ. მარინის თეატრის პრემიერის ვ. რ. სლივინსკის მონაწილეობით

ევგენი ონეგინი

ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია თეატრის სალაროებში და გაიყიდება ჩვეულებრივი წესით. დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენების დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

2—2 ნ. 1831

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	კაცი № 14
არფასტო	საუკეთესო სურათი ზვენიგორა დოვჟენკოს დადგმა
სოლეი	ნიკოლოზ კოლინი სურათში საყვარელი მაწანწალა
აპოლო	მეორე კვირა მისი კაპრიზი ოსი ოსვალდის მონაწილეობით
კალასი	მოჟუხინი და ორლოვა სურათში მამა სერგი ლ. ტოლსტოის ნაწარმოებ. მიხედვით
მინიონი	უცხოეთის ორიგინალური კომედია თქვენ დათხოვნილი ხართ
დარბაზი	მხატვრული სურათი კლოდ დიუველ
პროლეტარი ავლაბარი	სახკინმრეწვის ახალი სურათი 18—28 მ. კალატოზიშვილის და ნ. ლოლობერიძის ნამუშევარი.

0— 6

კინო-არფასტო
ცნობილი სურათი
ზვენიგორა
რეჟისორი—დოვჟენკო
პრესა ამ სურათს აღფრთოვანებით შეხვდა.

დღეიდან

კინო-სოლეი
ნიკოლოზ კოლინი
და
გიუზეტა დიუფლო
მხატვრულ სურათში
საყვარელი მაწანწალა

პირველი სეანსის დასაწყისი 6 საათზე 30 წუთზე
სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან.
ნ. 1832

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8—64

დღეს
ახალი გასტროლები
განახლებულ პროგრამის სანახაობანი
3 განყოფილებად
დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.
სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.
დაწვრილებით აფიშებში—წაიკითხეთ!!!
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი,
ნ. 1821 3—1. მმართველი მ. ი. ტადე.

იყიდება სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—2 „კომუნისტ“-ს მთავარი კანტორა.

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 21 ნოემბერს 1928 წ. 1 საათ. კლარა ცეტკინის ქ. № 128 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ნიკოლოზ დავითაშვილის მოძრავ ქონებას: ხავერდის დივანს და სავარძლებს, მაგიდას, შიფონერკას, ხალიჩას, ლამპას, სკივრს და ზინგერის ხელსაკერ მანქანას № 5059758 შეფასებულ 430 მ. დასაკმაყოფილებლად მარიამ ჩერქეზიშვილისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 4851

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
ივ. სანებლიძე

ამით აცხადებს, რომ ის 19 ნოემბერს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 83 კალინინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოლომონ ხანხიაშვილის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, წიგნის შკაფს, დივანს, სკამებს და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 1.015 მან., აღმშენებელთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 16 ოქტომბრის 1928 წ. თარიღით, № 5723 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1833

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 18 ნოემბერს, დილის 10 საათზე

დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1830

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი (ფსიხოტერაპია) ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ.; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ლორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი

ლებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90.
ნ. 4 25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ლებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება: დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.
4598 25—1

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესანგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად
25—1 ნ. 5

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., № 13.2
13—1 ნ. 1809

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ლებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექიმი
ს. ანდრეევისა

დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ლებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი
დარეჯან გ. თაყაიშვილი-კაკუბერი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება: დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე

შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.

მიიღება ავადმყოფები ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ. მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ½—8 ½ საათ ტელეფ.—12—67. ნ. 3 25—2

დაიკარგა

მორდებ აბნელის-ძე მამისთვალოვი, 18 წლის. ა. წ. ნოემბრის 9-ს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. აცვია ბერძნული ხაზიანი ხალათი, ფეხზედ—ყვითელი ფეხსაცმელები. ატარებს სათვალებს, საშუალო ტანისაა, გამხდარი, გძელთმიანი თმა წაბლის ფერი. ვთხოვთ თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, აცნობოს ფეთხაინის ქუჩაზე № 7 აბნელი მამისთვალოვს. 4800

დაიკარგა: სალექციო წიგნაკი (მატრიკული) № 123 ნინო სიმონ ჯაფარიძის ასულის სახელზე, ჩ. გ. 4853

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 28304 გიორგი ივანეს-ძე პაპაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4859

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამ ოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.